

# ରତ୍ନବଜ୍ର


୨୧୩୦

୨୦୨୦

୨୫

୧୩

୨୦୨୦





ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული  
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ჟურნალი გამოდის

2016 წლის იანვრიდან,

გამოსქვემს სამწე-  
ჭავჭეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

არა30

ა. 1

25

2020

## რედაქტორი - მერაბ ბერიძე

### მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლალი ბერიძე  
ასმათ ევსაია  
ლია ზაზაშვილი  
ცოური ლაფაჩი  
მალხაზ ლომსაძე  
ლერი ნოზაძე  
მაია ქუქჩიშვილი  
ნატო ყრუაშვილი  
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი  
რეზო შეროზია, ზუგდიდი  
ზაირა კელოშვილი, ათენი  
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

მდივანი: ანა კორშია  
მენეჯერი: მანანა ობოლაშვილი

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე  
ლარისა გურგენიძე

ჩვენი უურნალის 24-ე ნომერში 70 წლის იუბილე მიცულოვეთ  
მეგობარი გაზეთის - „ლიტერატურული მესხეთი“, რედაქტორს  
ავთანდილ ბერიძეს. გამოვაქვეყნეთ მისი ახალი ლექსები მისივე  
ავტორიოგრაფიით.

მიღოცვის, კეთილი სიტყვის თქმის სურვილი აღმოაჩნდა ბევრ  
ადამიანს. გამოჩენა ამ ყველაფრის თავის დამდგმელი, შემცროვებელი,  
ავთანდილ ბერიძის საქმიანობის პატივისმცემელი და დამფასებელი,  
შესანიშნავი ქალბატონი ციური მესხიშვილი და საქმედაიძრა. ამჯერად  
ვძექდავთ სწორედ მიღოცვებს და გამოხმაურებებს. ერთხელ კიდევ  
ვულოცავთ ბატონ ავთანდილს იუბილეს.

## მიზანი

### კვლავ თანამშრომლობის სურვილით!

მიზანმიმართული, მტკიცე და პრობლემებთან შეუპუებელი  
ხასიათის მიღმა ავთანდილ ბერიძის მიერ წლების განმავლობაში  
თავისი საქმის ერთგულებით, მაღალი პროფესიონალიზმითა და  
ქვეყნის სიყვარულით გავლილი სამოცდაათნლიანი გზაა.

სამცხე-ჯავახეთში უნივერსიტეტის დაარსების პირველივე  
წლებიდან დაუკავშირდა ბატონი ავთოს საქმიანობა უმაღლეს  
საგანმანათლებლო დაწესებულებას და ამ თანამშრომლობამ ბევრ  
სასიკეთო იდეას და ინიციატივას ჩაუყარა საფუძველი. მაშინ დაწყებული ბევრი საქმე დღემდე გრძელდება, რასაც ადასტურებს  
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ისტორია.

მრავალმხრივია ბატონი ავთანდილ ბერიძის საქმიანობა. გა-  
ზეთ „ლიტერატურული მესხეთის“, არაერთი საინტერესო და სა-  
ჭირო წიგნის შემდგენელ-რედაქტორობა, კულტურული ღონისძიე-  
ბების, საინტერესო კონკურსების ორგანიზატორობა, ნიჭიერ შე-  
მოქმედთა აღმოჩენა, წახალისება, პუბლიცისტური წერილებისა  
და პოეტური თხზულებების ავტორობა - არასრული ჩამონათვა-  
ლია ბატონი ავთანდილ ბერიძის თითქმის ყოველდღიურობად



ქცეული საქმიანობიდან. ბატონმა ავთომ კარგად უწყის საუნივერსიტეტო განათლების ფასი ზოგადად და, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთში. მისი ცხოვრების თითოეული წახნაგი ეხმიანება საუნივერსიტეტო ცხოვრებას და იმ იდეას, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის მისიად მიიჩნევს. უნივერსიტეტთან მრავალნლიანი თანამშრომლობის მტკიცე საფუძველი სწორედ ის ზიარი ღირებულებებია, რომელთა წყალობითაც ყველა ერთობლივად წამოწყებული საქმე წარმატებით სრულდებოდა და რომელთა შორის უპირატესი სამშობლოს, საკუთარი კუთხის უანგარო მსახურებაა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ვულოცავთ ბატონ ავთანდილ ბერიძეს 70 წლის იუბილეს. აქტიური ცხოვრების მიუხედავად არც დაღლა ეტყობა და, საბედნიეროდ, არც შესვენებას აპირებს. ვუსურვებთ საქვეყნო საქმე, მისი კეთების ძალა და უნარი არ მოაკლოს ღმერთმა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში.

**მაკა ბერიძე**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორი

## იდეის კაცი

ასპინძელი ბერიძეები, ძირითადად, დადეშიდან ან ერკოტიდან არიან ჩამოსული. ერთ დროს მშვენიერი სოფლები დღეს ნასოფლარებია. დადეშსა და ერკოტაში ბერიძეები ჩადიან ბერიებიდან. ეს სოფელი ერკოტიდან ბუზმარეთისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. მთები კი ერუშეთისაა. შეიძლება ითქვას, რომ ბერიებიდან წამოსული კაცი ერუშელია. ერუშეთი ისევე იყო მესხეთის ნაწილი, როგორც ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი და სხვა.

ეროვნებით ქართველი, მესხი, წარმომავლობით დადეშიდან, – ასე შეგვიძლია დავახასიათოთ ავთანდილ ბერიძე, რომლის ოჯახიც – მშობლები მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან ასპინძაში

დამკვიდრდნენ. ცხოვრობდნენ ასპინძის რაბათში, ჰქონდათ მრავალშვილიანი ოჯახი და განათლების, ცოდნის დიდი სიყვარული. ბავშვობაში დადგენიდან წამოსული ოჯახების ბავშვებს გვიყვარდა მათთან ბუხრისპირას ფეხშუმზე პურის გატეხვა და პოეზიაზე, ხატვაზე, საქართველოზე, მშობლიურ კუთხეზე საუბარი.

შეუძლებელია ამ გარემოში გაზრდილი კაცი სხვა გზას დასდგომოდა, გარდა იმ გზისა, რომელსაც გაუყვა ავთო ბერიძე. შორს წაგვიყვანს მისი ბიოგრაფიის დეტალებზე საუბარი. ერთი აუცილებლად სათქმელია – სადაც ყოფილა ავთანდილ ბერიძე – ეს იყო კომკავშირი, პარტიული თუ ადმინისტრაციული სამსახური, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, მისი ცხოვრების, საქმიანობის უმთავრესი ნიშანი სამშობლოს სამსახური და თავის ქვეყანაზე ზრუნვა იყო.

ავთანდილ ბერიძის, როგორც ისტორიკოსის და როგორც შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში მინდა მაინც მისი დიდი საქმე გამოვყოთ – „ლიტერატურული მესხეთის“ დაარსება, მისი რედაქტორობა და პოეზის დღესასწაულის – „შოთაობის“ აღდგენა, რეგულარული ჩატარება. გამოაკელით ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ეს ორი რამ და აღვილად დაინახავთ, რამხელა სიცარიელე დარჩება, რა ლარიბები ვიქებოდით ავთანდილ ბერიძის ღწვისა და საქმიანობის გარეშე. ოც წელზე მეტია, „ლიტერატურული მესხეთი“ გამოდის ყოველთვიურად. არ ჩავარდნილა! ეს არის მრავალგვერდიანი, არაპოლიტიკური ლიტერატურული რესპუბლიკური გაზეთი, რომლის გამოსვლასაც საქართველოს ყველა კუთხეში ელოდებიან. ელოდებიან არა პოლიტიკური ინტრიგებისა და კლანური დაპირისპირების უურნალისტური წაქეზების გამო, არამედ მაღალხარისხოვანი ლიტერატურული პროდუქტის ლოდინით. გაზეთმა შეკრა და თავი მოუყარა მესხეთში მოღვაწე ყველა სახისა და ყველა დონის შემოქმედს, ხალხურ შემოქმედებას, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, ისტორიულ, ონომასტიკურ, ლიტერატურათმცოდნეობით, ლინგვისტურ, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ პუბლიკაციებს, გააცოცხლა მე-19-20 საუკუნის მივიწყებული წერილები და ბევრი მათგანი შემდეგ მსხვილტანიან გამოცემებად აქცია.

ავთანდილ ბერიძე იდეის კაცია. იდეის გულისთვის სწირავს ყველაფერს. ამბობენ, ფული ყველაფერიაო. თუ ფული ყველა-ფერია, შეუძლებელია გაეკეთებინა მას ის, რაც გააკეთა. ფული

გაჩნდება, თუ ფულიანი დაინახავს, რომ საქმისთვის, მომავლის/ თვის სჭირდება პატიოსან მოღვაწეს დაფინანსება. როდესაც ავთობ ბერიძის საქმიანობას, აღსრულებულ იდეებს ვუყურებ, ვფიქრობ, მართლაც მძლავრია უკვე საქართველოში პატიოსანი ბიზნესი, ბევრია ისეთი ფულიანი კაცი, ვისთვისაც თავისი ქვეყნის მომავალი სულ ერთი არ არის. სხვაგვარად წარმოუდგენელია შედეგები, რასაც ავთანდილ ბერიძე აღწევს.

70 წლისა გახდა ავთანდილ ბერიძე. თავის იუბილეს მიუძღვნა პოეტმა მშვენიერი ლექსების წიგნი „მარადიული ვალი“, რომელშიც აქა-იქ ასაკზეც ლაპარაკობს, შემოპარულ სიბერეს აღიარებს:

„დავბერდი,  
და მაინც არ ვიტეხ  
იხტიბარს –  
წლები რომ მამძიმებს,  
არც დარდი, გულს  
შემოწოლილი,  
ღამე რომ სულ აღარ მაძინებს“.

მისი ცხოვრება და რიტმი სხვა რამეს მეტყველებს. სამოცდაათი წლის ავთანდილს არავითარი სიბერე არ ეტყობა. ჩვეული ენერგიით, ჩვეული შემართებით აგრძელებს დაწყებულ საქმეს.

ძალიან გაუჭირდებოდა ავთანდილ ბერიძეს იმ ყველაფრის გაკეთება, რაც გააკეთა, მხარში რომ არ სდგომოდა შესანიშნავი ადამიანი, მეუღლე ქეთევანი. საქართველო მათი შესანიშნავი ოჯახისაგან ახალ-ახალ გამარჯვებებს ელის. ვულოცავ ავთოს ღირს-შესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, იმ შემართებით სიარულს, რომლითაც ვართ ნაჩვევი მისი მეგობრები.

მერაბ ბერიძე  
პროფესორი

„ლიტერატურული მესხეთის“ დამფუძნებელს, მესხური ფოლკლორის მკვლევარს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს 70 წელი შეუსრულდა. ბატონი ავთანდილი იმ მცირერიცხოვან მოღვაწეთა შორისაა, ვინც თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს გამორჩეულ კუთხეს, მესხეთს, მისი მდიდარი ისტორიული წარსულის კვლევას და წარმოჩენას მიუძღვნა.

ასეთი ადამიანები ჩუმად იღვნიან, ფუტკარივით შრომობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ სათანადოდ არ აფასებენ.

ბატონი ავთანდილის დამსახურებაა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ გამოსაცემად მომზადებული ფოლკლორის 900 გვერდიანი წიგნი. 750 გვერდიანი „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, ასევე ასპინძის ომის 250 წლისთავისადმი მიძღვნილი ისტორიული კრებული.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სახელით, ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ მრავალჯამიერ სიცოცხლეს.

პატივისცემით, ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

## ავთონ გერიძე -70

ზოგს მთელი ცხოვრება არ ჰყოფნის ქვეყნის წინაშე თავისი მოკრძალებული ვალის მოსახდელად, ბატონ ავთოს კიდევ მხოლოდ „მესხური ფოლკლორის“ მარგალიტების მისხალ-მისხალ შეგროვება და გამოცემაც კი ეყოფოდა, რომ ჩვენი ტანჯული კუთხის წინაშე ვალმოხდილად ეგრძნო თავი, მაგრამ დაუშრეტელი ენერგიის და ფანტაზიის პატრონი დღენიადაგ საქვეყნო საქმეების კეთებაშია.

ოცი-ოცდაათი წლის წინათ მეტისმეტად საშური საქმე იყო ჩვენი თანამემამულებისთვის ისედაც ასე დაცოტავებული და დანარჩენი საქართველოდან „შლაგბაუმით“ წლობით გამოყოფილი მესხეთის მთელი თავისი ბრწყინვალებით ახლიდან გაცნობა და

შეყვარება, ბატონმა ავთომ თავის თანამოაზრებთან ერთად უმისია იკისრა და ბრწყინვალედ მოახერხა! წლების განმავლობაში ხელიდან-ხელში სატარებელ გაზეთს გამოსცემს და ერთ დროს მოგიზგიზე და დროებით მინელებულ მესხურ სულს და ტრადიციებს აღვივებს და აცოცხლებს.

ძალიან უბრალო და ორმა სულის ადამიანს უამრავი მამულიშვილური საქმის თავდაუზოგავად კეთება ეხერხება და ამიტომ მისი სამსახური ქვეყანას კიდევ ძალიან დიდხანს სჭირდება.

სამოცდაათი წლის იუბილეს მივულოცავ გულითადად ჩემს უფროს ძმას და მეგობარს! დდლეგრძელობას, შემოქმედებით ნარმატებებს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ მანამდე, ვიდრე ასე „შეკვეცილი“ ჩვენი მესხეთი კიდევ ერთხელ გაგვიბრწყინდეს!

კუკური მეტრეველი

## ღმერთმა გვიმრავლოს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს ვულოცავ 70 წლის იუბილეს.

ბატონო ავთანდილ! თქვენ ძალიან დიდი წვლილი მიგიძლვით როგორც ასპინძის, ასევე რეგიონის კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარებაში. თქვენი მრავალმხრივი საქმიანობა მაღალ პროფესიონალიზმს ეფუძნება, რომელიც თქვენ მიერ შექმნილ წიგნებსა და გაზეთებში ნათლადაა გაცოცხლებული და გადმოცემული.

მინდა გამოვთქვა მადლიერება თქვენ მიერ გაწეული დიდი შრომისა და ღვაწლისათვის, მოგილოცოთ 70-ე დაბადების დღე-ღმერთმა გვიმრავლოს მესხეთში თქვენნაირი მამულიშვილები. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს დიდოჯახთან ერთად.

იმედი გვაქვს, თქვენ კიდევ ბევრის გაკეთებას შეძლებთ ჩვენი ქვეყნის წინაშე ესოდენ მნიშვნელოვანი ლიტერატურული და სამეცნიერო კერის განვითარებაში.

როსტომ მაგრაქველიძე  
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

ღმერთმა დალოცოს ის დღე, რომელ დღესაც შენ დაიბადე 70 წლის წინ, რომლითაც ამ დიდმა ოჯახმა გაიხარა.

ღმერთმა დაგლოცოს! ღმერთმა გაკურთხოს! ღმერთმა ძალა მოგცეს! ღმერთმა სიყვარულში დაგაბეროს!

დეკანოზი, მამა სტეფანე ნადირაძე  
ახალციხის წმ. მარინეს ტაძრის წინამდლვარი

## საუკუნო საგზალი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, ბატონ ავთან-დილ ბერიძეს ვულოცავ 70 წლის იუბილეს. ფასდაუდებელია მისი მოღვაწეობა ბეჭდვური მედიის, პოეზიისა და ლიტერატურის განვითარების მიმართულებით სამცე-ჯავახეთში. მან შეძლო და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე ასახა ჩვენი მხარის ისტორია და კულტურა. დასაფასებელია მისი დაუღალავი შრომა ფოლკლორის კვლევაში, ბატონმა ავთომ შეკრიბა მესხური ფოლკლორის ის ნიმუშები, რომელიც „საუკუნო საგზალად“ გაჰყვება ჩვენს მომავალ თაობებს. დიდი პატივისცემით ვულოცავ, დღეგრძელობასა და წარმატებებს ვუსურვებ შემოქმედებით საქმიანობაში.

ეკა ორჯონიკიძე, გერმანისტი  
სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი

## მესხეთის ოაზისი

ორგანიზაციული ნიჭი ისეთი თანდაყოლილი თვისებაა, როგორც შემოქმედებითი. ღმერთმა არც ერთი და არც მეორე არ დაამადლა მას. მართლა წარმოუდგენელი ძალისა, სულიერი ენერგიის უნდა იყო, რომ შეძლო ის, რაც მან შეძლო.

ბატონი ავთანდილის წყალობით სამხრეთ საქართველოში, ისტორიულ მესხეთში გაჩნდა ქართული კულტურის ერთ-ერთი

ოაზისი. სად არ ნახავთ მას... ამ დაუშრეტელი შესაძლებლობის  
მქონე ადამიანმა სულიერი მადლით განმსჭავლა მრავალი მისე  
სიკეთე გადამდებია. შენც შეგაგულიანებს, რომ ჩაიდინო მსგავსი  
საქციელი. ჩვენ მომავალში კიდევ უფრო მეტს ველოდებით მის-  
გან. ავთანდილ ბერიძის მსგავსი ადამიანები იმისთვის არსებობენ,  
რომ ჩვენმა გონიერად არ მიიძინოს და თვითდინებაზე არ იყოს  
მიშვებული ჩვენი ერი.

ვულოცავ მას 70 წლის იუბილეს და ვუსურვებ დიდხანს სი-  
ცოცხლეს!

ეს ჩემი პატარა ლექსი ეძღვნება ყველა მოამაგე ქართველს და  
მათ შორის ბატონ ავთანდილ ბერიძეს:

„ველარ მომგვარეს ურუოლა ფიქრებმა,  
ვერ წარმიკვეთეს სასო დარდებმა,  
ჩემში ყოველი ბრძოლით იწყება  
და ყოველივე ბრძოლით მთავრდება.“

ერეკლე სალლიანი  
პოეტი, ჩოხოსანი

## ჩემო ავთო

ჩემო ავთო, ხარისხს სიცოცხლისას წელით როდი განსაზღვ-  
რავენ. ერთადერთი განმსაზღვრელი, ჩემი ცხოვრების წესია.  
იცოცხლო მხოლოდ შენთვის და ისიც 70 წელი, ვერაფერს ვხედავ  
თავმოსაწონებელს, თუ შენს ქვეყნას და შენს ხალხს, ვერაფერი  
სამსახური გაუწიე, თუ არ დაიხარჯე, როდესაც ერთსაც სჭირ-  
დები და მეორესაც. ძნელია ამ დროს ზომიერების დაცვა. საკმა-  
რისია ან ერთს მოაკლო ან მეორეს, ფურცელ-ფურცელ გადაგიშ-  
ლიან შენი ცხოვრების ისტორიას ყველაფერს. საყვედურებით  
აგავსებენ და არაფერს გაპატივებენ. გაკეთებულს დაგივიწყებენ და  
ყოველივეს თვალგაუვალ ბურუსში გაგიხვევენ. ზომიერება ერთ-  
თანაც და მეორესთანაც რჩეული კაცებისთვისა შესაძლებელი

სანჯლის პირზე მოსიარულე კაცებისთვის, შენ ერთ-ერთი ამ  
კაცთაგან გამორჩეული კაცთაგანი ხარ.

70 წელი ის სახითათო ასაკია, ის სიმაღლეა, საიდანაც შენი გა-  
კეთებული აშკარად ჩანს. ჩანს, რა გაქვს თავმოსაწონებელი, როცა  
წინაპართა საუფლოში იდგები ვალმოხდილი წინაპრების წინ.

სწორედ ასეთ კაცს მინდა მოგილოცო 70 წლის შინაარსიანად  
გავლა და დარჩენილი, რამდენადაც შესაძლებელია ასეთივე მოწა-  
დინებით, როგორც დღემდე, აქამდის გივლია.

კეთილის სურვილებით, შენი ტარიელ ხარხელაური.

**ტარიელ ხარხელაური, პოეტი**  
13.03.2020

## ჩვენი ავთო

ავთანდილი, ჩვენი ავთო ბერიძე, ჩემი სიტყვაძუნნი, ერთი ერთი  
მოფუსფუსე, პიროფლიანი ქართველი მოღვაწეა. მის სახელთან  
ძალიან ბევრი კეთილშობილური საქმეა დაკავშირებული.

იგი მესხეთის ლიტერატურის მემატიანეა. მრავალი კეთილი  
წამოწყების სულის ჩამდგმელი, ჩვენი დიდი ოჯახის სრულუფლე-  
ბიანი წევრი, უკვდავი შოთას ლირსეული მემკვიდრე - „მისი  
ავთანდილი“...

ჩემი გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული მიემატოს, მის  
კაცურ სახელს.

**თემურ ჩალაბაშვილი**  
მწერალთა კავშირი

ტერმინები - „მესხი“ და „მესხეთი“ უძველესი დროიდან ერთგულებისა და მამულისთვის თავდაუზოგავი შენირვის სიმბოლოებად იქცნენ ჩვენს ისტორიაში. სხვა რომ არაფერი, გარნისის და შალვა ახალციხელის გახსენებაც საკმარისი იქნებოდა საამისოდ.

„მესხი - სწავლითა ქვებული“ - ეს უნიკალური ნიშანი საქართველოს ამ კუთხისა ხაზგასმით გამოკვეთა გრიგოლ ორბელიანმა და უპირობოდ, მთელი ქვეყნის გასაგონად განაცხადა, რომ ქართველთა განსწავლულობის ზედა ზღვარი სწორედ მესხებსა და მესხეთზე გადიოდა. „ვინმე მესხმა მელექსემ“ ხომ სულაც კაცობრიობის პოეტური და ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალებს მიაწვდინა ქართული გენი.

ბედნიერი შემთხვევაა, როცა სიქველე, მამულიშვილობა და განსწავლულობა ერთ პიროვნებაში შეერთდება. ჩემთვის ასეთია დღევანდელი იუბილარი, „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი, პოეტი, შემდგენელი და გამომცემელი არაერთი წიგნის, და მათ შორის, უნიკალური მესხური ფოლკლორის ოთხომეულისა, შოთაობის დღესასწაულის და მასთან დაკავშირებული ლიტერატურული კონკურსის ორგანიზატორი და თაოსანი, მესხეთის დაუღალავი მეტრიული უზადო მსახური - ავთანდილ ბერიძე.

ყველაფერს, რაც მესხეთს ეხება, ბატონი ავთანდილი ერთიანი საქართველოს სიმაღლიდან განიხილავს, რადგან მშვენივრად იცის, რომ მესხური კულტურა ქართული კულტურის ნანილია, მასთან განუყოფელი და მისეული. ამ სულისკვეთებისაა „ლიტერატურული მესხეთიც“ და ზემოთნახსენები ლიტერატურული კონკურსიც სრულიად საქართველოს სამწერლო ნაღვანს რომ მოიცავს, ყველა კუთხის შემოქმედს რომ ერთნაირი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით წარმოაჩენს და თავისი დონითა თუ პრობლემატურობით არა თუ ჩამორჩება დედაქალაქის, ან რომელიმე რეგიონის ბეჭდვით ლიტერატურულ ორგანოს, არამედ ხშირად აღემატება კიდეც.

ავთანდილ ბერიძის ინიციატივით შექრებულ და გამოცემულ  
ჭეშმარიტად გამორჩეულ მესხურ ფოლკლორზე ჩვენს ფოლკლორის  
რისტებს ჯერ არ უთქვამთ თავისი სიტყვა, ასე შესაშური და აუცილებელი რომაა მასალის უნიკალურობიდან გამომდინარე. მითხრეს, ბატონმა ავთანდილმა არ გაამხილაო თავისი საიუბილეო თარიღი. ვიცი, რატომაც არ გაამხილა და არც მე ვიტყვი... იმდენი რამ აქვს ჩაფიქრებული, იმდენი აქვს გასაკეთებელი და მოსასწრები, არ გაემტყუნება, თუ ზენაარს თავისი ასაკის შეხსენებით თავს არ შეაწყინს... ამ საქმეებს ხომ მისებრი ცოდნითა და ერთგულებით ვერც ვერავინ გაუძლვება და ვერც ბოლომდე მიიყვანს.

ბატონო ავთანდილ, გამხელა-არგამხელა თქვენი ნებაა, მაგრამ ღმერთი სიყვარულია, რად და რისთვის გჭირდებათ ეს წლები, იცის კურთხეულმა და აუცილებლად მოგმადლებთ დროსაც და ჟამსაც ჩანაფიქრთა ნარმატებით აღსასრულებლად. შოთაობა რომ აღდგა, პირველად მაშინ ვიყავი მესხეთში და პირველი პრემიის ლაურეატიც გავხდი, მაგრამ ეს არცყო მახსოვდა, იმდენად ბედნიერი ვიყავი, რომ აქ, ასპინძაში, ნამდვილი საქართველო და მამულის სიყვარულით გულანთებული არაერთი ადამიანი ვნახე, მათ შორის უპირველესი ბატონო ავთანდილი გახლდათ.

შეუძლებელია, არ გავიხსენო, რა ენთუზიაზმით, რა სიყვარულით აგროვებდა მესხეთთან დაკავშირებულ ლექსებს ბატონი ავთანდილი თემატურ კრებულის გამოსაცემად. ხან გვაქეზებდა, არც მოფერებას იშურებდა, ზოგჯერ - არც საყვედურს, რომ რუსთაველის მშობლიურ კუთხეზე ლექსი არ გვქონდა. მე პირადად ასე დამაწერინა ორი ლექსი.

ეს ლექსები თქვენმიერია, თქვენი ნაწყალობევია, ბატონო ავთანდილ და თქვენც და მესხეთსაც მშვიდობაში და სიხარულში მოგახმაროთ.

ასევე თქვენეულია, თქვენს სინდისზე, პატიოსნებასა და ლიტერატურულ გემოვნებაზეა დამყარებული შოთაობის ლიტერატურული კონკურსი, ყველა შემოქმედისთვის რომ საპატიოდ ქცეულა აქ მიღებული ჯილდო.

სიტყვასაც დაგილოცავთ, საქმესაც დაგილოცავთ, სამშობლოსაც, თქვენს სათაყვანო მესხეთსაც და ოჯახსაც, ბატონო ავთანდილ, ნუ გავამხელო წელთა რაოდენობას, თუ არ გსურთ, მაგრამ

სამი ამდენი აგათვლევინოთ კიდევ უფალმა, ასევე ღირსეულად  
და ასეთივე ენერგიით მავალს თქვენი ცხოვრების დიდ გზაზე

მამულიშვილნიც მრავლად გვეყოლება, მელექსენიც, მესხეთის-  
თვის გულანთებული და თავშენირულნიც, მაგრამ მათ შორის  
ყოველთვის დამსახურებულად გამოირჩევა, ახლაც და მომავალ-  
შიც, ბატონი ავთანდილ ბერიძის გვარ-სახელი.

მრავალსა წელსა, ბატონი ავთანდილ, მრავალსა წელსა!

მანანა ჩიტიშვილი, პოეტი

## პოლო, ღვალეით სავსე კაცი

რა ვიცი, რა უნდა ვთქვა, ძალიან საქმიანი და მართლა ძალიან  
მშრომელი და გულიანი ადამიანია, ბატონი ავთანდილი. მე ვხედავ,  
როგორი კორპუსები დადო მესხეთზე. ეს არის ბედნიერება, რო  
ეგეთი, ბოლო, ღვანლით სავსე კაცი ყავს ამ კუთხეს და მე მხო-  
ლოდ ვისურვებდი, რო იყოს დიდხანს ჯანმრთელი და აი, ეს ენერ-  
გია ჰქონდეს უშრეტად, რო, რაც შეიძლება მეტი გაუკეთოს ამ  
ჩვენ სათაყვანო კუთხეს. ძან ერთგულობს და ძალიან ბევრი  
შრომა აქ განეული, ჩვენ დარგში, ზეპირსიტყვიერებაში. ეხლა,  
სხვა მხრივ მე არც მივცემ ჩემს თავს უფლებას, რო და ჩვენ, რაც  
შეგვეძლება და, რაც შეგვიძლია, იცის მან, ჩვენი დამოკიდებუ-  
ლებაც, ჩემიც, ჩემი მეუღლისაც, ამირან არაბულის. რა თქმა უნდა  
ვერთგულებთ მის, ძალიან ეროვნულ საქმიანობას.

შოთაობა ისეთია, როგორც, როგორებიც ვართ ქართველები.  
რო. სუყველაფერს გავიტაცებთ, ხან მესხეთში ვიხდით, ხან იყალ-  
თოში ვიხდით, ხან ანუ ეგ მე არ მაღიზიანებს ეგეთი რამე, იმიტო  
რო ეხლა, ბოლო რაღაც ვარაუდებით, მე ძალიან სერიოზული,  
ესეთი ნაშრომი მაქვს ნაკითხული, რომ ჰერულ დიალექტზე  
სულაც შექმნილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ძან საინტერესოა. იმიტო  
რო მე „ვეფხისტყაოსანს“, ვერც აღვიქვამ, რომ ცოცხალმა ავტორ-  
მა დანერა. აი, ხო დავჭრდი, ბავშვობიდან მგონია, რო აი, რაღაც

ზეცა გაიხსნა და ჩამოვარდა ეს, თორე, ეს ხო ცოცხალ ადამიანს,  
მიწიერს ხო არ შეეძლო, რო ეგეთი რამე გაეკეთა. ეგ არი ქართული  
ველისთვის აი, სიცოცხლეზე ძვირფასი წიგნი. მე ამას არ ვამბობ,  
აი, რაღაც „ურა“ პატრიოტობიზმით და რაღაც, ვინმეს მოსახიბ-  
ლად. მართლა არი ეგეთი და რაც მეტად, ყველა კუთხეს მოუნ-  
დება და მესხეთზე ეხლა ბევრი რამეა სავარაუდო და საფუძველი  
და ა.შ. თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი კვლევა ახლა, ალბათ,  
ძან ბევრ რუსთველოლოგს საშინლად გავანაწყენებ, ჯერ კიდე  
შორს არი. მიუხედავად, აი, ამდენი ძალიან ცნობილი მეცნიერის,  
ამდენი რუსთველოლოგების მთელი ლაშქარი მუშაობს, ხო?! და  
ეგ არის ბედნიერება და სწორედ ამითია ეს გამორჩეული და მეს-  
ხეთს ისეთივე უფლება აქ და მე, მართლა ვისურვებდი, რო ეგეთი  
გრანდიოზული ამბები, სწორედ ეგეთ კუთხებში უნდა ხდებოდეს.  
აი, ეგეთი დამოკიდებულებები ნამდვილი კულტურისადმი, სადაც  
ჩვენ ძალიან ვჭირდებით მხარდასაჭერად, ჩვენნაირი ხალხი. მე  
არავინ არ ვარ, მაგრამ, მე ვამბობ. ნამდვილი ლიტერატორები და  
ნამდვილი ქართული სიტყვის ქომაგი ხალხი. და ამდენად, რა თქმა  
უნდა მე მთელი გულით მიხარია, რო იქ და ტრადიციადაც იქცა  
და შინაგანადაც დასაჯერებელია, იქ რო მიდიხარ, მესხეთში. იმი-  
ტო რო ეგ მოგწონს ადამიანს და იქ სხვა რაღაც გელოდება, სხვა  
სინამდვილე, სხვა სიძველე, სხვა დამოკიდებულება, ყველაფერი  
ქართულისადმი.

და ამდენად, მე მართლა ძან ბედნიერი ვარ, რო იქ ეგეთ ამ-  
ბავს, თავს ადგამენ, აბამენ და ესეთ საზეიმოს ჰედიან ამ ამბავს  
და მე ვისურვებდი მხოლოდ, რო უშრეტად და უწყვეტად ჰქო-  
ნოდეს ეგ განწყობები მესხეთს და ათასჯერ მეტი.

P.S სტილი, სიტყვა სიტყვით დაცულია!

(დიქტოფონზე ჩაიწერა ეკა სალალაიამ, წერილობით  
გადმოსცა ციური მესხიშვილმა)  
ეთერ (ეთერო) თათარაიძე  
ფოლკლორისტი

ავთანდილ ბერიძე სამოცდაათის გამხდარა ოციოდე წლის წინ, ფერეიდანში, სამეცნიერო ექსპედიციით ყოფნისას, სოფელ ჩოლიორთის შესასვლელთან, შემოდგომის მზეს მიფიცხებული, უსინათლო მოხუცი ქართველი კაცი - ალი თავაზო (თავაზაშვილი) გავიცანით. როგორც კი გაიგო მან, რომ საქართველოდან ვიყავით, წამოინია, ჩვენი დახმარებით წამოიმართა და შეგვევედრა: - არ მინდა ისე მოვკვდე, ერთხელ მაინც არ ვნახო ჩემი საქართველო, გევედრებით, წამიყვანეთ საქართველოში და თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა. იქ რას ხედავდა და აქ რას წახავდა ის დალოცვილი, მაგრამ სამშობლოს სიყვარული რომ გენეტიკაში აქვს ქართველ კაცს, ამის დასტური თუნდაც იმ ფერეიდნელის უსინათლო თვალებიდან ჩამოგორებული ცრემლებიდან ჩანს. ავთანდილ ბერიძე ერთ-ერთი ის ქართველია, რომელიც იმ ფერეიდნელივით ატარებს გულში სამშობლოს სიყვარულს და არაფერს იშურებს მისი მსახურებისთვის. ამის დასტურია ის გამორჩეული წვლილი, რომელიც მას, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მიუძღვის სამშობლოს ერთ-ერთი ძირძველი და ულამაზესი კუთხიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლების საშუალებით, ერის კულტურული მთლიანობის განმტკიცების საქმეში. ავთანდილ ბერიძე სამოცდაათი წლის გამხდარა, რომ იტყვიან, ის სრულ ფორმაშია, ვულოცავ მას ღირსეულ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს სამშობლოს საკუთილდღეოდ.

ნომადი ბართავ  
ალმოსავლეთმცოდნე, ირანისტი, პოეტი

ავთანდილ ბერიძე ცხოვრობს და მოღაწეობს საქართველოს  
სამხრეთის კართან, სამცხე-ჯავახეთში, მხარეში, რომელიც ისტო-  
რიულად საქართველოს ერთ-ერთი დიდი კულტურული ცენტრი  
გახლდათ. მისი ღვაწება მრავალმხრივი მიმართულებით უნდა გან-  
ვიხილოთ, არის პოეტი, რედაქტორი, მესხური ფოლკლორის  
მკვლევარი, სახალხო დღესასწაულების „შოთაობის“ ორგანიზატო-  
რი. ძალზედ დასაფასებელია მისი როლი მშობლიური კუთხის  
სულიერ ცხოვრებაში.

ამგვარი ადამიანები აცოცხლებენ და ახალ ენერგიას მატებენ ერთს კულტურული ცხოვრების ისტორიას.

## დავით შემოქმედელი

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების  
პრეზიდენტი, ქართული კულტურის დესპანი.

დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, ივანე მაჩაბლისა  
და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი.

## ჩემთვის: მაზარი

ბატონი ავთანდილ ბერიძის ღვაწლს რომ წარმოვიდგენ, მასესენ-დება ოპიზის, საფარისა თუ ზარზმის მონასტერის სენაკში მჯდო-მი ბერი, რომელიც ლოცვიდან ლოცვამდე წერს და წერს: ქმნის ახალ ნაშრომებს, აახლებს ძველ ხელნაწერებს, რედაქტორობს ახალ „მრავალთავებს“... თავისი რუდუნებით ჩემში რვა საუკუნის წინანდელი დიდებული ოქრომქანდაკებელი ბექა ოპიზარიც შეიძ-ლება გააცოცხლოს...

საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991), გარედან ორგანიზებული პუტჩებითა თუ სახელმწიფო გადატრიალებით განამებულ საქართველოში ძალიან რთულია, სრულიად უსახსროდ მყოფმა თავი გადადო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმისათვის და წარმატებას მიაღწიო. ეს



სირთულე დიდი რუდუნებით, პრინციპულობით, უღალატობით...  
დაძლია ბატონმა ავთანდილმა: პოსტსაბჭოთა საქართველოში  
„ლიტერატურული მესხეთის“ გამოცემა ნამდვილად დიდი ღირსე-  
ბაა, ღირსება, რომელიც ჩემთვის ეროვნული გმირობის ტოლფასია.

ბატონო ავთანდილ, გილოცავთ თქვენთვის ახალგაზრდულ  
ასაკს - 70 წელს.

ასე წარმატებით გაგეგრძელებინოთ მომავალშიც.

პატივისცემით **ტარიელ ფუტკარაძე**

საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,  
ქართველოლოგის ცენტრის ხელმძღვანელი

## მოღვაცეობის გვირგვინი

ბატონი ავთანდილ ბერიძის საქმიანობისა და მოღვაწეობის შე-  
სახებ ბევრი მსმენია. ბატონი ავთანდილის მიერ დაარსებული  
გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ერისა და კუთხის მშვენებაა.  
ისიც კარგად ვიცი, როგორი რუდუნებით ემზადება ყოველ წელს  
„შოთაობისათვის“ და ატარებს წარმატებულ კონკურსებს. მესხუ-  
რი ფოლკლორის მრავალტომეულის შედგენა კი მისი მოღვაწეო-  
ბის გვირგვინია.

სამწუხაროდ, არასოდეს დავსწრებივარ „შოთაობას“, რასაც  
აუცილებლად მალე გამოვასწორებ, რათა უკეთესად გავიცნო ბა-  
ტონი ავთანდილი და კიდევ ერთხელ შევხვდე ძველ უნივერსიტე-  
ტელ კოლეგას, ბატონ მერაბ ბერიძეს, რომელიც დღეს ახალციხის  
უნივერსიტეტის გადარჩენისა და აღორძინების სამსახურში დგას.

გულითადად ვულოცავ ბატონ ავთანდილ ბერიძეს 70 წლის  
იუბილეს და მომავალშიც მესხეთის საკადრის მხნეობას  
ვუსურვებ!

აკადემიკოსი, **ინესა მერაბიშვილი**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

ოდითგან მოყოლებული ასე იყო - საქართველო დიდი კაცების მხრებზე იდგა. მაშინ გვიღლებიდა, როცა მათ ვუსმენდით, გვიჭირდა, როცა ისე ვკორტნიდით, „როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

რამ გადაგვარჩინაო - ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის, კითხვის გარეშეც არაერთხელ დავუფიქრებივარ ჩემი ქვეყნის სვე-ბედს... ალბათ უფრო უფლის რწმენამ და სულის სიმაღლემ გვიხსნა ათასი განსაცდელისგან. ეს რწმენაც, ეს სიმაღლეც ღვთისკაცთა მადლით გადადიოდა ქართველიდან ქართველზე, ერიდან ბერზე და ბერიდან ერზე...

მე მიხარია, რომ ჩემს საახლობლო წრეში ბევრი ისეთი ერისკაცია, საქართველოს დაცემისა და დანებების საშუალებას რომ არ მისცემენ, სიცოცხლესაც გასწირავენ იმისათვის, რომ უკვდავი იყოს ქართული სული, უკვდავი და უფალივით მარადიული.

მათ შორის ბატონი ავთანდილ ბერიძეც გახლავთ, ჩემი უფროსი მეგობარი...

ვიცი, წაიკითხავს ამ წერილს და გამიწყრება, ისე, თავისთვის, გულში ჩაიკლავს ამ წყენასაც და ალბათ, საყვედურის თქმაც მოერიდება. განაწყენებაც გულწრფელი იქნება.

რჩეულთა მთავარი ნიშა ხომ თავმდაბლობაა, არა მოჩვენებითი, ფარისევლური, არამედ უშუალო, გულიდან მომდინარე.

რამდენ საქმეს აკეთებს მართლაც ეს ღვთისაგან ხელდასმული კაცი. ჯერ „ლიტერატურული მესხეთი“ ვთქვათ მარტო, ოც წელზე მეტია ამ გაზეთით ისტორიას ქმნის, საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის სამცხე-ჯავახეთის ისტორიას, ამაგრებს და აქვითკირებს საქართველოს სამხრეთ კარიბჭესთან ყოველივე ქართულს, ეროვნულს.

ღირსეულად თავკაცობს მესხეთში მოღვაწე ჩვენს თანამოკალმებს და რაც მთავარია, ყოველწლიურად კიდევ უფრო გვაახლოებს და გვაყვარებს ჩვენს გენიალურ რუსთაველს, როგორც ერთ-ერთი მოთავე და სული ჩამდგმელი „შოთაობის“ ბრწყინვალე დღესასწაულებისა.

ჩემთვის ავთანდილ ბერიძე სამცხეში მცხოვრები ძმის სახეა /  
მესხის სახე.

გულით მახარებს მისი 70 წლის იუბილე, მზეგრძელობა მისცეს  
უფალმა!

**დავით ახლოური**

შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის  
მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე

## ესეთის ერთგული პოვაბი

მინდა ლრმა პატივისცემა გამოვხატო ჩვენი მეგობრის – პოეტის, პროზაიკოსის, მკვლევრის, საუკეთესო ქართველის და მოქალაქის – ბატონი ავთანდილ ბერიძის მიმართ და გულითადად მივულოცო სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის თანამშრომელთა სახელით ღირსეულად განვლილი 70 წლის იუბილე. ამასთანავე, გულწრფელად ვუსურვოთ, რათა კვლავ მრავალი წელი ემსახუროს მისთვის და ჩვენთვის სათაყვანებელი, დიდი ისტორიისა და გმირული წარსულის მქონე სამცხე-ჯავახეთის მხარის გაზეთის – „ღირსეული მესტეთის“ უკვდავსაყოფად, რომლის ყოველი ახალი წომრის გამოცემას დღესაც დიდი მოლოდინით ვხვდებით.

ამასთანავე, გულწრფელად მინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბატონი ავთანდილი ყოველი შეხვედრისას ახალ-ახალი შემოქმედებითი საქმიანობით გვაოცებს. თუნდაც ის რად ღირდა, როცა მან მოამზადა და გამოსცა საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნები „მესტური ფოლკლორი“, „მესხეთი ქართულ პოეზიაში“ და შვილიშვილებისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული – „მარადიულ ვალი“. გულწრფელად მინდა აღვნიშნო, რომ წინამდებარე კრებული მხოლოდ მის შვილიშვილებს კი არა, სრულიად საქართველოს ყველა თაობას წაადგება განსაკუთრებულად დღეს და მომავალშიც...

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ალბად დამეთახმებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ავთანდილ ბერიძისთანა ენერგიით სავსე, დაუღალავი, მებრძოლი სულის ადამიანები გვჭირდება ჩვენც და ჩვენს დიდებულ, ტკივილებით სავსე, მაგრამ სიმტკიცით გამორჩეულ საქართველოს...

კიდევ ერთხელ, გულითადად ვულოცავთ ბატონ ავთანდილ ბერიძეს - „ქართული კულტურის დესპანის“, „ქართული მწერლობის ამაგდარის“ და „ქართული კულტურის რაინდის“ წოდებების მატარებელ მეგობარს დაბადებიდან 70-ე წლისთავის იუბილეს.

ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯამრთელობას ოჯახთან ერთად და იმ კეთილშობილ საქმიანობაში წარმატებებს, რომელ-საც ის უანგაროდ ემსახურება.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით, **ციური ლაფარი**

## ავთო პერი - 70

არ მახსოვს, რა დროიდან ვიცნობ ავთოს, რომელთანაც კოლეგის, თანამშრომლის, მეგობრის ცხოვრებისეული გამოცდილება მაკავშირებს. ჩვენი დედები ერთად მუშაობდნენ და ალბათ საავადმყოფოს ეზოში ერთადაც გვითამაშია. მოგვიანებით, როცა ერთად ვმუშაობდით, მისი პედანტობამდე მისული წესიერება და ორგანიზებულობა წუთით არ გვაძლევდა იმის უფლებას, რომ მოვშვებულიყავით, ან ნახევარი ძალით გვემუშავა. ახალგაზრდები ვიყავით და ენერგიულები, ავთო უდიდესი პასუხისმგებლობით და შრომისმოყვარეობით აღჭურვილი მიდიოდა წინ და მივყვებოდით მთელი ჩვენი კოლექტივი და რაიონის ახალგაზრდობა. მაშინდელ ჩვენს საქმიანობებს რომ ვიხსენებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, როგორ შეიძლება ადამიანმა სამსახურებრივი პასუხისმგებლობა

ქვეყნის სიყვარულს ისე შეუთავსო, რომ საქვეყნო საქმე სამსახურებრივ დავალებებს არ ანაცვალო და თამამად შეხედო თვალებში, არა მარტო შენს, არამედ მომავალ თაობებსაც.

ასპინძელებისათვის მოულოდნელი ნამდვილად არ იქნებოდა ავთოს საზოგადოებრივი აქტიურობა და წინსვლა. ის უმცროსია ძმებში. ოთხი საუკეთესო, პატრიოტი და შემოქმედი ძმა ასპინძის მკვიდრია. თითოეულმა მათგანმა თავისი საქმე აკეთა და აკეთებს, ჩუმად, თავისითვის. ყოველგვარი უდარუნ-ჩხრიალის გარეშე ხატავენ, წერენ და აშენებენ იმ გარემოს, რომელშიც მათი წარმატებული ნაგრამი ასევე უხმაუროდ ლიდერობს.

ოჯახი - თბილი და მყუდრო. ქეთინოს შეუძლია შექმნას სიმყუდროვე, ავთო შეძლებისდაგვარად შრომობს ფიზიკურად, თუ გონებრივად და შეილები ამ მშვიდ გარემოში იზრდებიან... სულ მომწონდა მათთან სტუმრობა, მონასტრული სიმშვიდე ქეთინოს თვალებში და ყოფის სიმძიმის არ დანახვა, თუ შერბილება და ისე გამკლავება, შენც რომ გიადვილებს ცხოვრებას და სხვასაც. აი, ეს ფიქრები მომებალა ავთო, როცა შენს 70-ე დაბადების დღეზე ვფიქრობდი. გილოცავ იუბილეს, გისურვებ ყველა დაწყებული საქმის შენთვის ჩვეული წარმატებით დასრულებას და ახალ წამოწყებებს, რათა კვლავ შეძლო უკეთ გააცნო სამცხე-ჯავახეთი საქართველოს, შეაყვარო მისი პოეზია და ისტორია, ყოფა და კულტურა. ეს დიდი მამულიშვილური ვალი შენ რაღაც მოხალი-სეობრივად იტვირთე და მრავალი ადამიანის ჩართულობა მოახერხე ამ დიდ საქმეში, გადამდებია შენი საქმისადმი ერთგულება და ესაა წარმატებულობის საწინდარი. „ლიტერატურული მესხეთი“ სიცოცხლეშივე აგებული ძეგლია შენი! დიდხანს ეცოცხლოს და ეარსებოს მას შენთან ერთად. სულ წინ და წინ სამშობლოს სიყვარულის რთულ გზაზე!

ლალი ბერიძე

ბატონ ავთო პერიძეს — თავისი კუთხისა და სამშობლოს მუხლიაუხრელ მსახურს 70 წელი შეუსრულდა... — კაცურად გავლილი შვიდი ათეული წელი.

მას პირველად ასპინძაში შევხვდი. ამას გაცნობას ვერ დავარქმევდი. ჩვენი თანამშრომლობა და მეგობრობა უკავშირდება მუზეუმს, უნივერსიტეტსა და გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“. განვლილმა ნლებმა ბევრი სასიამოვნოდ გასახსენებელი მოგონება დამიტოვა... არ მახსენდება ჩვენს მხარეში ჩატარებული ღონისძიება, ბატონი ავთო სიტყვით რომ არ გამოსულიყო მესხური სიდინჯით, ღრმა ცოდნით, საინტერესო მოგონებებითა და ახალი ინიციატივებით.

როცა მესხეთს დასჭირდა, დიდი საქმე ითავა. ეს იყო გაზეთის „ლიტერატურული მესხეთი“ გამოცემა. ერთი შეხედვით თითქოს ერთი რიგითი გაზეთია. არადა, რა დიდი სილრმე აქვს, რა დიდი სამსახური გაუწია მხარესაც და ქვეყანასაც. რა უზარმაზარ ტვირთს დაატარებს აგერ უკვე ოცდაორი წელიწადია. ეს ხომ ის გაზეთია, საქართველოს ყველა კუთხეში რომ ელოდებიან ყოველი ახალი ნომრის მიწოდებას... ეს იმოტომ, რომ იცის მკითხველის ინტერესები, ეპოქის საჭიროებანი და კიდევ ის, თუ ვისგან რა სტატია მოითხოვოს. ეს ყველაფერი როდია. მის სახელს ბევრი კარგი მამულიშვილური საქმე უკავშირდება: მისივე ინიციატივით, ჯერ კიდევ, 1987 წელს დაბა ასპინძაში გაიხსნა რუსთაველის მუზეუმი, დააფუძნა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდი, მისი რედაქტორობით გამოვიდა მესხეთში მოღვაწე პოეტთა ლექსების კრებული – „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“. 2015 წელს კი „მესხური ფოლკლორის“ პირველი ტომი (915 გვერდიანი, თანდართული მდიდარი ფოტოდოკუმენტური მასალით). შემდეგ იყო „მესხეთი ქართულ პოეზიაში“. წლების განმავლობაში იყო სახალხო დღესასწაულის „შოთაობის“ ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. სულ ახლახანს კი საკუთარი ლექსების კრებული „მარადიული ვალი“ მოგვართვა. კრებულის სათაურშიც გამჟღავნდა მისი პიროვნება და მამულიშვილობა...

შეიძლება ითქვას, რომ ღმერთმა მაშინ მოუვლინა მისი თავი  
მესხეთს, როდესაც ასე ძალიან სჭირდებოდა... მართლაც ჩვენს  
დროში ძნელად თუ მოიძებნება მასავით თავის კუთხეზე შეყვა-  
რებული და მზრუნველი ადამიანი...

ბატონი ავთო ბერიძე ის ადამიანია, რომელმაც კარგად იცის,  
რას ნიშნავს მამულის სიყვარული, შრომის, პატიოსნებისა და  
სინდისის ფასი. ღირსეული მესხია და ღირსეულად იხდის მამუ-  
ლიშვილურ ვალს თავისი ქვეყნის წინაშე... ამიტომაც არის ყვე-  
ლასთვის საყვარელი, მისაბაძი და საამაყო. ამიტომაც არის,  
„ქართველი რაინდის“ ტიტულს რომ ატარებს.

ვულოცავ ბატონ ავთოს საიუბილეო თარიღს. ვისურვებდი,  
რომ დიდხანს, დიდხანს არ მოუშალოს მისი თავი მშობელ ხალხს.

### ნატო ყრუაშვილი

\*\*\*

გიორგი სააკაძეს ფარზე ასეთი წარწერა ჰქონია: „ბედნიერია  
ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული.“ ხოლო ლევან გოთუა,  
ასეთ რამეს იტყვის თავის მოთხოვბაში: „არა საშიშ არიან მონ-  
ლოლნი, არამედ ჩვენი ზნეობანი, რომელნიც მათ წარყვნეს.“ ჩემი  
აზრით, ავთანდილ (ავთო) ბერიძის ყმანვილკაცობისდროინდელ  
თაობაში ძნელი იყო გეპოვნა ახალგაზრდა, ვისაც სამშობლოსათ-  
ვის არ ასძგერებია გული, ხოლო ახლა მის თაობაში ძნელია იპოვო  
კაცი, ვისაც ზნეწაურყვნელი მოეტანოს ის აგიზგიზებული გული  
ქვეყნის საკურთხეველზე შესანირად. მას თამამად შეუძლია  
თქვას: „-მე ვმსახურებდი ქვეყანას“. მართალიც იქნება. აგრე  
თითქმის ოცი წელია, კატორდულ შრომას ეწევა გაზეთ „ლიტერა-  
ტურული მესხეთის“ მთავარი რედაქტორის პოსტზე და დგას იმ  
ზნეობის სადარაჯოზე, რომელზეც დიდი მწერალი და ქვეყნის  
გულანთებული მოამაგე - ლევან გოთუა მიგვითითებს. დიდია  
ავთანდილ ბერიძის ღვანლი მესხური ფოლკლორის შეგროვება-  
გამოცემაში და პოპულარიზაციაში; რუსთაველის სახელობის

დღესასწაულის დამკვიდრებასა და იქ გამართულ კონკურსების  
დაწესებაში... „ხარს ვგავარ ნაიალალარს...“ ფშავ გენიოსს რომ არ  
ეთქვა - მე ავთანდილ ბერიძეზე ვიტყოდი. მიშვირს ჩამოვთვალო  
ყველა მისი ღვაწლი და ამიტომ მოკლედ ვეტყვი: - ავთო, ძმაო, ეს  
თითქმის ოცდაათი წელიწადი სამცხე-საჯავახო საასპარეზოდ  
შენია და ღმერთმა კეთილად მოგახმაროს. გილოცავ სამოცდაათი  
წლის იუბილეს!!! გამრავლდი.

### ზელიმხან მალრაძე

## პატონი ავთო, ღირსეული პიროვნება და მამულიგვილი!

ვწერ პიროვნებაზე, რომელიც თვლის, რომ დიდი შრომისა და  
მრავალფეროვანი საქმიანობის მიუხედავად, მაინც ვალშია, თან  
მარადიულ ვალში თავის ქვეყნის, რაიონის, ოჯახის, საზოგადოე-  
ბის წინაშე, ყველას წინაშე, ვისთანაც კი მცირედი ურთიერთობა  
მაინც ჰქონია. ვწერ პიროვნებაზე, რომელმაც კარგად იცის, რა  
როლი შეუძლია ითამაშოს ლიტერატურამ და ხელოვნებამ  
პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. ამიტომ მაშინაც კი, რო-  
დესაც ძალიან ჭირდა ყველა მხრივ, ხშირად მინახავს ბატონი  
ავთო თავისი საყვარელი „ლიტერატურული მესხეთით“ თბილისის  
ავტოსადგურში ასპინძისკენ მომავალი. ბევრჯერ მიფიქრია, რა  
არის ადამიანი, ვისთვის ოქრო და ფულია მთელი ცხოვრება და  
ვისთვის წიგნი და გაზეთი, ამიტომ ეს პიროვნება თავისი საზოგა-  
დოებრივი საქმიანობით, აზროვნებით, სამართლიანობით, მაღალი  
ჰასუხისმგებლობით, ჩემთვის ყოვლთვის იყო და არის მისაბაძი  
ადამიანი.

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, ბატონი ავთო მაშინ კომ-  
კავშირის რაიკომის მდივანი იყო. პიონერი ვარ და ვემზადები,  
კომკავშირის რიგებში უნდა მიმიღონ ასპინძის კომკავშირის რაი-  
კომში. ძალიან განვიცდიდი, რადგან ვფიქრობდი, ისეთი კითხვა  
არ დაესვათ, რომელსაც ვერ ვუპასუხებდი. „საბჭოთა კავშირის

ჰიმნი იცი?“ მეკითხება ან გარდაცვლილი ნოდარ მურადაშვილი, „მაგას სიმღერითაც ეცოდინება ჰიმნი, თანაც ქართულადაც უკავშირულადაც, ხუმრობს ბატონი ავთო, მე კი მიხარია, მართლაც ნამდვილად ვიცოდი. მიხაროდა, რადგან ყველა კითხვას ვუპასუხე და ამით, ჰიმნერის ყელსახვევს გამოვეთხოვე. ასეთი რეალობა იყო მაშინ, ჩვენ კი იმ რეალობის მონაწილენი, რადგან იმ პერიოდში მოგვიწია ცხოვრება.

ბატონი ავთო ჩვენი ოჯახის ახლობელი და მეგობარია. მახსოვს, სამსახურიდან მისულს მამაჩემი მკითხავდა ხოლმე: „ავთოს გაზეთი ხომ არ მომიტანე, შვილო“, და თუ აღმოჩნდებოდა, რომ მე „ლიტერატურული მესტეთი“ მქონდა ჰირადად მისთვის, ანუ „ავთოს გაზეთი“, ჰატარა ბავშვივით უხაროდა... რომ ნაიკითხავდა დეტალურად ყველაფერს, მერე მეტყოდა ხოლმე: „რამხელა საქმეს აკეთებს ეს კაცი, შვილო“. ამ დიდი საქმისთვის, თავისი მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ავთოს.

70 წელი ეს ის ასაკია, როცა გადაფასებული და განმტკიცებული ღირებულებებით, სხვებს უნდა ასწავლო, როგორ უყვარდეთ თავიანთი ქვეყანა. ეს ის ასაკია, როცა შენი ნარსულით და აწყმოთი, ფიქრობ მომავალზე, ოჯახზე, შვილებზე, შვილშვილებზე, იმ საზოგადოებაზე, ვისთანაც გიჩევს ურთიერთობა, შრომა და იმ „მარადიული ვალის“ (ასე ჰქვია ბატონ ავთოს ლექსების კრებულს) მოხდა, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია.

გულწრფეალდ ვულოცავ ბატონ ავთოს 70 წლის იუბილეს, ნამდვილ პროფესიონალსა და პიროვნული თვისებებით გამორჩეულ მწერალს, პოეტს, საზოგადო მოღვაწეს. ვუსურვებ ჯამრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და ნარმატებებს საზოგადოებრივ, სამეცნიერო და შემოქმედებით საქმიანობაში.

პატივისცემით, გულიკო ბექაური  
ფსიქოლოგიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების,  
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტის დეკანი

ბატონი ავთანდილ ბერიძის შემოქმედება არა მხოლოდ მესხეთი-სთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის ფასდაუდებელია. მას ძლიერ უყვარს თავისი კუთხე და აქვს უნარი, სხვასაც ასევე აგრძნობინოს და შეაყვაროს მესხეთი. ჩვენთვის, ყველასთვის, კარგად არის ცნობილი, თუ როგორი შემართებითა და ენერგიით იღწვის იგი მესხური ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის. მესხური ზეპირსიტყვიერება თავისი სიბრძნით, თავისი მასშტაბებით დასაფასებელია. გამორჩეული პიროვნებაა ბატონი ავთო, მესხეთის დიდი პატრიოტი და მამულიშვილია, გამორჩეულია საზოგადოებრივ ასპარეზზე მისი მოღვაწეობა. ეს გახლავთ კაცი დიდი სულის და გონების მატარებელი, რომელიც საოცრად უხდება მესხეთს.

გამოვხატავ რა ლრმა პატივისცემას მისდამი, სულითა და გულით ვულოცავ 70 წლის იუბილეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და წარმატებებს.

### ხათუნა ხმალაძე

ქალაქ ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

## მესხი მეომარივით თავდადებული!

ბატონი ავთანდილ ბერიძე 70 წლის გამხდარა. იგი ისეთი დაუჯერებელი ენერგიითაა სავსე, იმდენი მამულიშვილური საკეთებელი საქმე აქვს, რომ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ამ ასაკისა თუ იქნებოდა.

ბატონმა ავთანდილმა ჩემი ყურადღება თავისი ფასდაუდებელი მოღვაწეობით მიიქცია. რამდენჯერმე ტელეფონით შევეხმიანე და როდესაც პირადად გავიცანი, დიდი ხნის ნაცნობებივით შევხვდით ერთმანეთს.

ბატონი ავთანდილი, როგორც ყველა დიდი ადამიანი, უშუალო და გულისხმიერია. მესხეთში ლიტერატურული გაზეთის „ლიტერატურული მესხეთის“ გამომცემია, რომელიც მთელი საქართველოსთვის

უსაყვარლეს გაზეთად იქცა და რომელიც უმნიშვნელოვანესი ეროვნული ტკივილების მატარებელია. მხოლოდ დიდ ადამიანებს ხელენიფებათ. ასევე მნიშვნელოვანია ბატონი ავთანდილის თაოსნოით დაარსებული ლიტერატურული კონკურსი „შოთაობა“ და ქვეყნისათვის სასარგებლო საკეთებელი სხვა მრავალი საქმე, რომელთა ღირსეულად ზიდვა ერთი ადამიანის ძალისხმევას აღემატება. არადა, ბატონი ავთანდილი ამ მძიმე ტკირთს იოლად ენევა, რადგან იგი ძველი მესხი მეომარივით თავდადებული და სამშობლოს ერთგულია.

ბატონო ავთანდილ, გილოცავთ საიუბილეო თარიღს და დარწმუნებული ვარ, მომდევნო საიუბილეო თარიღებსაც ასეთივე ულევი ენერგიითა და უმნიშვნელოვანესი მამულიშვილური საქმეებით შეხვდებით.

### აკაკი დაუშვილი

ლიტერატურულ უურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი

## ოქრო კაცი

ავთანდილ ბერიძე ოქრო კაცია, ოქრო კაცი! ძალიან საყვარელი ადამიანი. კაცო, შემთხვევით გავიცანი, ჩვენი სკოლის დირექტორი რომ იყო, ერთ დროს, გოგი ივანიძე, იმის გასვენებაში... მაშინვე მოვიხიბლე მისი საუბრითა და თავმდაბლობით. მაგის გაზეთი ხომ გამოწერილი მაქვს და ჩემთვის ყველაზე ძვირფასი გაზეთია. მაგაზე უკეთესი სხვა გაზეთი არ არსებობს ჩემთვის. რა უნდა იყოს მაგაზე კარგი მთელს საქართველოში? სულ მესხეთის ჭირ-ვარამზე წერს და მისი ამოსავალი წერტილია. მაგას ვენაცვალე, მაგასა! ძალიან მომწონდა, ვიღაც „ავთანდილ მესხის“ ფსევდონიმით რომ აქვეყნებდა სტატიებს და შენ მითხარი: ეგ ავთანდილ ბერიძეაო, გამიკვირდა და თან ძალიან გამეხარდა. მაგის მერე უფრო ყურადღებით ვკითხულობ. მე მაგის პირველი წიგნიც მაქვს ფოლკლორზე, ჩემი რამდენიმე წერილიც დაბეჭდა, ვალის ეკლესის და ჯაყელების ისტორიას რომ ვიკლევდი. გაახაროს ღმერთმა! დღეს, 17 თებერვალს 94 წლის გავხდი, ჩემ ხნად მოიყაროს რომა, ეგ გაზეთი სულ იყოს! ვულოცამ! აჲა!-ასეა, შვილო, ზუსტად ასე ხომ დასწრე?

ვახტანგ ზაქროშვილი, ეკონომისტი



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთი“ 21 წლია რედაქტორისა და დამფუძნებლის ავთანდილ ბერიძის თაოსნობით ერთგულ მყითხველს საინტერესო სიახლეებს აცნობს. გაზეთის დამფუძნებელმა 21 წლის მანძილზე რეგიონში ბევრი ახალი პოეტი გააცნო საზოგადოებას.

მართლაც, „ლიტერატურულმა მესხეთმა“ ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას ჩაუყარა საფუძველი. რედაქცია მესხეთზე ლექსების კონკურსს აცხადებს და საუკეთესოებს გაზეთში აქვეყნებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართველი ემიგრანტებისთვის „ლიტერატურული მესხეთი“ იტალიასა და საბერძნეთშიც გამოდის. იგი ცმიგრანტებისთვის სულის მაღამოა. გაზეთის საფუძველზე მესხური ფოლკლორის წიგნი გამოიცა. 2700 გვერდიანი მესხური ფოლკლორის სამტომეულის შექმნა სწორედ ამის გამო გადაწყდა.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ საკითხების, რომელზეც  
წლების განმავლობაში ავთანდილ ბერიძეს უმუშავია. მიუხედავად  
იმისა, რომ რეგიონში შეძლო და წლების განმავლობაში შეინარ-  
ჩუნო გაზეთი იმ მისით, რომელიც ახალი პოეტების საზოგადოე-  
ბისთვის გაცნობას და ზოგადად ლიტერატურის მოყვარული ადა-  
მიანებისთვის საინტერესო სიახლეების მიწოდებაზე იზრუნო, ძა-  
ლიან რთულია, მითუმეტეს თუ ამ საკითხებს ემიგრანტებისთვის  
სულიერი საზრდოს მიწოდებაც ერთვის თან.

როგორც თავად ბატონი ავთანდილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: „თითქმის ყველა ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებს ვძექდავთ, განსაკუთრებული ადგილი ფოლკლორს და ისტორიულ თემატიკას უკავია. არის საპოლემიკო საკითხებიც. გაზეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკურია, თუმცა ჩვენ აპოლიტიკურები ვართ“.

ბატონი ავთანდილ, სწორედ ამ მისის ერთგული მსახურების-  
თვის და კიდევ ძალიან ბევრი კარგი საქმისთვის დიდ მადლობას  
გიხდით რეგიონული მედიის სახელით. ჯანმრთელობას, ბეჭდი-  
რებას და მხნეობას გისურვებთ, თქვენი მკითხველის საიმედო.

მაია იველაშვილი  
სამცხე-ჯავახეთი TV-9 არხის დირექტორი

„როდესაც უფალი ადამიანს ნიჭს უბოძებს,  
მან უნდა გაამრავლოს ვითარცა ოქრო“.

დიდებულია ის ადამიანი, ვინც ბიბლიური იგავის ამ სიბრძნით  
ხელმძღვანელობს, დაუღალავი შრომითა და ენერგიით ცდილობს,  
ნიჭი და ცოდნა თავისი ხალხის კეთილდღეობას მოახმაროს.

შეუძლებელია სიტყვებით შეაფასო ის დიდი ღვაწლი, რომელიც  
ბატონმა ავთანდილ ბერიძემ წლების განმავლობაში გასწია და  
ჩვენამდე მოიტანა. ჩვენი მხარის საუკუნოვანი ცოდნა და გამოც-  
დილება ცასა და ქვეყანას შორის განპირებული, ეთნოგრაფია, ისტო-  
რია, კულტურა, ფოლკლორის შეუფასებელ მარგალიტის მძივად  
შეკრა და საჩუქრად მიართვა მომავალ თაობებს. ამაზე მეტი რა  
უნდა შეძლო ადამიანმა, რომ ეპოქები ერთმანეთს შეახვედრო,  
ერთმანეთთან ასაუბრო და სიყვარული ჩაუნერგო, საკუთარი მხა-  
რისა და სამშობლოს მიმართ?!

მნამს, რომ მესხეთში გენია არ იკარგება და სწორედ ასეთ,  
დიდებულ ადამიანებში აგრძელებს ცხოვრებას, როგორიც ბატონი  
ავთოა. მასთან ერთი საუბარი ოქროდ ფასობს, მისი დამსახურება  
კი შეუფასებელია.

მინდა, მთელ მესხეთს მოვულოცო ასეთი დიდებული ადამიანის  
კუთხის შვილობა, ბატონ ავთოს – 70 წლის იუბილე. უფალმა  
დღეგრძელობა, მაღლი და წყალობა არ მოაკლოს და შეაძლებინოს  
ყველა ჩანაფიქრის განხორციელება!!!...

ირმა მერაბიშვილი, მხატვარი  
სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია

ბატონი ავთანდილ, გულწრფელად მინდა მოგილოცოთ 70 წლის იუბილე. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, როგორც ჩვენი მიწა-წყლის, ძირძველ მესხეთ-ჯავახეთის ერთ-ერთ კოლორიტ ადამიანს, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულს, დღემდე მუხ-ლჩაუხრელად, რომ ემსახურებით საქართველოს, ქართულ კულ-ტურას, ლიტრატურას. წლების მანძილზე არაერთი ეროვნული სა-ქმის სულისჩამდგმელი და უბადლოდ განმახორციელებელი ბრძან-დებით, თქვენი ღვანლი და შრომა მეტად დასაფასებელია და მად-ლობა თქვენ, ყველა ქართველის სახელით, ჯანმრთელობა, დღე-გრძელობა, მზეგრძელობა და შემართება არ მოგიშალოთ უფალმა.

**თამარ ეპრალიძე**

ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

## ფუტკარივით მოვალეობა

რაოოოო? ავთანდილ ბერიძე 70 წლის გახდა? რა ეტყობა მა-გას 70 წლის?! ისეთი მკვირცხლი და ენერგიულია... ასეთი თავ-მდაბალი, ჩუმი, მორიდებული, ფუტკარივით მოფუსტუსე და მშრომელი ადამიანი, მეორე არ შემხვედრია წლების განმავლობაში სტამბაში მუშაობის დროს. არ მახსენდება მისგან წარმოქმნილი რაიმე პრობლემა. ყველაფერი დროულად და თავაზიანად იცის. ყველა ასე რომ ვირჯებოდეთ, რაღა გვიჭირდა? მაგრამ, ასეთი ადამიანები დღეს იშვიათობაა. უდიდესი პატრიოტია. ისე უყვარს თავის საქმე და კუთხე, რომ გაბრწყინებული თვალებით შემოდის სტამბაში, რაღაც დიადისა და განსაკუთრებულის მოლოდინში.

ავთანდილისნაირი ერთი 4-5 კაცი რომ ჰყავდეს მესხეთს, მაგ კუთხეს ააყვავებდა, მაგრამ ახლა სადღა არიან საქმისთვის ასეთი თავდადებული ადამიანები?!

გვიმრავლოს ბატონი ავთანდილისნაირი ადამიანები. ვულოცავთ საიუბილეო-70 წელს! დალოცვილი იყოს და დიდხანს სიცოცხლე მას.

**ლევან თითერია, შ.პ.ს. „ს ა ა რ ი ს“ სტამბის დირექტორი**

ძალიან მიხარია, ბატონი ავთო როცა მოდის ჩვენთან, სტამბაში. ისეთი სასიამოვნო საუბარი აქვს, რომ სულ მინდა, ვუსმინო. რაღაცნაირ ხმაზე მოსაუბრე, მაშინვე კეთილად განგანწყობს თავის მიმართ. თბილი, ძალიან თბილია. იმდენად მორიდებულია, ყავასაც კი ვერ შესთავაზებ. ნეტა, ბევრი იყოს მაგისნაირები, ვულოცავთ.

**ხათუნა პაპუაშვილი**  
სტამბა „საარის“ დამკაბადონებელი

## მესეური გულითადობა

ბატონ ავთანდილს წლებია ვიცნობ ლიტერატურული კუთხიდან. მშვიდი, სათნო და თავაზიანი. თავისი ადამიანობითა და ადამიანებთან დამოკიდებულებით, ისეთი ენერგეტიკა და დადებით მუხტი მოდის მისგან, რომ შენც უნებურად იმავეს გასცემ. სხვანაირად ვერ მოიქცევით.

მასთან მრავალწლიანი კოლეგიალური ურთიერთობისას დავრნმუნდი, რომ ეროვნულ საქმეს პატიოსანი და პასუხისმგებლობით სავსე პიროვნება ესაჭიროება, ბ-ნი ავთანდილი ამ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს, რაც მასთან ურთიერთობას მიადვილებს. ის მესხეთის ნამდვილი ქომაგია და თავის ერთგულებას საქმით ამტკიცებს. ვუსურვებ კიდევ დიდხანს ჩვეული პროფესიონალიზმით იღვანოს საერთო საქმის საკეთილდღეოდ. „ლიტერატურული მესხეთი“ სწორედ მისი დაუღალავი მრომის ნაყოფია.

დაე, მარად უღერდეს მესხური ხმა საქართველოში ბატონი ავთანდილის თაოსნობით.

**ივა ქადაგიძე**  
მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი,  
ურნალ „ისინდის“ რედაქტორი

„ლიტერატურული მესხეთი,“ ვისთვის უბრალო გაზეთი და ვის-  
თვის მთელი ცხოვრება. ჩვენთვის კი გაზაფხულზე სპასოვკაში  
მოფრენილი წეროა.

1990 წლიდან, ხულოს რაიონიდან ჩამოსახლდა სტიქის შედე-  
გად და ზარალებული რამდენიმე ოჯახი. ნინოწმინდის ერთ პატა-  
რა სოფელ სპასოვკაში 90-იანი წლების დუხვირი ცხოვრება, კლი-  
მატური პირობები და საყვარელი კუთხესთან, სადაც დაიბადე და  
გაიზარდე სიმორე, ყველაფერი ერთად გაუსაძლისი იყო. იქ,  
სადაც ქართული სიტყვა არ ისმოდა, მაგრამ გაზეთმა „ლიტერა-  
ტურულმა მესხეთმა“ გვაგრძნობონა, რომ ჩვენ ადამიანები ვიყა-  
ვით და თანაც ქართველები, რომლებსაც გგვქონდა ულამაზესი  
დამწერლობა, ყველაფერი, ამ გაზეთის მეშვეობით, ჩვენთვის იყო  
„პური ჩვენი არსობისა“ არ ვაზვიადებ. უგზობის და უტრანსპორ-  
ტობის მნარე რეალობის დროს, ზოგჯერ გაზეთი დაბეჭდვიდან 2-  
3 კვირის შემდეგ ძლივს აღწევდა ჩვენამდე. მაგრამ, ეს გაზეთი,  
ჩვენთვის ძველი არასოდეს ყოფილა. ხელიდანხელში გადადიოდა  
მონაცვლეობით და უბრუნდებოდა სკოლის ბიბლიოთეკას, სადაც  
არც წიგნები გვქონდა და არც სხვა უურნალ- გაზეთები. ულრმესი  
მადლობა რედაქტორს და თითოეულ თანამშრომელს.

დიახ, ეს გაზეთი საჩუქრად მოდიოდა ჩვენთვის. ამაზე მეტი ი  
საჩუქრი რა უნდა ყოფილიყო? სოფელ სპასოვკაში რომ ქართული  
სული ტრიალებს, ამ გაზეთის და მისი რედაქტორის დიდი  
დამსახურებაა. ღმერთო, ასეთი პატრიოტი ადამიანები უმრავლე  
საქართველოს!

**ნაზი გოგილაშვილი**  
ნინოწმინდის რ-ს სოფელ სპასოვკის  
ქართული საჯარო სკოლის მასწავლებელი



რა ძნელი ყოფილა, სიყვარულში გამოუტყდე იმას, ვისაც ჰქონდა  
დად არ იცნობ, მაგრამ იცი, რომ შენია, შენი დედულეთიდანაა,  
უფრო მეტიც, დედაშენივით, ბერიძეთა მოდგმისაა ...

ალბათ მანამდეც მრავალჯერ უთქვამთ ეს სიტყვები, მაგრამ  
მე, როდესაც დედა გავხდი და ჩემს ჩვილს ადლეგრძელებდნენ,  
მაშინდელი პერიოდიდან დამამხსოვრდა. „ისეთი კაცი დადგესო,  
ყველა იჩემებდეს ჩვენია, ჩვენია“ – ასე ადლეგრძელებდნენ. რამ  
გამახსენა ახლა ეს სიტყვები? რამ და, ჩემი უურნალისტური მოღ-  
ვანეობის განმავლობაში არაერთხელ უკითხვათ, როცა იგებდნენ,  
რომ ნახევრად ბერიძე ვარ, ავთანდილ ბერიძის ვინა ხარო? ...

ავთანდილ ბერიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის 200 წლით მითვ-  
ლემილ, იმ კუთხის კულტურული ცხოვრების აღორძინებაში, სა-  
დაც ქართული კულტურის აკვანი დაირნა. ამაზე მეტყველებს  
გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის“ თაოსნობა, „მოთაობის“  
ტრადიციის აღდგენა და ახალი სიცოცხლე, კიდევ მრავალი სხვა  
მამულიშვილური საქმენი.

დიდი კაცია ბატონი ავთანდილი, ერის კაცი, ბევრი ასეთი ავ-  
თანდილი უნდა ცხოვრობდეს საქართველოს კუთხეებში ერის სა-  
დიდებლად და საამაყოდ. ჩემს მოკრძალებულ პატივისცემას გა-  
მოვხატავ მის მიმართ.

**ეკა სალალაია, უურნალისტი  
გაზეთი „კვირის პალიტრა“**

მიუხედავად იმისა, რომ ორ ათეულ წელზე მეტია, უურნალისტი ვარ, ბოლო ღრმოს ხშირად ვეკითხები თავს, რამდენად სწორად შევარჩიე პროფესია? ვეკითხები და გპასუხობ კიდეც. რა თქმა უნდა, სწორად შევარჩიე! ეს ხომ ის შესაძლებლობაა, რაც ქვეყნის სამსახურში ჩამდგარ ადამიანებთან ურთიერთობისა და მათზე ჩემი მოკრძალებული აზრის გამოთქმის პასუხისმგებლობას მაკისრებს. პასუხისმგებლობა შემთხვევით არ მიხსენებია. ცოტა ხნის წინ რედაქციაში ასაკით ყველაზე პატარა კორესპონდენტმა, ბატონ ავთანდილთან გასაუბრება და სიუჟეტის მომზადება მოინდომა. ცხადია, სათანადოდ გაართვა კიდეც თავი, მაგრამ ის, რომ უნდა ჩაგვეწერა ადამიანი, რომელმაც მესხეთს ქართული სიტყვის ძალა და მადლი დაუბრუნა, იოლ საქმედ ვერც იმ კონკრეტულ მომენტში მივიჩნიე და ვერც ვერასოდეს შევუთამამდები ამხელა ღვაწლს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე სათვალავიც კი ამერია, იმდენჯერ და იმდენ რამეზე გვისაუბრია მანამდე.

„მესხეთი ჩემთვის ყველაფერია, მთელი საქართველოა ჩემთვის მესხეთი!“ - სხვადასხვა კონტექსტში გაიმეორა ჩვენმა უფროსმა მეგობარმა და თითქოს იმ ათასობით მსმენელიდან ერთმა კარგად ვერ მოკრაო ყური, ესეც საგზლად გაატანა - „მესხეთი რუსთაველის სამშობლოა. ურუსთაველოდ ვერც მესხეთი წარმოიდგენია და ვერც საქართველო!“

რადიოურნალისტებს ერთი უცნაურობა გვახასიათებს. ჩვენ ხმებით გვცნობენ და ამავე ხმებს უმეგობრდებიან ადამიანები. ეს ხმები კი გულებს ახმოვანებს და დაუბრკოლებელ ტალღებად ვრცელდება კიდეც ყველგან, სადაც გულწრფელი და მართალი სიტყვის მოლოდინი აქვს მსმენელს. ეს ხმები - დღეს ერთი, ხვალ მეორე, მომავლის საქართველოში კიდევ ბევრი სხვა - უცილობლად გააძლიერებენ ერთმანეთს იმისათვის, რომ რაც შეიძლება ხმამაღლა გაისმას: საქართველოს ძირძველ კუთხეში, იქ, სადაც ისტორიული ავბედითობის გამო ქართველები დიდხანს ვერ ქართველობდნენ; იქ, სადაც მოგვეცა „უთვალავი ფერითა,“ მაგრამ

უამრავი ნიჭიერი შემოქმედი დაიკარგა უუფლებობისა და უასრულებელობის გამო; იქ, სადაც ბევრი ძირძველი მესხიც კი არასრულდება, იფიქრებდა დაბრუნებაზე, ცხოვრობს ადამიანი, რომელმაც ეს შეძლო. ადამიანი, რომელმაც კუთხეს ორმოცდაორი წლით გაყინული „შოთაობის“ სახალხო დღესასწაული გაუცოცხლა! ადამიანი, რომელმაც გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დაარსებით კუთხეს ძლიერი ქართული სიტყვა დაუბრუნა! ადამიანი, რომელმაც მთელი საქართველო ერთი დახვენილი ლიტერატურული კონკურსის გარშემო გააერთიანა და ამით მთელ ქვეყანას რწმენა შეაგება. რწმენა იმისა, რომ ამქვეყნიური მარადიული ვალი რთული მოსახლეობია, მაგრამ თუ შეძლო, ერთ სიცოცხლეზე მეტად ფასობს!

ბატონი ავთანდილ, გილოცავთ 70 წლის იუბილეს!

ეს გზავნილი სრულებითაც ვერ გამოხატავს თქვენდამი ჩემს დამოკიდებულებას, მაგრამ ხმის მოწვდენის მცდელობად ღირდა. იმ ხმისა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დაგირეკავთ და გეტვით:

დილა მშვიდობისა, ბატონი ავთო. ეკა ვარ ტალახაძე, საქართველოს რადიოს დილის პროგრამა „პიკის საათის“ პროდიუსერი. „შოთაობის“ გამარჯვებულებზე მსურს გესაუბროთ...

ხომ გახსოვთ, მეგობრებო? რადიოურნალისტებს ერთი უცნაურობა გვახასიათებს. ჩვენ ხმებით გვცნობენ და გვიმეგობრდებიან ადამიანები!

### ეკა ტალახაძე

საქართველოს რადიოს დილის პროგრამა „პიკის საათის“ პროდიუსერი

ხუთი თებერვალი „ლიტერატურული მესხეთის“ მთავარი რედაქტორის ბატონ ავთანდილ ბერიძის დაბადების დღეა. ადამიანი, რომლის ლვანლი ჩვენი რეგიონისათვის შეუფასებელია. იგი უდიდეს საქმეს აკეთებს სამცხე-ჯავახეთისათვის. შეუფასებელია მის მიერ შეგროვებული მესხური ზეპირსიტყვიერება, რომელიც წიგნად გამოიცა. გარდა ამისა, „ლიტერატურული მესხეთის“ გვერდებიდან საზოგადოებას ყოველთვიურად აცნობს მესხეთში მოღვაწე თანამედროვე პოეტების შემოქმედებას.

**დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო ავთანდილ!**

ჩვენს კუთხეს სჭირდება თქვენნაირი მამულიშვილები. თქვენ ლვანლს მომავალი თაობა არ დაივინყებს. დიდხანს იდექით, სამხრეთ საქართველოს კარიბჭის გუშაგად.

**თინათინ ზაზაძე**

საინფორმაციო სააგენტო „სამხრეთის კარიბჭის“ რედაქტორი

## მესხეთის გაფოლიანებე

სამარგალიტო მესხეთის სამაგიდო გაზეთს „ლიტერატურულ მესხეთს“, რუსთაველის ლოგოსთან ერთად, თავსათაურად ამშვენებს ამონარიდი გიორგი ლეონიძის ლექსიდან: „დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი.“

დიახ! დიდმა პოეტმა, ამით ხაზი გაუსვა მესხეთის მნიშვნელობას ქართულ კულტურაში. მრავალჯერ ანიოკებულმა მესხმა დედებმა არ გააცივეს კერა. დარანებში თუ მიწურებში, მტერს გადარჩენილები, არნევდნენ აკვნებს და მღეროდნენ: „...ვაჟის მამაშინ არ არის, მზევ შინ შემოდიო, აკვნის საყიდლად წასულა, მზევ შინ შემოდიო“...

დიახ, 1950 წლის 5 თებერვალს, მეფე ერეკლეს სადიდებელ ასპინძაში, ციხის უბანში, მესხურ ოდაში ჩავიდა მზე და დაიბადა ვაჟი, კიდევ ერთი „ვინმე მესხი“ - სულმანათი შოთასნაირი ვერ, მაგრამ მისი კალმის დამფასებელი „კაი ყრმა“ რომ დაიბადა, უკვე

ვხედავთ. (აკი, მიანიჭეს კიდეც „ქართული მწერლობის ამაგდარის“ წოდება, მწერალთა კავშირიდან) პოეზიის სახალხო დღესასწაულს „შოთაობას“ (სწორედ აქ, დაჯილდობისას გავიცანი იგი) პატრონად გამოუჩინდა. გეგონება, სულმნათ შოთას ნათლულიაო... უფალმა, სახელიც საკადრისი შეურჩია და დღემდე „ავთანდილი - ავთანდილობს“... რაინდობს და ღირსეულად ატარებს მწერალთა კავშირიდან მინიჭებულ „რაინდის“. წოდებას. იშვიათია ადამიანი, რომელიც, თავის ტიტულებს ასე ღირსეულად იმშვენებდეს. მოკრძალებული, სათო, მშვიდი, განონასწორებული, სულიერებაში სუფთა და წყაროს წყალივით ანკარაა. მისი ხავერდოვანი, დაბალი ხმის ტემპი, ტკბილი მამისა და პაპის შთაბეჭდილებას ტოვებს. და, რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოზე უზიმოდ, რაღაცნაირი, ამოუცნობი, კოსმიური გრძნობით მოტრფიალე და მოფოფინე თავანკარა ადამიანია.

გასაოცარია, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, ასეთი ტიტანური შრომა რუდუნებით და ხალისით გასწიო! მოიძიო უამრავი ფოლკლორული ფოლიანტები და „ოქროს წიგნებად“ გამოსცე. ისტორიაზე, და განსაკუთრებით მესხეთის წარსულზე შეყვარებული დასდევს და აგროვებს ყველაფერს, რაც კი მისი კუთხის დაცემასა და აღზევებას ეხება.

მეფე ერეკლე II ბავშვობიდანვე მისი იდეალია. 1966 წელს რუსთაველის 800 წლის იუბელასთან დაკავშირებით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, 16 წლის ჭაბუკმა მეფე ერეკლეს როლი შეასრულა. მას შემდეგ ამ როლში დარჩა. პორფესიონალისტობისმა, იშრომა და იბრძოლა იმდენი, რომ ასპინძის ომის 250 წლისთავთან დაკავშირებით, უკვე სტამბაში ჩაუშვა ისტორიული ნარკვევი-თანდართული ილუსტრაციებით. საიუბილეოდ კი თავისი სულისცალი წიგნი „მარადიული ვალი“ გამოსცა. სათაურიც, რა უცნაურად შეურჩევია ამ დალოცვილს?!.. ეს ვალმოხდოლი ადამიანი, სათაურით მიგვანიშნებს, რომ სამშობლოს ვალიდან, ვერასოდეს, ვერავინ ამოვა. ავთანდილ ბერიძის სახით მესხეთში ფეხადგმული ისტორია დადის.

ნიშანდობლივია რომ თბილისის მერიამ 2010 წელს იგი „ქართული კულტურის დესპანის“ მედალით დააჯილდოვა. ბატონი

ავთანდილი არამარტო დესპანია, ვფიქრობ, იგი „მესხეთის სრულ-უფლებიანი ელჩია,“ წარგზავნილი სრულიად საქართველოში გადასაცავის ზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ეგიდით.

მოვა დრო და დაბა ასპინძაში მისი სახელობის ქუჩაც გაჩნდება და დაარქმევენ: „ჩვენი ავთოს ქუჩას“. სიცოცხლეში კი სასიამოვნო იქნება, თუ მესხეთზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, განეული ღვანწლისათვის ახალციხისა და ასპინძის საპატიო მოქალაქედ აირჩივენ და უფრო მეტიც, ახალციხის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებას უნივერსიტეტის მედალით დაადასტურებენ. მას სახელთან ერთად ღმერთმა გვარიც დიდებული უბოძა, რასაც სულის სამშვენისად დაატარებს. ბერობიდან გამოსული ერისკაცი-ბერიძე აუცილებლად სამშობლოსთვის სანთელივით დაიწვება. ამას მისი ლექსიდან მოტანილი სტრიქონიც ადასტურებს: „სამ-შობლოს ჭაპნის გაწევა, ვაი, რა ძნელი ყოფილა“...

დიდხანს გეზიდოთ ჭაპანი ქართული მიწის ხნულში. ღმერთს ებარებოდეთ!

ციური ასპანიძე - მესხიშვილი  
პოეტი, მთარგმნელი, ანგლისტი.

## ქართული პოეზიის რაიდი

ბატონო ავთანდილ, გულითადად გილოცავთ 70 წლის იუბილეს. თქვენი ცხოვრების გზა არის შემოქმედებითი, მუხლჩაუხე-ლი ძიების გზა. თქვენ, როგორც ქართული ზეპირისიტყვიერების შემკრები და მესხური ფოლკლორის ქომაგი, ყოველთვის დარჩებით ქართული პოეზიის რაინდად, რომელიც თქვენივე ლექსების კრებულის მიხედვით ყოველთვის გრძნობს კაცად ყოფნის, მარადიული ვალის მოხდის აუცილებლობის პასუხისმგებლობას უფლის, სამშობლოს და საკუთარი თავის წინაშე.

გისურვებთ, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თქვენი ცხოვრების შემოქმედებითი გზის კვლავ გასაგრძელებლად.

ელვარდ ზაზაძე, ისტორიკოსი  
რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო აპარატი

ბეჭირია საქართველო და განსაკუთრებით, მესხეთი, რადგან უფალი არასდროს არ აკლებს მას ისეთ მამულიშველებს, ისეთ საქმიან და სულით ხორცამდე სამშობლოს სიყვარულით გულან-თებულ ადამიანებს, როგორიც ბატონი ავთანდილ ბერიძეა.

დღიდან გაცნობისა, მაოცებს ბატონი ავთო მესხეთისადმი მუდმივი მზრუნველობით. მან შეუძლებელი შეძლო საკუთარი კუთხი-სათვის. მინდა ჯანმრთელად და დიდხანს გყვავდეს, რათა კიდევ მეტი შეძლოს, მეტი შემატოს თავის ქვეყანას. ბატონი ავთოსნაირი ადამიანების მხრებზე იდგა ყოველთვის საქართველო.

მე ბეჭირი ვარ ასეთ ადამიანთან მეგობრობით. იხარეთ, იმზეგრძელეთ, ბატონო ავთანდილ! წარმატებები გქონდეს მუდაბდა თქვენი ოცნება, იყოს რუსთაველის სახლი მესხეთში, ღმერთმა შეგისრულოთ. გლოცავთ.

თამარ ლომიძე

პოეტი, მხატვარი. ნორვეგია

## ნათელ შუქად მიმოვიდილი...

ბატონო ავთანდილ,

თქვენი ლამაზი გაზეთი, თქვენი „ლიტერატურული მესხეთი“, ამერ-იმერ, ნათელ შუქადაა მიმოფენილი.

პირადად არასოდეს შეგხვედრივართ, თუმცა, ძალიან კარგად გიცნობთ.

ვიცი, სამშობლო თქვენთვის წმიდათანმიდა, სანუკვარი საუნჯეა და მესხეთი სწორედ ამ საუნჯის ფესვიდან ამონათებული, ხან სიხარულიანი, ხან ტკივილიანი მზეა, გულს რომ გითბობთ და გიამებთ, ხოყიერი საზრდოოთი რომ გკვებავთ, ხშირად ძილსაც რომ გიკრთობთ და სიმშვიდესაც გიკარგავთ; ხან გულში რომ გიხუტებთ შვილივით, ხანაც, თავად რომ ეფერებით მზრუნველი მამასავით...

ჰო, პირადად აროსოდეს მინახავხართ, მაგრამ თქვენი არსებულამაზად გამაცნო თქვენივე სულის უფაქიზესად ნაფურმა, თქვენი მა „ლიტერატურულმა მესტეთმა,“ რომელსაც, უკვე რამდენი წელია, თავს სასოებით ევლებით, დაჰთოფინებთ, კვებავთ, ასაზრდოებთ, ის კი ნათელ შუქად ეფინება ამერ-იმერს.

ერთი კეთილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის მეშვეობით, კარგა ხანია, „ლიტერატურული მესხეთი“ იმერეთში, ჩემამდე აღწევს.

გადავშლი და, დარბაისლურად მობაასე ადამიანივით, ის უპირველესად თქვენზე მიამბობს, ბევრ სხვა ავტორს მაცნობს; ხან ისტორიის ინტერესს მიღვივებს, ხან ლამაზ ლექსს ჩამახუტებს, ხან იდუმალი მითების, თქმულებების სამყაროში მამოგზაურებს, ხან პროზიდან გადმოსული გმირებით ამდიდრებს ჩემს თვალსაწიერს...

ვიცი, რა სამო და რა მძიმე ტვირთია გაზეთის რედაქტორობა (თორმეტი წელი ჭიათურა-საჩხერის ლიტერატურული გაზეთის რედაქტორი ვიყავი), ვიცი, როგორი სურნელი შემოაქვს ახლადშობილს. ისიც ვიცი, ზოგჯერ, რა კატორლული შრომაა მის დაბადებამდე; ფინანსური სიდუხჭირის სიმძიმეც მიწვნევია და გახარეული ავტორების აღტაცებაც...

თქვენ ჩემთვის გმირი ხართ, ადამიანი, რომელიც ამ მძიმე ტვირთმა ვერ დაღალა, ვერ შეაკრთო...

ბატონო აკთანდილ,

უსაზღვროდ მიყვარს შოთას ნააკვნარი მესხეთი!

ჩვენი ერის ლიტერატურის წიაღმი თუ რამ ღირებული შობილა, „ვეფხისტყაოსანი“ ხომ მკვებავ სიბრძნის დედად ჰყოლია ამ თვალმარგალიტებს...

საოცრად მიყვარს 21-ე საუკუნეში შობილ, ერის ერთიანობის სიმბოლოდ წოდებულ, კიდევ ერთ ხელნაწერ (პოემა 1662 და კიდევ მეტი ადამიანისაგანაა გადაწერილი) „ვეფხისტყაოსნის“ წიგნში, შოთას ნააკვნარი მესხეთის შვილთა ჩანაწერები, მიყვარს თქვენ მიერ რუდუნებით, სასოებით, უკიდევანო სიყვარულით ჩაწერილი ოთხი სტრიქონი, ლამაზი ისტორიის ნაწილად რომ ქცეულა უკვე; უსაზღვროდ მიყვარს ჩვენ მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნიდან“ შობილი შთაბეჭდილებების წიგნი, რომელშიც

ბრწყინვალე სამშვენისად ჩამყუდროებულან პოემის გადაწერისას  
განცდილი მესხების (და სხვათა) საოცარი შთაბეჭდილებები,  
მიყვარს მესხი ქალის ნაჯაფი ხელით ნახელოვნები თუთის კვერი  
(ჰო, მართლაც ხელოვნების ნიმუშია. სულ მიკვირს, თუთიდან  
ისეთი სიფრიფანა, უგემრიელესი კვერი, როგორ უნდა გააკეთო),  
ჩემი უსაყვარლესი ადამიანის და პოეტის, მესხებთან ჩემთვის  
სულისმიერი ხიდის ლამაზად გამდები ქალბატონის, პოეტ ციური  
ასპანიძე-მესხიშვილის ხელით რომ მერგუნა და ერთი პანაწინა  
ნაწილი ახლაც შენახული მაქვს...

შოთას ნააკვნარიდან პანაწინა კენჭიც კი მიყვარს და, მით  
უფრო – დიდებული ადამიანი!..

ბატონო ავთანდილ, საიუბილეო, ლამაზ თარიღს გილოცავთ!  
სიბრძნეს ხომ ასაკი შობს.

თქვენ იმ მშვენიერ წელს მიუახლოვდით, აზრი უფრორე ლა-  
მაზად, ოქროსფრად დათავთავებული რომა!

კიდევ ძალიან დიდხანს უნდა იღვანოთ, იმუშაკოთ, კიდევ ბევრი  
წელი უნდა მიმოფონოთ ამერ-იმერ, თქვენი გონების ნაჟური,  
თქვენი მშვენიერი „ლიტერატურული მესხეთი.“

ჰო, კიდევ,

მე ქართვლის დედასავით დიადი და ლამაზი, ასი წლის მეგო-  
ბარი მყავდა.

ჩემი, ჩვენი მარიკა ბარათაშვილი!

მისი კალთისქვეშ გამოზრდილმა ბევრი რამ ვისწავლე.

ვისწავლე, რომ არსებობებენ თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის მოხუ-  
ცები და არსებობენ ასი წლის ახალგაზრდები (ასი წლის მარიკა  
მართლაც ახალგაზრდა იყო)!..

ოჯახურ ბედნიერებას, შემოქმედებით წარმატებებს გისურ-  
ვებთ, ბატონო ავთანდილ, და მჯერა, თქვენ, ასი წლისაც ახალ-  
გაზრდა იქნებით!

მიიღეთ ჩემგან გულსავსე, გულწრფელი მოლოცვა, უფლისმიუ-  
რი სიყვარული და უსაზღვრო პატივისცემა!

**მაია ტყემალაძე**

ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ წიგნის შექმნის იდეა  
ავტორი და პროექტის განმახორციელებელი

გულითადი საიუბილეო მილოცვა მესხეთის მემატიანეს, ქართველი ერის საამაყო შვილს და ერის კაცს, მადლიერი „ლიტ. მესხეთის“ ლაურეატისაგან, მარიზა ჯიქიასაგან.

**მარიზა ჯიქია, პოეტი**

## მართალი კონკურსი უხვი მოსავალი

ამ პატარა წერილისათვის ერთი კონკურსანტის აღსარებაც შეიძლებოდა დამერქმია, თუმცა...

სიმართლე გითხრათ, მრავალ მიზეზთა გამო, კონკურსები დიდად არ მხიბლავს და მაშინაც, 2016 წლის შოთაობის კონკურსზე გასაგზავნად ლექსები მხოლოდ ერთადერთი მიზნით გავიმეტე: გამარჯვების იმედად კი არა, უბრალოდ, შოთას 850 წლის იუბილეს ასე გამოვეხმაურე ჩემი მშობლიური იმერეთიდან „ერთი ვინმე მელექსე.“ და მერე, როგორც ხდება ხოლმე, ცხოვრების ჩვეულებრიობას მიყოლილმა, ეს ამბავი მალე მივივინყე კიდეც. თუმცა... სექტემბრის ერთ უჩვეულოდ ცივ სალამოს „ლიტერატურული მესხეთიდან“ შემეხმიანენ და გამაჯვება მომილოცეს... ეს ჩემთვის გამარჯვების სიხარულზე ბევრად მეტი იყო! იქნებ ლამაზად ვერ ვამბობ, მაგრამ დაახლოებით ასე ჟღერს: ამ ქვეყანაში მართალი კონკურსებიც არსებულა! ბატონი ავთანდილ ბერიძის ძალისხმევით ასე შეემატა ჩემი ცხოვრების არქივს გამორჩეულად ლამაზი დღე.

ძვირფასო ბატონო ავთანდილ, გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს და „მართალი კონკურსის“ უხვ მოსავალს!

**მანანა ჩაჩანიძე**

პოეტი, ენათმეცნიერი,

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

„ჩვენ მუშაკი ვართ სამოთხის ბალის და მზის ამოსვლას ვენახში ვხვდებით“, წლების წინ დავწერე ეს სტრიქონები, როცა ჯერ კიდევ არ ვიცნობდი ბატონ ავთო ბერიძეს, ფუტკარივით მშრომელ და ფუსფუსა ადამიანს, მთის ბროლივით წმინდასა და უანგაროს, თავისი კუთხის უზომო პატივისმცემელსა და მოამა-გეს. მისთვის საქართველო სამოთხის ბალია, მესხეთი კი ვენახი, რომლის მუშაკიც თვითონაა, მისთვის ჩაუბარებია ქართველ ერს მისი მოვლა-პატრონობა და ისიც წურავს მესხეთის მზის ქვეშ გამთბარ-დამკრახულ ყურძენს და მოედინება ქართული სიტყვა იმ კუთხის დიალექტით შეკმაზულ-გაღამაზებული, გამდიდრებული და განოყიერებული „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებიდან. „მე სამცხე მტკივა“ ბატონი ავთოს ლექსია, რომელშიც ჩატეულია სამცხე-ჯავახეთის მთელი ტკივილიანი ისტორია, ნიალვარივით მოედინება სულისშემძვრელი სტრიქონები „თმოგვის ციხესა“ თუ „ზარზმაში“, რომლებიც გვახსენებს ლიად დარჩენილ ჭრილობებს გადახსნილთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ტანჯული მიწის მკერდ-ზე, რომლებსაც მოვიშუშებთ თუ არა, ლმერთმა იცის, თუმცა პოეტი მაინც იმედითაა ალსავსე და წერს: „შენი წმინდა სალოცავი დღეს მზესავით გაბრწყინდა“, რომელსაც აუცილებლად მოპყვება სრულიად საქართველოს გაბრწყინება. დიდია ბატონი ავთოს ამა-გი მესხური ფოლკლორული მასალის შეგროვებასა და წიგნის სახით მომზადებაში, რომელმაც აღგვაფრთოვანა და გაგვაოცა, მარტო შელოცვები რად ლირს, „შელოცვა სიკვდილის წინააღმ-დეე“ (მესხური ფოლკლორი, 2015, გვ.304), იქნებ სწორედ მან, მესხი ქალების მიერ ათასჯერ ნათქვამ-გამეორებულმა გადაარჩი-ნა ჩვენი წამებული, არაერთჯერ სიკვდილის პირას მდგარი, დაბე-ჩავებულ-დაჩაჩანაკებული, მაგრამ მაინც სფინქსივით ფერფლი დან ამდგარი ერი და ქვეყანა. ბატონი ავთო ბერიძე ასევე წარ-მოგვიდგა, როგორც საბავშვო მწერალი და როგორც თვითონ საბავშვო მწერალმა, არ შეიძლება არ ალვნიშნო, ის ბავშვური სიწრფეელე, გულუბრყვილობა, რაც გამოსჭვივის მის ლექსებში. ვულოცავ ამ დიდებულ ადამიანს, ქართული სიტყვის ოსტატს.

კეთილშობილ რაინდს 70 წლის იუბილეს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ მას და მის ნამოქმედ-ნალვანის კარგად ვიცით, რომ მესხი კაცი არავის უნახავს ბრძოლის ველიდან გაქცეული, ისე არასოდეს გვენახოს ბატონი ავთო კალმისა და ერის მსახურების გარეშე.

### ბატონ ავთანდილ ბერიძეს

ღმერთმა მოგცათ დიდი ნიჭი,  
სიყვარული ჩვენი ქვეყნის,  
მესხეთს მესხი კაცი ჰყავხართ,  
თქვენნაირი ჰყავდეს ბევრი.  
თვალით დაგაქვთ ვარსკვლავები,  
იმედი და სასო ზეცის,  
რომ გაბრნყინდეს საქართველო,  
დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ, მერმის.

მაია დიაკონიძე  
მწერალი, პოეტი, მხატვარი

## ფოლკლორის მოჭირეახულე

ბატონი ავთანდილ ბერიძე ჯერ მისი გაკეთებული საქმეებით გავიცანი, მერე პირადადაც შევხვდი. შეხვედრისას, არანაირი გაუცხოების გრძნობა არ გამჩნია, რადგან მის ნაშრომებსა და პუბლიკიებს კარგად ვიცნობდი. ძნელია, აუდელვებლად გაეცნო მისი კვლევის შედეგებსა და ნააზრევს მესხეთის ისტორიის შესახებ. ბატონი ავთანდილი ჭეშმარიტი მამულიშვილია, ტრაგიზმითა თუ სიხარულით აღსავსე მესხეთის ყოფა - ცხოვრებისა და კულტურის მემატიანეა. იგი, როგორც მესხური ფოლკლორული მემკვიდრეობის მოქირნახულე, თანამედროვე ლიტერატურისა და მწერლების დიდი მხარდამჭერი და ქომაგია. მისი პატრიოტული სულისკვეთება და მსოფლმხედველობა შტამპეჭავად არის გაცხადებული გაზეთის „ლიტერატურული მესხეთი“

სწორებ  
სამიერო უნივერსიტეტი

ფურცლებზე. ბატონ ავთანდილ ბერიძეს პირველად სწორებ  
აღნიშნული გაზეთის რედკოლეგიისა და მათი მხარდამჭერების  
მიერ განხორციელებული ლიტერატურული კონკურსის ფარგლებ-  
ში შევხვდი, ქალაქ ასპინძაში, „მოთაობა - 2016 - ის“ ლონის-  
ძიებაზე.

არასდროს დამავიწყდება ბატონ ავთანდილის გულითადი მო-  
ლოცვა კონკურსში გამარჯვების გამო, გამორჩეულად სახასიათო  
ხმის ტემბრით გადმოცემული თბილი ემოცია. გამაოცა მისმა ორ-  
განიზატორულმა ნიჭმა, როგორ ზედმიწევნით ჰქონდა გათვლილი  
ლონისძიების ყოველი წუთი, როგორი ყურადღებითა და მზრუნ-  
ველობით ეპყრობოდა თითოეულ მონაწილესა, თუ სტუმარს. ეს  
ემოცია მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება. ბატონმა ავთან-  
დილმა მესხეთისადმი მიძღვნილ პოეტურ კრებულში ჩემი ლექსე-  
ბის დაბეჭდვითაც გამახარა, რისთვისაც მისი უზომოდ მადლიერი  
ვარ. ბოლოს ბატონ ავთანდილს თბილისში, მწერალთა შემოქმე-  
დებითი კავშირის ყრილობაზე შევხდი. იგი შესვენების დროსაც კი  
მისი სათაყვანებელი მესხეთის ისტორიაზე მესაუბრებოდა, მისთ-  
ვის ჩვეული სიდინჯით, საკითხის ლრმა ცოდნითა და დიდად  
განსწავლული ადამიანისთვის დამახასიათებელი თავდაჭრილო-  
ბით. ეს პატარა წერილი ბოლომდე ვერ დაიტევს იმ სიყვარულს  
და პატივისცემას, რაც ბატონი ავთანდილ ბერიძის მიმართ  
გამაჩნია.

დიდი პატივისცემით, დაბადებიდან სამოცდაათი წლის იუბი-  
ლეს გილოცავთ, ბატონო ავთანდილ. დიდხანს გელვანოთ მესხე-  
თისა და სრულიად საქართველოს კეთილდღეობისა და ბედნიერი  
მომავლისთვის. წარმატებული მენახეთ მუდამ.

პადრი სულაძე  
ისტორიკოსი, პოეტი

ერთ მილოცვაში რთულია, სრულად წარმოაჩინო ბატონი ავ-  
თანდილის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე, რომელსაც და-  
ბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

ბატონი ავთანდილ, გულწრფელად გილოცავთ შესანიშნავ  
იუბილეს, 70 წელი ქართულ კულტურაში მოღვაწე კაცისათვის  
„სიმწიფის“ ასაკია. კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით, ჩვეული  
გულწრფელობით და პროფესიონალიზმით გაგენებივრებინოთ  
თქვენი უამრავი ერთგული ადამიანი.

უფალი შეგენიოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ.

### ნანა ნიკოლაძე

თბილისის დავით ალმაშენებლის სასწავლო  
უნივერსიტეტის პროფესორი

### „ა ბოსანი“

დიდი ილიას უსაზღვროდ დიდი ეროვნული პატრიოტული  
ღირებულებათა ფასდაუდებელი შემოქმედებითი სამყარო, რაც  
მოიცავს უპირველესყოვლისა საქვეყნო-საგანმანათებლო აღმზრ-  
დელობით და ამავე დროს უმნიშვნელოვანეს შემეცნებით ფასეუ-  
ლობებს, სწორედ ამ მონაპოვართა შთაგონებითაა აღსავსე ჩვენი  
მხარის გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭით აღვსილი ავთანდილ  
ბერიძე - ბატონი ავთანდილი წარმატებით უძლვება მესხეთში, და  
არა მარტო რეგიონში, დიდ საგანმანათებლო-აღმზრდელობით, შე-  
მეცნებით (ფართო მაშტაბით) ეროვნულ საქმეს. მის მიერვე და  
თანამდგომთა ძალებით დაარსებული შესანიშნავი გაზეთის „ლი-  
ტერატურული მესხეთის“ თემატურად და დარგობრივად მდიდარი  
მასალების მოწოდებით, ავთანდილი არის არაერთი სიახლის  
თაოსანი და შემოქმედი ამ ეროვნულ საშვილიშვილო საქმეში წარ-  
მატებული მიღწევებით, - კაცი, სრულყოფილ პიროვნება, თავისი  
ინტელექტუალურ-კულტურული სრულყოფილებით სამაგალითო

ყველასათვის, მისაბაძი, პატრიოტი, ერის შვილი, გაცილებით მეტ  
თანაგრძნობასა და თანადგომას რომ იმსახურებს, თავისი ნათქვა:  
მის გარდა, უსაზღვრო თავმდაბლობითა და მოკრძალებულობით  
რომ გამოირჩევა. ზემოთ ნათქვამი მხოლოდ ზოგადი ჩამონათვა-  
ლია. ბატონი ავთანდილის პიროვნება და მისი საქმე უთუოდ ჯე-  
როვან ყურადღებასა და აღიარებას იმსახურებს.

### ვახტანგ მელიქიძე - ავთანდილ ბერიძეს

„თავოსანი“, „აბგოსანი“, „ბარგოსანი“, „კალმოსანი, და მგოსანიც.“  
დიახ, სწორედ ასეთია ჩვენი ტვინის, ჩვენი გულის მეგობარი,  
სუფთა კაცი საქმით უანგარო „საქმოსანი“. მეგობრული გახუმ-  
რება სინონიმურ ასპექტში.

ვახტანგ მელიქიძე  
ფილოლოგი, პოეტი, მწერალი

## თბილი მასპინძელი

მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მეძლევა, ბატონ ავთოს  
მივულოცო იუბილე. არასდროს დამავიწყდება მისი თბილი მასპინ-  
ძლობა ამ ულამაზეს კუთხეში, სადაც ლიტერატურული კონკურ-  
სის ფარგლებში მომინია სტუმრობა, ჩემს მეგობრებთან და კო-  
ლეგებთან ერთად. ბატონი ავთოს დამსახურებაა, რომ ერთმა-  
ნეთისთვის უცნობ ადამიანებს აახლოვებს და ამეგობრებს. აღარ-  
ფერს ვამზობ იმ საქმის დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც იგი,  
ნლებია, აკეთებს და ამით ლიტერატურული პროცესების განვითა-  
რებასაც უწყობს ხელს და თავისი კუთხის წარმოჩენასაც.

სულით და გულით მსურს მივულოცო ეს თარიღი, ჯანმრთე-  
ლობა და შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო მას.

ირმა მალაციძე  
პოეტი, საბავშვო მწერალი

გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“, რომლის მთავარი რედაქტორი ბატონი ავთანდილ ბერიძე გახლავთ, ყოველთვის მოუთმენლად ელიან ჩვენი სკოლის პედაგოგები და დიდი ინტერესით კითხულობენ მის საინტერესო და მრავალფეროვან სტატიებს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ჩვენი სკოლის შუქურაა.

მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ავთანდილს, რომ მან ჩვენს სკოლაში ჩატარებული ღონისძიება, რომელიც სამი თაობის პოეტებს ეძღვნებოდა, გააშუქა და გამოაქვეყნა რეგიონის ყველას-თვის საყვარელ გაზეთში „ლიტერატურული მესხეთი“.

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის №1 საჯარო სკოლის სახელით ვულოცავ იუბილეს სამცხე-ჯავახეთის კოლორიტს, უაღრესად განათლებულ ინტელიგენტ და სამშობლოსათვის გულანთებულ ადამიანს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბედნიერებას და კიდევ მრავალ ნაყოფიერ და შემოქმედებით წლებს.

## ირა გიორგაძე

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის №1 საჯარო სკოლის დირექტორი

## „მესხი სწავლითა ქეპული“

ბატონ ავთანდილ ბერიძის გახსენებაზე გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ წამომიტივტივდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილების ჩამოთვლისას, გეხსომებათ, პოეტი მესხებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ და ეს სტროფი ასეთია:

„მესხი სწავლითა ქებული,  
გმირი იმერი ზრდილობით  
და მშვილდოსნობით აფხაზი,  
გურული, მეგრი მკვირცხლობით“...

შოთა რუსთაველის მშობლიურ კუთხეში ცოდნის სიყვარული რა გასაკვირია და ამ თვისებასთან ერთად, პირადად მეტატონი ავთანდილს „გმირი იმერის“ თვისებასაც სიამოვნებით მივაკუთვნებდი, თუმცა, ბუნებრივია, ეს ორი თვისება ერთმანეთს სულაც არ გამორიცხავს. შუა საუკუნეების რაინდი ქართველები მახსენდება ყოველთვის, როცა ბატონ ავთანდილს ვხედავ. სამშობლოს გულისცემაზე მიყურადებული, ლირსეული, თავდაჭრილი, საქმის მცოდნე და რასაც აკეთებს, იმ საქმეზე შეყვარებული, კეთილშობილი ადამიანი და ყველასთვის კეთილის მსურველი. ასეთია შტრიჩები ბატონი ავთანდილის პორტრეტისათვის.

მისი რედაქტორობით გამომავალმა გაზითმა - „ლიტერატურულმა მესხეთმა“ რა არაჩვეულებრივ პროექტს ჩაუყარა საფუძველი ლიტერატურული კონკურსის სახით და მთელი საქართველო რომ მოიცვა, ეს კიდევ ცალკე თემაა და ამაზე აქ ბევრი ისაუბრებს. მე კი მხოლოდ ერთს ვიტყვი. ერთ წელს მეც მერგო ბედნიერება ვყოფილიყავი ამ პროექტის გამარჯვებული და ის სიხარული, რაც ულამაზეს მესხეთში დაჯილდოებისას განვიცადე, დღემდე მომყვება.

ბარაქალა თქვენს ვაჟყაცობას, ბატონო ავთანდილ, რომ ამ გაჭირვებულ დროში, თქვენს თანამოაზრებთან ერთად ახერხებთ და გრანდიოზულ მასშტაბებს სძენთ ყოველ წელს „შოთაობის“ აღდგენილ დღესასწაულს. ვმადლობ ყველას, ვინც მხარში გიდგათ ეს იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, თუ ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ბიზნესმენი.

70 წელი შეუსრულდაო, მითხრეს და არ დავიჯერე. თქვენს ჭაბუკურ სიკასკასეს ვერანაირი წლები ვერ მოერევა. ძალიან დიდ ხანს გეღვაწოთ ასეთი შემართებით!

მარინა თექოუმანიძე  
საქართველოს უურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის  
თავმჯდომარე

# ოცნება, რომელიც უნდა ასრულდეს!



2009 წელს გავიცანი ბატონი ავთო ბერიძე. მას მერე როგორც „ლიტერატურული მეხეთის“ რედაქტორი, როგორც კონკურს „შოთა თაბის“ ორგანიზატორი, როგორც „მესხური ფოლკორის“ „სოლი-დური გამოცემის შემდგენელი, პუბლიცისტი, ორგანიზატორი, დაუღალავი ადამიანი, კარგი ოჯახის თავკაცი, უამრავ საბაბას გვაძლევს პატივისცემა ვიქონიოთ მის მიმართ, სიკეთე, სიმხნევე, დღე-გრძელობა ვუსურვოთ არა მხოლოდ საიუბილეოდ, არამედ, სულ და მარად! ისე სწრაფად გარბის დრო, გაოცებასაც ვეღარ გამოხატავ. ერთადერთი, კარგს რასაც ტოვებს, რითაც გაძლიერებს, სწორედ წრფელი გულითა და თავდაუზოგავად ნაკეთები კეთილი საქმებია, რომელიც იკრიბება ერთ ღვთაებრივ განზომილებად და ერქმევა სიტყვა „სამშობლო“. ადამიანების დაუზარელი, ყოველ-დღიური შრომა, თავდადება, ზოგჯერ რუტინაში გადასული გარჯა, საბოლოო ჯამში აშენებს და ქმნის ქვეყანასაც, კუთხესაც. განსაკუთრებით, თუ ამ ქვეყანას საქართველო და ამ კუთხეს კი, მესხეთი ჰქეიო! აქ ნაკეთები ყველა გონივრული საქმე, ყველა სასიკეთო ნაბიჯი ორმაგად ესათნოვება უფალსც და ესაჭიროება ადამიანებს. ამგვარ საქმიანობაში გასულა ბატონი ავთო ბერიძის 70 წელი! უკანმოხედვისას მხოლოდ სიხარული თუ ექნება მის მსგავს ადამიანებს. წინაც ბევრი საქმე ელის. ამ ტიპის ადამიანებს ხომ საქმე არასდროს ელევათ. დაამშვენა მესხეთის მხარე და კულტურული ტრადიციები მისმა ინიციატივებმა და მოღვწეობამ! ასწელს მოყრილიც მხნედ მომუშავე გვენახოს მესხური ფოლკლორის ნიმუშების ძიებაში! საიუბილეოდ კი მინდა ვუსურვო მისი სანუკვარი ოცნების ასრულება: შოთა რუთაველის ცენტრის, გნებავთ, მემორიალური მუზეუმის, გნებავთ, „ვეფხიტყაოსნის მესხური ცენტრის“ დაფუძნება, გახსნა! მინდა მალე ასრულდეს ყველა ქართველის ეს სანატრელი ოცნება და მომავალი იუბილეც, როგორც ამ სახლის, ცენტრის ერთ-ერთი მესვეურისა, მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში გამართულიყოს! ამენ გეთქვათ, ბატონობ ავთო! გაგეხაროთ მადლიანი საქმეებით!

იდლეგრძელეთ!

მარიამ წიკლაური



ბატონი ავთანდილ ბერიძე ლიტერატურულ კონკურს „მოთაწყაზე“ გავიცანი. ამ კონკურსს გაზეთი „ლიტერატურული შესხები“ ატარებს, რომლის რედაქტორიც თავად გახლავთ. მისი დამსახურებაა ამ არაჩვეულებრივი, საინტერესო და რეგიონისთვის მეტად საჭირო, ლიტერატურულ-ისტორიული მასალებით მდიდარი გაზეთის არსებობაც და კონკურსიც, რომელშიც საქართველოს ყველა კუთხეში მცხოვრებ პოეტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ვულოცავ ბატონ ავთანდილს დაბადების დღეს, დღეგრძელობას და მხნეობას ვუსურვებ. სწორედ მისნაირი - საკუთარ ფუძეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები ქმნიან ამინდს რაიონის კულტურულ და განსაკუთრებით ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ერთი რაიონისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის.

ლელა ცუცქირიძე, პოეტი, მხატვარი

## სიცოცხლის ხე

ისრაელში, საქართველოს დღეებმა გამახსენა ეს პანაწინა ლექსი: (ცუცქლვნი მესხეთის ლირსეულ შვილს, ბ-ნ ავთანდილ ბერიძეს)

ქარტეხილების გეშინია, სიცოცხლის ხეო?

არ მოიწყინო, ძლიერია შენი ფესვები!

ქართული მადლით უხვსაზრდობ, მზეც ისევ მზეობს, სახელსხივოსნობს საოცარი გენი მესხების!

ტაძართ ლაშქარი შესევია ამ ძირძველ მიწას, მწარე წარსულზე ღაღადებენ ციხე ბურჯები,

ლურჯია ზეცა, ახედე ცას-უფალი გიცავს,

რწმენაა მხსნელი მესხები და ნახე გურჯები.

აქ, დღესაც რაინდობენ, თინათინობენ,

დიდი თამარის ათინათით ხარობს თაველი,

იავთანდილებს, შენი მესხი იავთანდილებს,

ნუ გეშინია, სიცოცხლის ხევ, გყავს რუსთაველი.

ე კ ა ქურხული, პოეტი. ისრაელი

პროფესორ კახაბერ ჯაყელის მისალოცი სიტყვა, თქმული „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორის ბატონ ავთანდილ ბერიძის 70 წლის ალსანიშნავად გამართულ  
საიუბილეო საღამოზე

ჩვენო სასიქადულო მამულიშვილი, მესხეთში ქართული მწერლობის კერის გაცოცხლების დიდო ავტორო, მოგილოცავთ დაბადებიდან 70 წლის თავს და გისურვებთ ისეთივე მხნეობას, როგორიც სჩვევიათ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებლო კუთხის მესხეთის შვილებს.

თუ როდესმე ქართული 8 საოცრების სიას შექმნიან ჩვენი პუბლიცისტები, ვარძიასთან და ოშეთან, ზარზმასთან და აბულის ციხესთან ერთად მე ვურჩევდი მათ შეიყვანონ მესხური დიალექტი ქართული ენისა, რომელიც ფაქტობრივად გახლავთ ქართული ლიტერატურული ენის განმსაზღვრელი სტანდარტი და თუ ეს ასეა, მაშ სად უნდა ყოფილიყო ქართული პროზისა და პოეზიის შემკრები ცენტრი თუ არა მესხეთში?

ბატონი ავთო, მე ვიტყოდი რომ ლიტერატურული მესხეთის დაარსებით თქვენ გამოიცანით უფლის ჩანაფიქრი და მთელ საქართველოს მიეცით მათი განძი, ქართულად მეტყველი ლიტერატურული გაზეთი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იზიდავს ჩვენი მწერლობისა და პოეზიის ნიმუშებს და სწორედ მესხეთის უძველესი ქუდის ქვეშ გარდაქმნის მათ ქართული სულისა და გულის დიდ, უძლიერეს, მარადიულ ძარღვად.

ბატონი ავთანდილ, როდესაც 137-ე ფსალმუნს ვკითხულობ მე პირადად ახალციხე და მესხეთი მახსენდება, სიტყვებზე „ბაბილონში მდინარეების პირას ვისხედით და ვტიროდით, როცა ვიხსენებდით სიონს. მის შუაგულში ალვის ხეებზე ჩამოვკიდეთ ჩვენი ქნარები. ჩვენი დამატყვევებლები სიმღერას გვთხოვდნენ და ჩვენი დამცინავები - მხიარულებას: გვიმღერეთო სიონის რომელიმე სიმღერა. როგორ ვიმღეროთ იეჰოვას სიმღერა უცხო მინაზე? (ფსალმუნები, 137)“ - ქართველ კაცს უნდა გაახსენდეს თავისი სულის აკვანი - უძველესი მესხეთი, მისი არსებული და დაკარგული მიწით რომელზეც აღზრდილი მეცნიერი, ბრძენი მესხი უმღეროდა მთელს საქართველოს, თავისი კალმით, საჭრეთელით, გონიოთი, ფუნჯითა თუ ხმლით. მე

ვფიქრობ, მნიშვნელოვნება და ფასეულობა ძველი მესხეთისა, სწორები რედ სიტყვიერებისა და პოზიციის ენით უნდა დაფასდეს და ამჟღაფულ ბულ საქმეს სწორედ თქვენი საქმე, დიდებული და საამაყო „ლიტერატურული მესხეთი“ უდგას სათავეში, ისეთ მგზნებარე გმირთან ერთად, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

მინდა გისურვოთ დიდი გამარჯვებები, დღეგრძელობა და იმ დღის მოსწრება, როდესაც ჩვენი მესხეთი დაემსგავსება იმ დიდებულ მესხეთს, სადაც ერთ დროს მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსები, მწერლები, პოეტები, სჯულმდებლები, საზოგადო მოღვაწენი, სულიერი მამანი და ერის წინამძღოლი - დიოფალნი!

გამარჯვებით გევლოთ, ბატონო ავთანდილ, ლრმა პატივის-ცემით და მადლიერებით

### კახაბერ თენგიზის - ძე ჯაყელი, ამერიკა

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი, ფულბრაიტისა და გერმანიის აკადემიურ გაცვლის არაერთგზის დაჯილდოვებული

მეცნიერი, ლაიბნიზის უნივერსიტეტის, იელისა და კენესოის უნივერსიტეტის მინვეული პროფესორი, ჯაყელ - ათაბაგთა საკრებულოს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

## „პაცი, რომელიც ანთია მოინდა სათელი“

ვინმე მესხი გვარამაძის შემდეგ მეგულება ადამიანი, რომელ საც დიდი ღვაწლი მიუძღვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის საქმეში.

მესხეთის კოლორიტი. პიროვნება მშობლიურ მხარეზე შეყვარებული. ლრმად განათლებული, რაც დასტურდება მის შემოქმედებასა და შემოქმედებით მოღვაწეობაში.

აგროვებს, ეძიებს, წერს და საშვილიშვილოდ გვიტოვებს ისტორიანს საყვარელ კუთხეზე. ერთ, ლამაზ, პატარა და დიდი ისტორიის მქონე მესხეთზე.

მახსენდება 2017 წლის 17 თებერვალი, წიგნის დღესთან დაკავშირებით კლასში ტრადიციად დამკვიდრებული აქტივობა მწერალთან შეხვედრა. სწორედ ახალი გამოსული იყო „მესხური ფოლ

კლორი". საპატიო სტუმარი - მესხური მარგალიტების შემგორვე  
ბელი ბატონი ავთანდილი. სტუმრობამ მნიშვნელოვანი შედეგი  
გამოიღო. თითოეული მოსწავლე „ლიტერატურული მესხეთის“ გა-  
მომწერი და მკითხველი გახდა.

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ მესხეთის ეთნოგრაფიულ-  
გეოგრაფიული კიდობანია, სადაც შერწყმულია ჩვენი რეგიონის  
ძელი და ახალი ისტორია. თითქოს პარალელურ სამყაროში ერ-  
თი ლიანდაგით მიგვაქანებს.

„ლიტერატურულ მესხეთს“ დიდი მისია აკისრია. ყოველ მის  
წაკითხვაზე ყურში ჩაგრუჩულებს: „თუ გიყვარს შენი მხარე, უნდა  
იცოდე მისი წარსული, აწყმო და ფიქრობდე მის მომავალზე“.

ლმერთმა გვიმრავლოს თქვენნაირი ადამიანები, ბატონი ავთანდილ.

### ნინო ნადირაძე

სსიპ-ახალციხის №1 საჯარო სკოლის  
ისტორია/სამოქალაქო განათლების პედაგოგი

## დესპანი და სათეატრი

საქართველოს ისტორიას ჯვრისმტვირთველები ქმნიდნენ, ამი-  
ტომაც მოვედით დღემდე. მაღალი ზნეობრივი იდეალებისათვის  
ბრძოლა ქართული მწერლობის მოვალეობაა. სამცხე-ჯავახეთის  
მოსახლეობისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება მნიშვნელოვანი  
სახელმწიფოებრივი საქმეა.

ამ საქმეს ერთგულად ემსახურება ბატონი ავთანდილი. არავინ  
დგამს ანთებულ სანთელს კარს მიღმა, ვინაიდან სანთელი იმის-  
თვის არსებობს, რომ გაანათოს, თვალი აუხილოს ადამიანებს და  
დაანახოს ირგვლივ არსებული სასწაულები.

ქართული მწერლობა სწორედ ის სანთელია, რომელიც ერს  
გაანათლებს, ბატონი ავთანდილი კი დესპანი, რომელმაც თავის  
თავზე იტვირთა ეს მნიშვნელოვანი მისია.

ბელა ალანია, იურისტი  
მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი



ადვილი არაა, წერო ადამიანზე, რომელიც საკუთარ ცხოვრებას უძღვნის საქმეს! - საქმეც არის და საქმეც!

მე ახლა ბატონ ავთანდილ ბერიძეზე ვწერ, დიდი პატივია ჩემთვის ღვანლმოსილ, საქართველოს ლირსეულ, კაცურ კაცზე და სამშობლოს უდიდეს გულშემატკივარზე წერა, რომელიც 21 წელია, დაფუძნებიდან დღემდე ერთგულად და თავდადებით იღწვის, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ კეთილდღეობისთვის, კალმით და სიტყვით, საქმით და შეგნებით ემსახურება ქართულ მწერლობას, ლიტერატურას, შემოქმედ ადამიანებს! როგორც ახლადგავლებულ კვალში ჩაგდებულ თესლს სჭირდება მოფერება, სითბო, სიყვარული და დარწყულება - ისე უვლის და ეფერება, აცნობს ქართველ მკითხველს ბევრ ახალ პოეტს. ბატონი ავთანდილის დამსახურებაა ისიც, რომ გაზეთის რედაქციამ საფუძველი ჩაყარა ლიტერატურულ კონკურსს, გამარჯვებულების ლექსებს კი დიდი სიყვარულით წარუდგენს საზოგადოებას, აქვეყნებს გაზეთის ფურცლებზე! განა, ქართველების დიდი სიყვარული არაა, თუნდაც ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ იტალიასა და საბერძნეთშიც გამოდის გაზეთი და ემიგრანტების მომფერებელ-დამფუასებელ-შემფასებელი, უცხო მინა-წყალზე გადახვენილებისთვის ქართული ზეცის ნაჭერი, პურისა და წყლის გემი, ჩახუტება და მოფერება!!!, ბატონი ავთანდილის დიდი რუდინებით გამოიცა მესხური მარგალიტების - მესხური ფოლკლორის სამტომეული!

დიახ! აი, ასეთ მამულიშვილზე წერა ნამდვილად ძნელია - არაფერი გამოგრჩეს, ჭეშმარიტ მამულიშვილს და ღირსების ადამიანს, საქართველოს ისტორიის, დიდი მესხეთის, ქართული სიტყვის მცველსა და მეციხოვნეს, ამაგდარ, სამშობლოს სიყვარულში სანთლად ანთებულ ადამიანს მოესათუთო და დალოცო!!!

უფალმა დაგლოცოთ, ბატონი ავთანდილ, თქვენი ნიჭიერებით, ქართველობით და ადამიანობით, დიდხანს იცოცხლეთ, იხარეთ და ახარეთ თქვენი გაზეთით ქართველობა შინ თუ გარეთ! პატივის ცემით თქვენდამი,

ციცი გურიელი, ნოველისტი,  
TV ობიექტივის საავტორო გადაცემის წამყვანი

ავთანდილ ბერიძემ 21 წლის წინ რთული გზა აირჩია, როდესაც „ლიტერატურული მესხეთი“ დააფუძნა და სათავეშიც თვითონვე ჩაუდგა.

XX საუკუნის მიწურულს საქართველო ხომ უშუქოდ, უგზოდ და საარსებო მინიმუმის გარეშე დარჩენილი სახელმწიფო იყო. მან კი გაზეთის გამოცემა დაიწყო. წერდა იმაზე, რაც ადამიანებს სულის ყინულს გაულლობდა, სიცოცხლის წყურვილსა და სიყვარულს დაუბრუნებდა.

ვფიქრობ, ამიტომ შემოიკრიბა ბატონმა ავთომ ახალგაზრდა თაობა. ამიტომ დაიწყო მათი ლექსების ბეჭდვევა და შემდეგ ლიტერატურული კონკურსებიც დაარსა.

ახალი სწორი არჩევანი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა და ევროპაში წასული ემიგრანტების ქართული სიტყვით გათბობის მცდელობა. მან შეძლო ქართული სივრცის გარეშე დარჩენილი ადამიანებისათვის სულის მოსათქმელად ქართული ლექსი და პროზა შეეთავაზებინა.

ბატონი ლ. ღვინჯილია ბრძანებს: „რომ ქართველია ის, ვინც ქართულ ენაში ცხოვრობს“. ავთანდილ ბერიძემ თავისი ღვანლით მოახერხა, რომ უცხოეთში მცხოვრები ადამიანები ქართველებად დაეტოვებინა, რადგან მათ საცხოვრისად ქართული ენა შესთავაზა და ეროვნულ ნავსაყუდლად უქცია.

ამიტომ ეკუთვნის ბატონ ავთანდილს ქება-დიდება ყველა ქართველისაგან. მრავალუმიერი ყოფილიყოს მისი და იმ ადამიანებისა, ვინც ამ დიდებულ სქმეში მხარში უდგანან და მასთან ერთად ეწევიან მამულიშვილურ საქმეს.

**მარინა მოდებაძე**  
ფილოლოგი



ქართული სათვისტომ „ივერია“ სომხეთში ღრმა პატივისაცემით ულოცავს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორსა და დამფუძნებლს, „შოთაობის“ ორგანიზატორს, ბატონ ავთან-დილ ბერიძეს 70 წლის იუბილეს.

სათვისტომოს წევრები დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს საქართველოს ამ ძირძეველ რეგიონში გაზეთის მრავალფეროვან საქმიანობას, ლიტერატურულ სივრცეში ახალი სახეების წარმოჩნას, სიახლეების მოწოდებას, ლიტერატურული კონკურსების ჩატარებას, რომელშიც ჩვენი სათვისტომოს წევრებიც სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ გაზეთმა არაერთ დამწყებ შემოქმედს გაუკვალა გზა, ასევე იგი წლების განმავლობაში აცნობს მკითხველს დიდი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის მხარეს, სამცხე-ჯავახეთს. ბატონი ავთანდილი მუდმივად ზრუნავს ლიტერატურული პროცესების განვითარებასა და საზოგადოების ლიტერატურასთან დაახლოებაზე რუსთაველის სამშობლოში.

ჩვენ, სომხეთში მცხოვრები ქართველები ფასდაუდებლად მივიჩნევთ ბატონი ავთანდილის ღვანლს ქართულ-სომხური მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებაში. დიდად ვაფასებთ გაზეთის მიერ ჯავახეთში დაბადებული დიდი სომები პოეტის ვაჟან ტერიანის პატივსაცემად გამართული დღესასწაულის „ტერიანობის“ ფართოდ გაშუქებას. ასევე საგულისხმოა გაზეთის ფურცლებზე სომები პოეტების ლექსების წარმოჩნა. გვახარებს რომ გაზეთი ემსახურება ორ მეზობელ და მეგობარ ერს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას.

ჩვენთვის დიდი პატივია, გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება იმ არაჩვეულებრივი ადამიანის მიმართ, ვინც უანგაროდ, დიდი რუდუნებით დგას ქართული სიტყვის სამსახურში.

ჩვენს საამაყო თანამემამულეს, ქართული კულტურის რაინდს, ვულოცავთ იუბილეს და ვუსურვებთ ულევ წარმატებას შემოქმედებით საქმიანობაში.

**ნინო სპანდერაშვილი**

ქართული სათვისტომ „ივერიის“ ვიცე-პრეზიდენტი

— ბატონი ავთანდილ, თითქმის ბავშვობიდან გიცნობთ, მაგრამ გაინც უნდა გთხოვოთ, მოკლედ მოგვითხროთ ოქვენ შესახებ.

— დავიბადე 1950 წლის 5 თებერვალს ასპინძის რაიონის სოფელ ასპინძაში. 1967 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა და სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

ჩემი შრომითი საქმიანობა „მრავალპროფილიანია,“ სად არ მი-  
მუშავია: როგორც იტყვიან, შრომითი ნათლობა ასპინძის სარე-  
მონტო-სამშენებლო კანტორიდან იწყება. შემდეგ, გარკვეული  
პერიოდი „ასპინძაგაზის“ ზეინკალიც ვიყავი, ორი წელი – ვარძის  
ტურბაზის ადმინისტრატორი, სოფელ თმოგვის ბიბლიოთეკის  
ბიბლიოთეკარი; დიდხანს ვმუშაობდი რაიგაზეთ „ასპინძაში“ ლიტ-  
მუშაკად, არჩეული ვიყავი საქართველოს ალკე ასპინძის რაიონმის  
ჯერ მეორე, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად, რაისაბჭოს აღმას-  
კომის თავმჯდომრის პირველ მოადგილედ; ახლადჩამოყალიბე-  
ბული პრეფექტურისა და გამგეობის აპარატის ხელმძღვანელად.  
1995 წელს, საკუთარი სურვილით, დავტოვე ეს თანამდებობა და  
რამდენიმე წელი უმუშევრობაში გავატარე, 1998 წლიდან კი მუ-  
შაობა დავიწყე საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავა-  
ხეთის რეგიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივნად და  
იმავე წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის  
ფილიალთან, საქართველოს მწერალთა კავშირის რეგიონულ  
ორგანიზაციასთან, შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღმო-  
ძინების რესპუბლიკურ ფონდსა და შპს „ფერიციხესთან“ ერთად,  
კერძო პირის სტატუსით, დავაფუძნეთ შპს გაზეთი „ლიტე-  
რატურული მესახეთი“, სადაც დღემდე მის რედაქტორად ვმუშაობ.  
ამავდროულად, არჩეული ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის  
გამგეობის წევრად.

- რაღაც ეტაპზე თქვენს გვერდით მომინია მუშაობა და ვიცი, რა თავდაუზოგავი და საქმისადმი ერთგული იყავით. კმაყოფილი ხარი თქვენი შრომითი ბიოგრაფიით?

- რა გითხრათ, სადაც ვმუშაობდი, შემიძლია ვთქვა, რომ ყველან დავტოვე ჩემი კვალი. უკუგებასაც არ ვუჩივი – 2010 წელს თბილისის მერიამ დამაჯილდოვა „ქართული კულტურის დესპანის“ მედლით, ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის კი საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ მონიჭებული მაქვს „ქართული მწერლობის ამაგდარის“ და „ქართული კულტურის რაინდის“ წოდებები. ვენევი საზოგადოებრივ საქმიანობასაც. ერთი ადამიანისთვის, მე მგონი, ესეც კმარა. დაუმსახურებლად არასდროს არაფერს ვითხოვდი, უსამართლობას კი ვერასოდეს ვიტანდი, ქართული საქმისთვის ძალას და ენერგიას არ ვზოგავდი, ჩემი პრინციპით მოვედი აქამდე და ამიტომ საზოგადოების დიდი ნაწილის სითბო და პატივისცემაც არ მაკლია. ახლა, საიუბილეოდ, იმდენი თბილი სიტყვა ითქვა ჩემ მიმართ, იმდენი მილოცვა იყო, რომ, ვფიქრობ, უკვალოდ არ ჩაუვლია ჩემს ცხოვრებას.

- პროფესიის არჩევისას უფროსმა ძმებმა ხომ არ მოახდინეს თქვენზე გავლენა? - ოთხი ძმიდან სამი ისტორიკოსი ხართ.

- ამას ყველან ვამბობ: მემკვიდრეობით მამისაგან არაფერი დაგვრჩენია, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის გარდა (ისიც მოტყუებით, ინათხოვრეს და უკან აღარ დაუბრუნებიათ). გენეტიკურად ძმები ქართული ლიტერატურის სიყვარულით ვართ „მონამლულები“. დედას, თავად ორი კლასის განათლების მქონე ქალს, არ დაუშურებია არაფერი იმისათვის, რომ შვილებს უმაღლესი განათლება მიგველო. ეს იმ პერიოდში ადვილი საქმე ნამდვილად არ იყო. სამმა ძმამ, როგორც ითქვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დავამთავრეთ. ძალიან გვიყვარდა ჩვენი მხარის ისტორიული წარსულის შესახებ ნიგნების კითხვა, რამაც განაპირობა ჩემი პროფესიის არჩევა. ჩვენი ოჯახი, ფაქტობრივად, სამეზობლოს შეკრებების ადგილი იყო, სულ სჯა-ბაასი გვეონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე.

პოეზიაზე. ყველაფერი ახდენდა ჩემზე გავლენას, მათი საუბრე-  
პიდან ქვეყნის სიყვარულის მეტს ვერაფერს ვისმენდი, ნათლად  
ვხედავდი მესხეთის ქვაში გაცოცხლებულ ისტორიას, რაც იქით-  
კენ მიბიძგებდა, რომ მეტად შემესწავლა თითოეული ისტორიული  
ძეგლი, სოფელი თუ ნასოფლარი... პოდა, მივაშურე თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტს და დღემდე ვამაყობ, რომ დედა-  
უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ.

- ცხადია, ოჯახის წევრები მაქსიმალურად გინყობენ ხელს  
წარმატებულ ბიოგრაფიაში.

- რა თქმა უნდა, ოჯახის გარეშე ადამიანი არაფერია. ამდენად,  
ჩემი თავი ოჯახს და შვილებს ეკუთვნის, ურომლისოდაც ვერ  
წარმომიდგენია ჩემი არსებობა.

გაზეთი, წიგნი, საერთო საქმე – ის, რაც ჩემთვის მთავარია,  
ოჯახის წევრებისთვისაც მისალები და უპირველესია. ესაა ის ჩემი  
უმთავრესი ბეჭნიერება, რასაც მივაღწიე: მიუხედავად პრობლე-  
მებისა, ბედს არ ვუჩივი და მაქვს ყველა საჭირო პირობა, საქმის  
საკეთებლად, უფრო მეტიც, მე ოჯახის წევრებთან – მეუღლესთან  
და შვილებთან ერთად ვახერხებ ამ ყველაფერს. აბა, ერთი წუთით  
წარმოიდგინეთ, ოფისი საკუთარ სახლში გაქვს მოწყობილი, იქ,  
სადაც ოჯახის წევრები მთელ დღეს ატარებენ, მიმსვლელ-მომსვ-  
ლელის ნაკლებობასაც არ განიცდი და – აკეთე გაზეთი (თანაც  
ორი)! მოამზადე წერილები! ახალი წიგნების მომზადებასაც დიდი  
დრო უნდა მოახმარო... რომ არა ოჯახის თანადგომა, შეძლებ კი  
ყოველივე ამის გაკეთებას?

მყავს მეუღლე, პროფესიით ბიბლიოთეკათმცოდნე-ბიბლიოგ-  
რაფი. კარგად იცის გაზეთისა და წიგნის ფასი. ოჯახური სიმყუდ-  
როვის გარდა, ის იმითაც მეხმარება, რომ შემიძლია მისთვის აზ-  
რის გაზიარება და მაქვს მისი თანადგომა ნებისმიერი პრობლემის  
გადაწყვეტისას. ასევე, როგორც ვთქვი, აქტიურად მეხმარებიან  
და თანამშრომლობენ შვილები, რომლებიც წარმატებულნი არიან  
თავიანთ საქმეშიც, არ მიქმნიან ზედმეტ პრობლემებს თავიანთი  
„დამოუკიდებლობის“ გამო და, პირიქით, ანგარიშს მიწევენ ყველა-  
ფერში. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ მე მამობრივ  
მზრუნველობას ვაკლებ. გაზეთან ერთად არც ოჯახის საქმეს

ვივინწყებ, მაქვს პატარა მეურნეობა და ფიზიკურ შრომასაც ას გავურბივარ. განტვირთვისათვის ყველაზე კარგი საშუალებებაა ბალჩა-ბალის მოვლა-პატრონობა და სახალისოცაა, როცა შენი შრომის ნაყოფს იმკი, რის გამოც ჯანსაღი პროდუქტი არ აკლია ოჯახს... აქაც ერთად ვართ ოჯახის წევრები და ვშრომობთ... სამი შვილის – ორი ვაჟის და ერთი ქალიშვილის მამა ვარ. ჩემი ცხოვრების აზრს მათსა და სამ შვილიშვილში ვხედავ.

ნიგნს და ლიტერატურას ადრიდანვე დაუმეგობრდით, მახსოვს, მხატვრული კითხვითაც გამოიწჩეოდით – გორკის ერთ-ერთი ამაღლვებელი პოემა მახსოვს თქვენგან სცენაზე წაკითხული.

– კარგი მეხსიერება გაქვს, ჩემი ლალი... ტკბილად ვიგონებ იმ წლებს, კარგად ვსწავლობდი და სხვადასხვა ღონისძიებაშიც აქტიურად ვმონანილეობდი. მიყვარდა სცენაზე ლექსების კითხვა, განსაკუთრებით ნაწყვეტებისა „ვეფხისტყაოსნიდან“ და შექსპირის ტრაგედიებიდან, მონოლოგებს მხატვრულად ვკითხულობდი, ბევრი პოემა ზეპირად ვიცოდი. მეათე კლასში ვიყავი, როცა შოთა რუსთაველის 800 წლისთავი აღვნიშნეთ, მთელ სკოლასთან ერთად მეც ვმონანილეობდი მასობრივ ღონისძიებებში, ასევე სასკოლო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებსაც არ ვაკლდებოდი. ერთხელ მე-ფე ერევლეს როლითაც კი წარდექი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე – ოლიმპიადის დასკვნით ღონისძიებაზე. ჯერ კიდევ მოსწავლეს, როგორც მხატვრულ კითხვაში საუკეთესოს, პირველ „შოთაობაზე“ მომეცა გამოსვლის საშუალება და საქართველოს რადიოშიც მოვხვდი. შემდეგში უკვე: სხვებთან ერთად, თავად ვიყავი ჩართული „შოთაობის“ მომზადების ღონისძიებებში და ამაში სკოლაშივე მირებული გამოცდილება გამომადგა.

რაც შეეხება ლიტერატურას და პოეზიას, ეს ყველაფერი მათ სიყვარულის გარეშე არ იქნებოდა...

– ყოველთვის მაოცებდა თქვენი უნარი ნებისმიერი რანგის ადამიანებთან აქტიური ურთიერთობების დამყარებისა და მათ შესაძლებლობების გამოყენებისა რაიონის სასარგებლოდ. მოგვიყვანით თქვენს კონტაქტებზე...

- რამდენადაც „მრავალპროფილიანია“ ჩემი შრომითი ბიოგრაფია, იმდენად მდიდარია კონტაქტებიც. არაერთი ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სასულიერო პირი ავსებს ჩემს სამეცნიეროს, სანაცნობო წრეს. ვამაყობ იმით, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა რეპრესიული რეჟიმით დათრგუნული ქართველების დიდი ნაწილი ამას ვერ ბედავდა, ჩემს ოჯახს რამდენჯერმე ესტუმრნენ დისიდენტები - ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და სხვანი. ბენიერებაა ჩემთვის ისიც, რომ არაერთხელ ვიყავი პირადად მიწვეული უწმინდესთან და უნტარესთან ილია მეორესთან მის საზაფხულო რეზიდენციაში - სნოშიც და დედაქალაქშიც. წილად მხვდა პატივი მეგზურობაც გამენია მისთვის ასპინძის რაიონში. ამასთან, ბევრ რამეს ნიშნავს ისიც, რომ გაზეთის თითოეული ნომრის გამოცემა დამოკიდებულია ქართველი მეცნიერებისა თუ მწერლების იმ ფართო წრეზე, რომელიც დღითი დღე ფართოვდება და მდიდრდება. თითო-ოროლა შემთხვევის გარდა, ვერ ვისხენებ უარით გამოვესტუმრებინე რომელიმე ოფიციალურ დანესებულებას და მხარი არ დაეჭირათ გაზეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. დღემდე აქტიურად ვთანამშრობლობ რესპუბლიკის სხვადასხვა სალიტერატურო თუ სამეცნიერო დაწესებულებებთან, რესპუბლიკის არქივების, მუზეუმების ხელმძღვანელობასთან, სხვადასხვა გამომცემლობასთან... არ ვიცი, ვინ როგორ გამიგებს - გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, შორს ვარ ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან, თუმცა, მათი მხრიდან, არაერთი შემოთავაზებაც მქონია. იქ ჩემს თავს ვერ ვხედავდი და, მით უფრო, ვერც დღეს ვხედავ, მაგრამ ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, თუ ქართულ, ეროვნულ საქმეში დაუდგებიან ხალხსა და ქვეყანას, მათ მიმართ ჩემს წილ პატივისცემას არ დავიშურებ - გვერდში დავუდგები.

- სხვაგვარად ვერც ნარმართავდით „ლიტერატურული მესხე-თის“ საქმიანობას ასე ნარმატებით. ასეთი ფართო სპექტრი ავტორებისა და თემატიკის მრავალფეროვნება, ცხადია, საქმისაღმი თქვენმა სწორმა დამოკიდებულებამ განაპირობა! უშუალო კავშირი გაქვთ და თანამშრომლობთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და რეგიონის კულტურულ დაწესებულებებთან ....

– დავიწყებ იმით, რომ ლიტერატურული გაზეთის დაფუძნება  
ასპინძაში, საკმაოდ არარეალურად ესახებოდა ბევრს: იმხანად  
რეგიონში რესპუბლიკაში ცნობილი ორად-ორი მწერალი – ელენე  
დიდიმამიშვილი და გიორგი ზედგინიძე გვყავდა, თუმცა აქ მოღვა-  
ნე არაერთი კარგი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, ყოველთვის  
ჩრდილში რჩებოდა, ყველა საგამომცემლო საქმე სახელმწიფოს  
ხელში იყო და თავისუფალი ბეჭდვის შესაძლებლობა ძნელად  
მისაწვდომი – მათ შემოქმედებას სალიტერატურო ჟურნალ-გაზე-  
თების გამომცემლები რატომლაც ვერ „ხედავდნენ“. თუ მწერლის,  
შემოქმედის ნამოღვანარი არ დაიბეჭდა, როგორ უნდა გამოჩნდეს  
იგი საზოგადოებაში? ყველამ ვიცით, რომ სამცხე-ჯავახეთი ეთნი-  
კურად მრავალფეროვანი რეგიონია და ნარმოიდგინეთ, რა რთუ-  
ლი იქნებოდა ახალ სალიტერატურო გამოცემასთან შეჭიდება მა-  
შინ, როცა დედაქალაქსაც კი უჭირდა ლიტერატურული გაზეთე-  
ბის შენარჩუნება, სამწუხაროდ, ბევრმა პროფილი ვერ შეინარჩუნა  
და დღეს არცერთი ძველი გამოცემა აღარ არსებობს, გარდა  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღევანდელი  
გამოცემებისა. ჩვენი გაზეთი კი 22 წელია, უწყვეტად გამოდის და  
თავისი არსებობის მანძილზე არცერთი ნომერი არ ჩავარდნილა.  
სულ ვფიქრობდი, რომ რუსთაველის ნააკვნარზე უნდა ყოფილიყო  
ლიტერატურული გამოცემა, ჩვენ უნდა გაგვეგრძელებინა ის დიდ  
ტრადიციები, რაც ოდესლაც ამ მხარეს ჰქონდა. თვალშისაცემი  
რომ გამხდარიყო თუნდაც თავისი ულერადობით და დიდი ლიტე-  
რატურული ტრადიციების ანარეკლი მოგვცხებოდა, ახლად გამო-  
ცემულ ლიტერატურულ გაზეთს „ლიტერატურული მესხეთი“ და-  
ვარქვით და ქუდად დიდი გოგლას სიტყვები წაცუმდღვარეთ:  
„დადგით მესხეთში აკვნები, გაზარდეთ კვლავ რუსთაველი“.  
დრომ დიდი გამოცდა მოგვიწყო-თანდათან შემოვიკრიბეთ თანა-  
მოკალმენი, გაზეთის არსებობამ ბევრ ახალგაზრდას უბიძგა მწერ-  
ლობისკენ. არ დაგიმალავ – რამდენიმე შემოქმედმა მწერლობა ამ  
გაზეთის გამოცემის შემდეგ დაიწყო, მათ შორის, სხვებზე რომ  
არაფერი ვთქვა, ჩემმა უფროსმა ძმამაც – რობერტიმაც. თავი-  
დანვე იმედიანად ვიყავით, რომ გაზეთი იარსებებდა, თუ, რა თქმა  
უნდა, საქმეს პატიოსნად და უანგაროდ მოვეკიდებოდით. გვყავდა

ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოება, ქალბატონ ულეჭ-  
ნე დიდიმამიშვილისა და ბატონ გიორგი ზედგინიძის გამოცდილების  
ბის გაზიარება კი დიდი ძალა იყო ამ პატარა მხარისათვის.

- ახალციხეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილიალის ფუნქციონირებაც ხომ განსაკუთრებული იმედი იყო.

- რა თქმა უნდა, სწორედ „უნივერსიტეტელთა“ დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენი გაზეთი ასე მკვიდრად დგას ფეხზე, საუკეთესო სალიტერატურო გამოცემად რომ მოიხსენიება რესპუბლიკაში და წლიდან წლამდე ეგრერიგად რომ იზრდება გაზეთის მკითხველთა რაოდენობა. დასამალი არც ისაა, რომ ბატონ მერაბ ბერიძის დიდი ავტორიტეტიც მეხმარებოდა ყოველთვის. დღეს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ყველა სალიტერატურო გამოცემასთან შედარებით, ყველაზე მაღალტირაჟიანია და რესპუბლიკური მასშტაბით გავრცელების არეალშიც არავის ჩამოუვარდება. მარტო 250 ეგზემპლარზე მეტი დედაქალაქში ვრცელდება, მაშინ, როდესაც ზოგიერთი რესპუბლიკური სალიტერატურო გაზეთის ტირაჟი 400-დან 500 ეგზემპლარამდე ძლივს მერყეობს. ჩვენი წარმატება, როგორც ვთქვი, უნივერსიტეტის დიდმა თანადგომამ განაპირობა. ჩვენს გაზეთს ყოველთვის განსაკუთრებულ ხიბლს მატებს მესხეთის „დედაუნივერსიტეტის“ პროფესორ-მასწავლებელთა, განსაკუთრებით უნივერსიტეტის დამფუძნებლისა და მისი პირველი რექტორის მერაბ ბერიძის, რექტორის – მაკა ბერიძის, პროფესორების – თინა იველაშვილის, ნესტან სულავას, რომან გოგოლაურის, ნატო ყრუაშვილის, ციური ლაფაჩის, უჩა ბლუაშვილის, ვახტანგ ინაურის, ახალციხელი პედაგოგის, შესანიშნავი მეცნიერის სოსო გიქოშვილის და სხვათა (პოდიშს ვიხდი ყველას რომ ვერ ვასახელებ) შემოქმედებითი ნაღვანით გაზეთის თემატიკის გამდიდრება. აქვე არ შემიძლია არ მოვიხსენიო ის დიდებული ადამიანები – ან განსვენებული ვალერი სილოგავა, სერგო მელიქიძე, გივი ახვლედიანი, შალვა კელოშვილი, გიორგი ივანიძე და სხვანი, რომლებიც არა მარტო ქვეყანას, არამედ ჩვენს გაზეთსაც დააკლდნენ.

„ლიტერატურული მესხეთი“, ალბათ, დაკარგავდა პენს, რომ არა ჩვენი დიდი მეგობრების გრიგოლ ჯვარიძის, ლევან ლაფაჩის,

ახალციხელი კალმოსნების – რეზო ანდლულაძის, ვაჟა სამსონიძის, ბორჯომელების – ვალერიან ლომიძის, უშანგი ჯავახიშვილის, თამაზ ჩიკვაძის, თემურ ხუსუნაიშვილის და სხვათა თანამშრომლობა. აქვე დავძენ, გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთთან სიამოვნებით თანამშრომლობენ რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონის, განსაკუთრებით დედაქალაქში მოღვაწე ცნობილი მეცნიერები და ლიტერატორები.

საკითხს ცოტას გადავუხვევ და მინდა შევეხო მესხური ფოლკლორისადმი ჩვენს დამოკიდებულებას, რადგან ჩვენ ფოლკლორის სახით დიდი საგანძურო გვაქვს და ქვეყნის არცერთ რეგიონს არ ჩამოუვარდება. ამიტომ აუცილებლად გვჭირდება მისი პოპულარიზაცია. „ახალციხის მუზეუმელთა“ და სხვათა და სხვათა დიდმა დახმარებამ, შედეგი გამოიღო – გამოვეცით „მესხური ფოლკლორის“ პირველი ტომი და გამოსაცემად მზადაა დარჩენილი ორი ტომიც – თითოეული მათგანი 900-900 გვერდიანი იქნება. აბა, წარმოიდგინეთ, ასეთი ხალხური ზეპირსიტყვიერების პატრონები ვართ და განა ყურადღებამისაქცევი არ უნდა იყოს იგი? ყოველდღიური ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ფოლკლორს დადი ყურადღება ექცევა საქართველოში, მაგრამ განა მარტო ცეკვა და სიმღერაა ფოლკლორი? ქვეყნისთვის აუცილებლად საჭიროა ხალხური ზეპირსიტყვიერების დაცვა და პროპაგანდა. გავა დრო და უყურადღებობით, შესაძლოა, ბევრი რამ დაიკარგოს, როგორც აქამდე დაიკარგა! ფოლკლორი, ზოგადად, ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია და ჩვენ თუ კულტურულ ერად გვინდა წარვდგეთ მსოფლიოს წინაშე, სწორედ ამ მიმართებითაც გვმართებს მუშაობის გააქტიურება.

ქართული მწერლობა მდიდარია სხვადასხვა ქვეყნის ხალხური ზეპირსიტყვიერების თარგმანებითაც. ხომ შეიძლება ქართული ფოლკლორიც ხშირად ითარგმნებოდეს უცხო ენებზე და პოპულარიზაცია გაეწიოს მას?

– მახსოვს თქვენი დიდი მცდელობა რუსთაველის მუზეუმის შენებლობისათვის, თქვენი დაუღალავი აქტივობა „შოთაობის“ სახალხო დღესასწაულის აღდგენისათვის,... თქვენი ასეთი შემართება ხომ სამშობლოს სიყვარულით იწყება...

- ორიოდე სიტყვით შევეხები რუსთაველის მუზეუმის მშენებლობის საკითხს. ერთი პერიოდი შექმნილი მქონდა შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღმოჩინების რესპუბლიკური ფონდი, რომლის მეშვეობითაც, რამდენიმე წლის დაუღალავი შრომის შედეგად, მოვიზიდეთ გარკვეული ფინანსური საშუალებები და შევისყიდეთ დაბაში ახლადშენებარე სამსართულიანი კაპიტალური შენობა (ე.ნ. შენობის „კარკასი“). ამ საქმეში ხელი შემიწყო რესპუბლიკის იმუამინდელმა მთავრობამ, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, მაგრამ მოგვიანებით მისი პრივატიზაცია ისე მოახდინეს, რომ ეს ამბავი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გავიგე. როგორც ხედავთ, დახმარების ნაცვლად ასეთი შედეგი დადგა! მიუხედავად დიდი მცდელობისა, სამართალი აღმედგინა, ვერაფერს მივაღწიე. ბოლოს სხვა იმედიც გაჩნდა, მაგრამ... დავრწმუნდი – ჯერ არ დამდგარა დრო რუსთაველისათვის რომ მოიცალონ! როგორც იტყოდნენ – „რა დროს ლექსიაო....“ მე ამას სხვა პერიფრაზას მოვუძებნიდი – „რა დროს რუსთაველია!..“ დღეს ყველა სხვა, უფრო „მნიშვნელოვანი“ საკითხებით არიან დაკავებულები...

ჩემი აქტიური ჩართულობით, აგერ უკვე 12 წელია, აღდგენილია „პოზიტის სახალხო დღესასწაული – „შოთაობა“, რომელიც იმართება სოფელ რუსთავსა და ვარძიაში. ჩვენს ახალგაზრდებს უნდა ახსოვდეთ, ერთ-ერთი ყველაზე წიგნიერი ერი რომ ვიყავით და რომ მწერლებისა და პოეტების ქვეყნად ვიწოდებოდით. გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების გამო (არც იყო გასაკვირი) სახალხო დღესასწაულები ჯერ გაფერმკრთალდნენ, ბოლოს, მიივიწყეს კიდეც. ჩვენს მაშინდელ ინიციატივას გვერდში დაუდგა შესაბამისი სამსახურები. ბოლო ხანს კი შოთაობა ყოველწლიურად აღინიშნება. შესაბამისად, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ჩვენი გაზეთი ტრადიციულად, ყოველწლიურად ატარებს ლიტერატურულ კონკურსებს პოეზიაში და ეს პრემია პრესტიულ პრემიად იქცა. კონკურსებში თითქმის საქართველოს ყველა რეგიონის პოეტები მონაწილეობენ. ამ ხნის მაძილზე 80-ზე მეტი ლაურეატი გვყავს და ჩვენს ერთ-ერთ დიდ მიღწევად მიგვაჩნია, რომ ამით ჩვენი წვლილი შეგვაქვს ქართული მწერლობის განვითარება-აღმოჩინების საქმეში. ბევრმა პოეტმა

(მათ შორის ახალგაზრდებმა) აღიარება სწორედ ამ კონკურსებში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მინისტრის

აქვე მინდა გავამჟღავნო ერთი ფრიად სასიამოვნო ფაქტიც: ჩვენი კონკურსებით დაინტერსდა საქართველოს განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და მათ მიერ დაწესებული იქნება გრან-პრი, რაც კიდევ უფრო აამაღლებს კონკურსის ავტორიტეტს და „შოთაობა“, თავისი შინაარსით, უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდება, იგი ლექსის ნამდვილ ზეიმად იქცევა.

— ახლა ხელში მაქვს თქვენი ლექსების კრებული „მარადიული ვალი“. თქვენი ორი ძმაც მწერალია. ცოტა რამ თქვენს შემოქმედებაზეც გვიამბეთ.

— როგორც იცით, ოთხი ძმა ვიყავით. უფროსი ძმა, გიორგი, გასულ წელს დაკარგეთ და ჩვენი დიდი ოჯახისთვის ეს უდიდესი დანაკლისი იყო. მე მისი დაკარგვით, ჩემი ლალი, მამაც დაკარგები მრჩეველიც და მეგობარიც. იგი პროფესიით მხატვარი იყო, სამი ძმა კი მწერლობაში ვცდით ბედს. მათი შემოქმედება სისტემატურად იბეჭდება ქართულ პერიოდულ გამოცემებში. დურმიშხანი მწერალთა რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეც იყო. მას გზა ქართულ მწერლობაში დიდმა გოგლამ გაუკვალა და მის ნიჭიერებასაც დიდად აფასებდა, ყველანაირად ეხმარებოდა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ბატონმა გოგლამ აქტიურად შეუწყო ხელი, რომ საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდა კაცს რედაქციაში დაეწყო მუშაობა. სარეკორდენდაციო წერილს იმუამიდელი რაიონის მესვეური ოჯახურ რელიგივიადაც კი ინხავდა, ანუ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ „ლიტერატურული ძმობაც“ გვაკავშირებს ერთმანეთთან.

ბავშვობიდან ვწერდი ლექსებს, მაგრამ, შემდეგ, ძალიან დიდ ხანს, მწერლობას მოვწყდი, აღარც კი მახსოვდა ჩემი პოეზია. სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწეობამ დამაშორა მწერლობასთან. მხოლოდ „ბალზაკის ასაკს“ საკმაოდ გადაცილებულ შემომიჩნდა „ლექსის ჭია“ და „სიბერეში“ კვლავ მივყავი ხელი ამ საქმეს (თუმცა ჩემი თავი ბერივაცად ვერ ნარმომიდგენია — ხშირად ვიმეორებ — „დაე, სიბერემ ბალში მიცადოს, მე ახლა მისთვის“).

გარდა იმისა, რომ ჩემი შემოქმედება ხშირად იპეჭდება ქართულ სალიტერატურო უურნალ-გაზეთებში, გამოცემული მაქვს სხვა წიგნებიც - „რუსთაველის ქვეყანა“, „ვწერ ვინმე მესხი მელექს“, „მესხური ფოლკლორის“ სამტომეულის პირველი ტომი, „მესხეთი ქართულ პოეზიაში“. ამჟამად ვმუშაობ ერეკლე II-ის დაბადების 300 და ასპინძის ომის 250 წლისთავისადმი მიძღვნილ წიგნზე - „სიკვდილის ლხინი ასპინძაში“, რომლის გამოცემას ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია და საქართველოს განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აპირებენ. ამჟამად წიგნი დაკაბადონების პროცესშია. მზად მაქვს ასევე „მესხური ფოლკლორის“ II-III ტომები, რომელთა გამოცემას უახლოეს მომავალში ვაპირებ.

- თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას, რა გზას აირჩევდით? რას ნანობთ, რისი გაკეთება ვერ შეძელით, რით ამაყობთ.

- მე იმ ეპოქის შვილი ვარ, როცა ჩვენი სურვილისამებრ ყველანაირი არჩევანის საშუალება არ გვქონდა. გაზეთს ხომ დამოუკიდებლად ვერასოდეს გამოსცემდი. ის სისტემა იყო ისეთი და იმ სისტემაში არსებულ სახელმწიფო სტრუქტურებში ვიყავი დასაქმებული. სხვა სტრუქტურები იყო კი? დღეს რომ ბევრს მოაქვს თავი, თითქოს სისტემას ებრძოდნენ, ერთეულების გარდა, გახსოვთ სისტემასთან მებრძოლი სხვა ვინმე? გაგეცინებათ, მაგრამ მაინც ვიტყვი: ლმერთს ნუ ექნა და რომ არ დამლილიყო სსრ კავშირი, დღევანდელი ბევრი „ცნობადი“ თუ „ცნობილი მოღვაწე“ სად იქნებოდა? - თანამდებობების დაკავებაში ვინ მოასწრებდა მათ. ახლა რომ სკამებისთვის ჭამენ ერთმანეთს, მაშინ რას იზამდნენ? თუმცა ამაზე საუბრის გაგრძელება არ ღირს. თქვენს კითხვას კი ასე გავცემ პასუხს: ამ გადასახელიდან, ახალგაზრდა რომ ვიყო და ცხოვრებას თავიდან ვიწყებდე, ჩემი ცხოვრებაც ისეთივე წულებრივი იქნებოდა, როგორიც სხვა დანარჩენი ახალგაზრდებისა, მაგრამ გაზეთსა და სხვა გამოცემებზე მუშაობას, ალბათ, ადრეული წლებიდან დავიწყებდი და, ვფიქრობ, უფრო მეტის

გაკეთებას შევძლებდი. თქვენ კარგად მიცნობთ და იცით, ჩემზე  
ვერავინ იტყვის, უკანონობას შეგუებული იყო.

ჩემი ცხოვრების გზაზე უსიამოვნო მდგომარეობაშიც არაერთ-  
ხელ აღმოვჩენილვარ, მაგრამ საკუთარი პოზიციისთვის არასო-  
დეს მიღალატია. ზოგჯერ დაპირისპირებაშიც ვყოფილვარ ადგი-  
ლობრივ ხელისუფლებასთან, მაგრამ არ მინანია. მთავრობაში  
მაღალჩინოსანი სამეცნიეროს საშუალებით შესაძლებლობა მქონ-  
და, რაიონის თავკაციც კი გავმხდარიყავი, მაგრამ დიდი სკამის-  
თვის არასოდეს მიბრძოლია, ჩემი დახმარებით სხვა კი აღმოჩე-  
ნილა თბილ სკამზე. ყველაზე მძიმე პერიოდში, როდესაც ბევრის-  
თვის სამსახური სანატრელი იყო, თანამდებობა სწორედ მაშინ  
დავტოვე. კაცი ყოველთვის უნდა იყო საკუთარ თავთან მართალი.  
კითხვაზე – რისი გაკეთება ვერ შევძელი? ვიტყვი: – როდის იყო,  
რომ ადამიანი ყოველთვის ალწევდა იმას, რასაც ნატრობს! ადა-  
მიანი სიკვდილამდე იღწვის, შედეგებს კი სიკვდილის შემდეგ მისი  
შთამომავლობა იმკის. საამაყო რა მაქვს? – აქამდე რომ შევ-  
ნარჩუნეთ გაზეთი და რომ საყვარელი ოჯახი მყავს!

### – რას ეტყოდით მესხეთზე მზრუნველ ადამიანებს?

– იმით დავიწყებ, რომ დღემდე ჩემში მესხეთით, ზოგადად  
სამშობლოთი გამოწვეული ტკივილები დრომ ვერა და ვერ გან-  
კურნა. მე მესხეთის, საქართველოს სიყვარული ასპინძიდან შე-  
ვიცანი და ასე შევიყვარე დედასამშობლო. არასოდეს დამავიწყ-  
დება, სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, სიზ-  
მარში ძალიან ხშირად ვხედავდი ერკოტის მთებს, რადგან ჩემი  
სახლის პირდაპირ მისი შემოგარენის მთელი პანი იყო გადაშლილი  
და სულ იმის ნატვრაში ვიყავი, რაც შეიძლება მალე მეხილა მშობ-  
ლიური მხარე. იმხანად, აწყურს რომ გამოვცდებოდი, თავი ყო-  
ველთვის სახლში მეგონა. როგორც ერთი ჩვენი სასიქადულო  
მწერალი იტყოდა – სამშობლოს სენებაზე უნდა გბურგბელავდესო  
და ეს ჭეშმარიტი ნათქვამი საკუთარ თავზე გამომიცდია. თუ არ  
შეიყვარე შენი მამული – როგორც გალაკტიონი იტყოდა –  
„მშობელ მინაზე თუ ფეხშიშველამ არ გაიარე, რა მამული“ – ისე  
ვერ შეიგრძნობ მის სიყვარულს. ხუმრობანარევადაც ვიტყვა:  
ალბათ, მთელი ბავშვობა ფეხშიშველამ რომ გავატარე, იმიტომაც

ვარ ასე ახლოს ჩემს მიწასთან. ტალახიც უნდა ზილო შენი მიწის  
და მის შხაპუნა წვიმაშიც თავით ფეხებამდე უნდა დასველდე, რომ  
ბოლომდე შეიგრძნო იგი. ამიტომ, ჩემი გამოცდილებიდან გამომ-  
დინარე, კარგად ვგრძნობ, ვინც თავის სოფელთან, თავის კუთ-  
ხესთან, ახლოსაა, მათში მეტია საკუთარი მიწის სიყვარული, მხა-  
რის ასალორძინებლად უყოფმანო ქველმოქმედებას ეწევიან და  
ხალხის სიყვარული და პატივისცემაც არ აკლიათ. ქონება დროე-  
ბითი სიმდიდრეა, ყველაზე დიდი სიმდიდრე კი შენი აყვავებული  
მხარე და სამშობლოა, – სანთელ-საკმეველი თავის გზას არ  
დაკარგავს. სიკეთეს დათესავ? – დღეს თუ არა ხვალ, უეჭველად,  
კეთილად გაგიხსენებენ და შთამომავლობას სიამაყით აავსებთ.

დიდი მადლობა ინტერვიუსთვის და კიდევ ერთხელ გილოცავთ  
იუბილეს. გისურვებთ კვლავაც დიდხანს გელვანოთ ჩვენი  
სამშობლოს საკეთილდღეოდ.

### ინტერვიუერი ლალი ბერიძე

ავთანდილ პერიოდის და გაზეთი „ლიტერატურული მასები“

მესხეთში გაზეთის გამოცემის ისტორია მე-20 საუკუნიდან იღებს სათავეს. პირველი ქართული გაზეთი - „განახლებული მესხეთი“, 1919 წლის 2 თებერვალს გამოიცა. „განახლებული მესხეთი“ ყოველკვირეული „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთი იყო. მესხეთის პირველი გაზეთი კვირაში ერთხელ ქართულ და თურქულ ენებზე გამოდიოდა და „სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანებას“ ემსახურებოდა. 1918-1921 წლებში რეგიონში კიდევ ორი გაზეთი - „მესხეთ-ჯავახეთი“ და „შარქუმი“ (სომხური მოძრაობა) გამოდიოდა. 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ სამცხე-ჯავახეთში უურნალ-გაზეთების ბეჭდვა შეწყდა. რეგიონული პრესის გამოცემა 1926 წელს გაზეთ „მიწათმოქმედის“ გამოსვლით აღდგა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სამცხე-ჯავახეთის გამოცემები უფრო მრავალფეროვანი გახდა. ახალ-ციხეში იბეჭდებოდა „მესხეთი“, „სამცხე-ჯავახეთი“, „სამცხე“, „ლიტერატურული მესხეთი“, „ახალციხე“. აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლების მიწურულს, რეგიონში დაარსდა ტელეკომპანიები, რადიოები და სააგენტოები.

90-იან წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გაზეთმა „ლიტერატურულმა მესხეთმა“, რომლის რედაქტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი ბატონი ავთანდილ ბერიძეა. ბატონ ავთანდილს 70 წელი შეუსრულდა. გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ არსებობის 22 წელს ითვლის. გაზეთი თავისი შინაარსითა და უცვლელი რედაქტორის - ბატონი ავთანდილის მცდელობით, არის მხარის კულტურისა და ისტორიის დამცველი. აღსანიშნავია ბატონი ავთანდილის შრომისმოყვარეობა გაზეთის თითოეული ნომრის მომზადების საქმეში. ის გამოიჩინება მასალების შეგროვებისა თუ ავტორთა მოძიების არაჩვეულებრივი უნარით. თავად გახლავთ რედაქტორიც, უურნალისტიც და გაზეთის გამავრცელებელიც.

„ქართული სულიერების სადარაჯოზე როგორც ყოველთვის, ამჯერაც ერთგულ მეცინოვნედ დგანან ქართველი მწერლების პოეტები, ჩვენი სალიტერატურო გამოცემები. ისინი თავიათი „სულის პურით“ კვებავენ და უანგარო სამსახურს უნდევენ ქართველ ერს, რამეთუ ერის ხსნა იმ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებშია, რაც ქართულ კულტურაშია გამოხატული“, - წერს ავთანდილ ბერიძე სალიტერატურო უურნალში - „ოლე“. ასე ესმის ბატონ ავთანდილს სალიტერატურო პრესის დანიშნულება. სწორედ, ლიტერატურულმა გამოცემებმა უნდა გამოკვებონ „სულის პურით“ საზოგადოება, უანგარო სამსახური გაუწიონ ქართველ ერს. თავადც, წლების განმავლობაში, ენთუაზიაზმით უდგას სათავეში „ლიტერატურულ მესხეთს“, გაზეთს, რომელსაც „უპირობო მემატიანეს“, „საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრების მეციხოვნეს“ უწოდებენ. ვულოცავთ ავთანდილ ბერიძეს საიუბილეო თარიღს.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ 1998 წელის 15 ოქტომბერს დაფუძნდა კერძო პირის ავთანდილ ბერიძის, თსუ მესხეთის ფილიალის, საქართველოს მწერალთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის, შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდისა და შპს „ფერიციხის“ მიერ. გაზეთის პირველი ნომერი 1999 წლის იანვარში, 2500 ტირაჟით გამოიცა. პირველი სამი ნომრის გავრცელება 12-დან 25-ი ეგზემპლარის ფარგლებში მერყეობდა. შემდეგ, გაზეთის ტირაჟი 800-მდე შემცირდა. დროთა განმავლობაში, სარედაქციო საბჭოს დაუღალავი მუშაობის შედეგად, გაზეთის ტირაჟმა 2550-ს მიაღწია და მისი გავრცელების არეალი რეგიონის ფარგლებს გასცდა. დღეს მარტო დედაქალაქში გაზეთის 250 ნომერი ვრცელდება. რედაქტორის თქმით, გაზრდილი მოთხოვნილების გამო, არ გამოირიცხება ტირაჟის გაზრდა. გაზეთის გამავრცელებელთა არარსებობის გამო, რედაქტორის პრობლემა ახალი ნომრების ადგილზე მიტანაა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტერნეტის გამოყენებამ მარტივი გახდა „ლიტერატურული მესხეთის“ გამოწერის, ასევე, მკითხველისთვის ელექტრონული სახით ახალი ნომრის გაცნობის შესაძლებლობა.

საინტერესოა, რა სიტუაცია იყო მესხეთში, რომელიც 90-იან  
წლებში გაზითის გამოცემას წინ უძლოდა. „მესხეთი ქართველები“  
ბისთვის ის არის **სწავლა-განათლების საქმეში**, რაც საბერძნეთი  
კაცობრიობისათვის“, - წერდა აკადემიკოსი მოსე ჯანაშვილი.  
ამდენად, მესხეთიდან მთელ საქართველოს ქართული სულის,  
ქართული კულტურის მაჯისცემის ხმა კვლავ უნდა მისწვდებოდა.  
1994 წელს დადგა საკითხი, სამცხე-ჯავახეთში მწერალთა რეგიო-  
ნული ორგანიზაცია შექმნილიყო. გურამ ფანჯიკიძემ, გრიგოლ  
აბაშიძემ, რეზო მიშველაძემ, გურამ გვერდნითელმა და სხვებმა  
გადაწყვიტეს, საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავა-  
ხეთის რეგიონული ორგანიზაცია ჩამოყალიბებულიყო. მაშინ რუს-  
თაველის მხარეში სამწერლო მიმართულებით არაფერი კეთ-  
დებოდა. ამიტომ მხარისთვის სამცხე-ჯავახეთში მწერალთა რე-  
გიონული ორგანიზაციის შექმნა მნიშვნელოვანი იქნებოდა. იყო  
დავა, აღნიშნული ორგანიზაცია ახალციხეში თუ ასპინძაში და-  
ფუძნებულიყო. საქართველოს მწერალთა კავშირის დიდი მსჯე-  
ლობის შედეგად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციის  
ასპინძაში გახსნა გადაწყდა, რასაც ხელი შეუწყო რუსთაველის  
წარმომავლობამ სოფელ რუსთავიდან. მხარად ბატონი ავთან-  
დილი მწერალთა რეგიონული ორგანიზაციის კონსულტანტად  
დაინიშნა, ცოტა ხანში – რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვა-  
ნებლად და არჩეული იქნა მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

მიუხედავად იმისა, რომ დაფუძნდა მწერალთა რეგიონული ორ-  
განიზაცია, მას აუცილებლად ესაჭიროებოდა საკუთარი სალი-  
ტერატურო ორგანო – გაზითი ან უურნალი. როგორც ბატონი  
ავთანდილი ამბობს, გაზითის გამოცემის იდეა თავდაპირველად  
თავის დიდ მეგობარს, მესხეთის უნივერსიტეტის პროფესორს,  
ანგარდაცვლილ სერგო მელიქიძეს გაუზიარა. იდეის მხარდაჭერის  
იმედით, იგი რამდენჯერმე შეხვდა დიდ ქართველ მწერლებს –  
მურმან ლებანიძეს, რეზო მიშველაძეს, აკაკი ბაქრაძეს, ცნობილ  
მსახიობს ოთარ მელვინეთუხუცესს, აკადემიკოს ევგენი ხარაძეს  
და სხვებს. თავდაპირველად, ვერცერთი მათგანი წარმოიდგენდა,  
რომ შესაძლებელი იქნებოდა ამ იდეის ხორცებს სმა. მურმან  
ლებანიძეს ავთანდილ ბერიძისთვის ისიც კი უთქვამს, რომ თუ ვერ

შეძლებთ მესხეთში ლიტერატურული გაზეთის გამოცემას, შეგიძლიათ ქართლის რეგიონთან ითანამშრომლოთო. ბატონ ავთან-დილს კი, ამ დიდებული ადამიანებისთვის, მხოლოდ მისალოცი წერილების მომზადება უთხოვია. 1999 წლის იანვარში სალიტერატურო გაზეთი პირველი ნომერი გამოიცა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი დიდი ადამინების მისალოცმა წერილებმა დაამშვენა. გაზეთის სახელწოდება თავად რედაქტორმა, ბატონმა ავთან-დილმა შეარჩია. ლიტერატურულ გაზეთს სათაურშივე უნდა ემცო მკითხველისთვის მესხეთის ნარმოჩენის სურვილი. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში სალიტერატურო გაზეთებს შორის გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ყველაზე მრავალტირაჟიანი გამოცემაა.

გაზეთი 15 წლის მანძილზე ენთუზიაზმზე მუშაობდა. რედაქცია ასპინძაში, სარედაქციო საბჭო კი ახალციხეში იყო განთავსებული. ახლა გაზეთი რედაქტორის – ბატონი ავთან-დილ ბერიძის სახლში მზადდება. ერთ დროს გაზეთს ორი ოფისიც კი ჰქონდა: მწერალთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის, რომლის თავმჯდომარეც ბატონი ავთან-დილია და ცალკე გაზეთის, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს, ორივე ოფისი ჩამოერთვა და იძულებული გახდა, გაზეთის გამოცემა საკუთარ ბინაში გაეგრძელებინა. მოგვიანებით იყო შეთავაზება, გაზეთის რედაქცია გუბერნიის შენობაში გადასულიყო, მაგრამ ბატონი ავთან-დილი ამ შეთავაზებას არ დასთანხმდა, რედაქციის გადატანა ახალციხეში მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

მოგეხსენებათ, სალიტერატურო გაზეთები ძირითადად პროზის, პოეზიის და ხშირად პოლიტიკური მოვლენების გაშუქებით არიან ნარმოდგენილი. მაგრამ რედაქცია ამ მიმართულებით არ წასულა, „ლიტერატურულმა მესხეთმა“ სხვა დატვირთვა მიიღო.

რადგან რეგიონში თურქთა სამასწლიანმა ბატონობამ ჩაკლა ეროვნული კულტურა და სულიერება, რუსთაველის მხარეში სიტყვაკაზმული მწერლობა აშუღურმა პოეზიამ შეცვალა, ფაქტობრივად, ლიტერატურული ცხოვრება აღარ არსებობდა. იმის გამო, რომ წმინდა ლიტერატურული მასალით გაზეთი ფუნქციონირებას ვერ შეძლებდა, წინა პლანზე ისტორიამ, ფოლკლორმა, ხელოვნებამ, კულტურამ და სხვა დარგებმა წამოიწია.

გაზეთის ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგისტრის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესიული თანამშრომლობს. აღსანიშნავია, რომ გაზეთის ერთ-ერთი დამფუძნებელი სწორედ იმდროინდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალია. დიდია იმდროინდელი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის წვლილი გაზეთის ფუნქციონირების საქმეში.

გაზეთის ყოველი ნომერი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მხატვრული ლიტერატურის გარდა გაზეთში ხშირად იბეჭდება მასალები რელიგიურ და ისტორიულ თემატიკაზე, მხარის ნარსულსა და პოპულარულ საკითხებზე, ასევე, სამეცნიერო თუ პოლემიკურ საკითხებზე. განსაკუთრებული ადგილი უკავია ფოლკლორს. უკანასკნელი წლების ნომრების ფურცლებზე შეხვდებით ძველი ქართული პერიოდიკიდან მესხეთზე არსებულ მასალებსაც, რაც მკითხველთა დიდი ინტერესს იწვევს.

ასევე გაზეთში შეხვდებით თარგმანებს, მასალებს რეგიონის კულტურულ ცხოვრებაზე. გაზეთმა ბევრ ახალბედა პოეტს გაულო კარი, რომელთა ლექსებს საზოგადოება პირველად „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებიდან გაეცნო. ავტორთა წრე მრავალრიცხოვანია. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება რეგიონში უკვე საკმაოდ ცნობილი ავტორების – ელდარ ზაზაძის, კობა მოდებაძის, უჩა ლონდაძის, გივი ნემისაძის, მარიზა ჯიქიას, უჩა ჯანგირაშვილის, რობერტ, დურმიშხან, მერაბ, გიორგი ბერიძების, ვაჟა სამსონიძის, სოსო გიქოშვილის და სხვათა შემოქმედება. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ გაზეთში იბეჭდებიან საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ცნობილი ავტორები, განსაკუთრებით დედაქალაქის შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენცია.

გაზეთის ინიციატივით აღდგენილ იქნა „პოეზის სახალხო დღესასწაული - შოთაობა“ და ასევე ტრადიციული გახდა ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსი. ამასთან, გასულ წელს გამოცხადებული იქნა ლიტერატურული კონკურსი მოსწავლე ახალგაზრდობისთვის. ამ საქმეში აქტიურადაა ჩართული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასპინძის მერია, თსუ

მორფოლოგის ინსტიტუტი, კერძო პირი ელდარ ალიევი, ხოლო კონკურსის დაფინანსების საქმეში გასულ წელს სოლიდურით თანა-  
ხები გამოყო ასპინძის მეცნიერებაში ემზარ ასპანიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ყველაზე მრავალტირაჟიანი გამოცემაა, მხოლოდ ამ შემოსავლებით გაზეთის არსებობა შეუძლებელია. ამის გამო, რედაქციამ გამოძებნა დაფინანსების სხვადასხვა წყაროები. ამას-თან, ერთეული ბიზნესმენები – ნოდარ ინასარიძე, ლიანა მანჩხაშვილი, ავთანდილ გელაძე, ოთარ თათეშვილი, ნიკოლოზ კურტანიძე და სხვები, რომლებიც პერიოდულად, შეძლებისდაგვარად, ხელს უწყობენ გაზეთის გამოცემის საქმეს.

22 წლიანი არსებობის მანძილზე „ლიტერატურული მესხეთი“ მხარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურის მატიანეს ქმნის, რომლის თითოეული ფურცელი ამ დიდი კულტურის მაცნეა შთა-მომავლობისთვის. ამ გზაზე, ბატონი ავთანდილის როლი და დამ-სახურება ფასდაუდებელი და შეუფასებელია. ვუსურვოთ გამძღვება და მხერი ბატონ ავთანდილს ამ როლს და საპასუხისმგებლო საქმეში.

## მერაბ დადეშარი

### ტაქარი ერუშეთში

ვანის თავსა და ბუზმარეთის ბოლოს  
 დგას კედლები ტაძრის, დგას სიმბოლოდ ყოფნის, მხოლოდ  
 ყოფნის  
 და მტკიცებად აზრის,  
 რომ არავითარი კითხვა -  
 ვიყავით თუ არ ვიყავით,  
 რამდენჯერ ითქვა,  
 მაგრამ გამგონი არის ცოტა ძალიან...  
 აქ ბუზმარეთისა და ვანის საზღვარზე  
 აგერ ბარე ათი საუკუნეა, დგანან და არიან  
 დარაჯად სამშობლოსი  
 მხოლოდ რამდენიმე ასო ჩვენი ანბანის!  
 გვამცნობენ ერთს - შეიწყალე უფალო  
 მშენებელი და პატრონი ამ ტაძრის.  
 მთავარი კითხვა უპასუხოა:  
 ვინ იყვნენ ისინი,  
 თავმდაბალი ჩვენი წინაპრები?  
 არაფერს ამბობენ!  
 ხომ არის, ეს არის მთავარი,  
 დრო კი გარბის, დარახტული ცხენივით გარბის,  
 მაგრამ ოთხიოდე ასო ჩვენი ანბანის აქ არის და გვდარაჯობს.  
 თქვენზე ვლოცულობ, ვეფერები სულებს სასულეთში,  
 ვეხვევი კედლებს, არ მეშინია ჭინჭრის და ღვალოსი,  
 ასე არა სჯობს?  
 ვიცი, რომ ასე სჯობს: ჭინჭარმა დაფაროს, ნარმა გადაუაროს,  
 ოლონდ აქ იყოს.  
 ვლოცულობ თქვენზე, დიდო ერუშელებო!  
 რომ დატოვეთ კვალი უტყუარი,  
 რაც იქნება მუდამ ის, რაც იყო და რაც არის.

გოდი, ახლა სხვა რამეზე ვიფიქროთ,  
ვიფიქროთ იმაზე, რომ სისულელეა შიში,  
რომ შიში აჩლუნგებს აზროვნებას,  
რომ არასოდეს შეგშინებია და თავად ჩლუნგი არა ხარ!

აი, თურქმა მომაწოდა ლუხუმი და ბიში<sup>1</sup>,  
მომეფერა, შემომთავაზა აირონი,  
არა, ბერძნული ორიონი კი არა,  
ნამდვილი აირონი<sup>2</sup>.

ასეთ რამეს პაპა დოს ეძახდა,  
მაძალებდა,

ჩემი იყო, არ მიყვარდა,  
ახლა მომეწონა აირონი,  
ასე მიქრიან დრონი,  
იცვლება ყველაფერი, ვიცვლები მე,  
მაგრამ შიში?

წერო რომ გაიჭედოს ძრავაში?

მაგარი სისულელეა,  
რა უნდა ღრუბლებს ზევით წეროს!

მე კი უნდა ვწერო, რომ დრო გავიყვანო.

არ ეშინოდა მამას, მკვიდრად იდგა მიწაზე,  
ცხენს არ გადმოუგდია, იცოდა ცხენის მოვლა  
და ცხენით სიარული.

ასეა დღეს ყველა ჩვენგანის ჯინაზე!

უშიშარნი იყვნენ წინანი,

ოლონდ არა ვითარცა უხორცო,

საკუთარი ძალის იმედით მიდიოდნენ გზაში,

თუ იყურებოდნენ ცაში,

მხოლოდ იმიტომ,

რომ დრო ეგრძნოთ, საათი გაეგოთ

<sup>1</sup> ლუხუმი და ბიში - ცომისგან დამზადებული საჭმელები.

<sup>2</sup> თურქული სასმელი აირანი.

და ამაზე აეგოთ შემდეგი გზა.

თურქმა მიბოძა ყავა რძენარევი,

ლამაზი გამცილებელი თვალს მაცილებს,

გვერდზე ჯანიან ზანგის ბიჭს შეაქცია ზურგი,

აუგი ვერ თქვა,

არ ჰქონდა იმის ზურგი, რომ იტყოდა აუგს

მის უხამს საქციელზე და ფობიაში არ ჩამოართმევდნენ.

გამცილებელს არ ეშინია,

იცის, რომ პენიაზე ისე გავა,

არ შეასკდება მისი ხომალდი წეროს.

- არ მომწონს ძრავა - შეშფოთებული მიზიარებს გვერდზე  
მჯდომი.

არც მე მომწონს, მაგრამ რა,

მიფრინავს ხომალდი...

უშიშობამ შეჩვევა იცის,

შიშმაც იცის შეჩვევა,

ოღონდ ვერ გავიგე ამ ცის,

მზე თვალს მჭრის ისე ამ შუა ზამთარში,

თითქოს ბათუმის ზაფხულის მზე მედგას ლუმინატორში.

## არ ახალია, ძველია

ო, როგორ მეძველება ნაცნობი ჰანგები,

ვიღაც სიყვარულს მიხსნის, ძალიან მეფერება,

მოსწონს ჩემი სიბერე, „ლამაზი“ ბეხრეკობა,

უცხო ჩარჩო სათვალის, ყელ-ყარყარ-შეღერება,

არა, არ მემტერება, ნამდვილად მეფერება,

ოღონდ იმას რა ვუყო, ძაან რომ მეძველება?

მახსოვს ღიმილი-ღილინით გამოჭრილი კისრები,

ავაზანში ჩაცლილი უმანკოთა სისხლები,

ასე მილახებულნი იმ სისხლიდან ვიცლებით,

სულ სიცილ-სიყვარულში რომ ჰქონდათ ნაფიცები.

დღას ჩემი დღე, არც ლია, არც նաცრისფერი,  
უფრო შინდი გადაპျრავს,  
შორიდან კარგად ჩანს, ნისლი ახლავს,  
მაგრამ ფერი კარგად ჩანს,  
ცოტა შავიც მიმზერს, ცოტა ლაზურიტიც.  
მთები მომყვებიან ალაგ დადრეკილნი,  
ალაგ უნაგირა,  
წვერმაღალნიც და თავკვეთილნიც,  
შორს გამდგარა მყინვარი, უშბა...  
მეგონა გამწირა,  
არა, უდაბნოც ჩემთან არის, უღალატოა  
და მე ვივსები სხვა ენერგიით, სხვა ძალით ვივსები,  
მეც ვივსები და ივსებიან ფესვებიც.  
მოდის მტკვრის ენერგია, ზემოდან მოდის ქვემოրე,  
ჯავახეთის წყლის ენერგია ძალას აძლევს მტკვარს,  
მიმაგრებს გარს, „ხეთა რიგს, ხეთა ჯარს“.  
ტყის ენერგიით ვივსები და სიმწვანე შერევია შავს,  
ძალაობს მწვანე, მაგრამ წითელი გადაეღობა მას და ერთად  
მოდიან,  
წითელი სისხლს გამოპარვია, ჩემი წინაპრების,  
დაღვრილ სისხლს,  
მათი ენერგია ყველაზე ძლიერია, მახსენებს მისხით მისხს,  
რომ დავაგროვო მოზღვავებული სული,  
რომელსაც ვისრუტავ.  
მოდის ქვაბლიანის ენერგია, ჩამოჰყვა  
ტაოელთა ძალა,  
კლარჯეտში აშკარად ისეთი ნერგია ჩანერგილი ღრმად,  
მის ენერგიას არა აქვს საზღვარი  
და აი, მოვიდა ტაძართა გზავნილი კოსმიური,  
ისეთი ღრმა და ძლიერი,  
მან გაავსო და განანათლა სული ჩემი,  
ნარսულსა და მომავალში ნამგზავრი.

ასე: მთანი და მდინარენი იბერიისანი

ჩემი გავლით მიდიან მცხეთას,

მე კი ვდგავარ და ვიღებ ენერგიას დიდს, კოლხურს,

სვანურნარევი ენერგია დაძლევს

ყოველგვარ მომხდურს.

ველოდები სხვათა გავლით ჩემად მომავალ

ენერგიას ძველი და ახალი საქართველოსი.

ველოდები და ვარ ძლიერი,

დიახ, ხნიერი, მაგრამ ძლიერი,

სავსე ენერგიით!

## განი გზა

განი გზით გაუყევი ცხოვრებას,

უგანე თავალებს, ვერ ახვალ პირდაპირ,

ნინაპრის ნათქვამი მარტივი სიბრძნე, რომელიც გვავალებს,

შევეშვათ ოცნებას, მივყვეთ ცხოვრებას,

სპირალი სწორ ხაზზე ელასტიურია,

განი გზა ბოლომდე აგიყვანს უგულხეთქებოდ,

რაც დაძლეულია, ის საცნაურია,

განა ძმურია, ან შინაურია ამის მთქმელი,

უბრალოდ, რაც ძველია, ბრძნულია

და მეც დავდივარ ზიგზაგებით სპირალისებური გზით,

განს გავუყვები, რომ მთაზე ასვლა არავინ დაგვასწროს,

მთა, რომელიც დასცექერის მთელ სამყაროს,

მტერმორიდებულს, არა ხრიკს სამადლოს,

მტერდამარცხებულს,

მხოლოდ მაშინ შეგიძლია სიტყვის თქმა,

როცა მთაზე ახვალ და არ განირავ ძმას,

არც ზედმეტ თქმას, არც კაცის კვლას,

არაფერს ითხოვს განი გზა!

# დაბრმავებული დევი



გზად შემომეყარა დევი, არ იყო ცხრათავიანი,  
ჰქონდა ერთი თავი, მკლავი – სამმკლავიანი,  
არ ჰქონდა ღოჯები, ტანი – ბანჯგვლიანი,  
ძალიან უუმური, შეუხედავი, მრისხანე ჩანდა,  
საჭმელი მთხოვა, ვიცოდი ბევრს ჭამდა,  
ვიფიქრე: ყველაფერი ნამმნარდა!

გამოვუყვანე შარშანდელი მოზვერი და მივართვი,  
გამახსენდა დევებთან მებრძოლი ნაცარქექია, სულმნათი,  
ვეითხე დევს თავისი მისამართი,  
არ მითხრა, ოღონდ არ იმყოფინა, მზიას მიყვანა მიბრძანა,  
ვეძებე მზია, გავიგე ყველაფერი, გაგება შეიძლებოდა ვისგანაც,  
ყველა მზიამ მიგანა.

აბა, რა უნდა ექნათ, მეც ვუგანე დევს!

ავიღე გუდა, ნაცარი, ყველი, მახათი და გავედი წყალგალმა.

დევს გაეცინა, მეც გამელიმა,

მითხრა: ყველი ნაცარში შეფუთე, მახათი ისედაც გჭირდება,  
არ შემხვდე, თორემ ცუდი დღე დაგიდგება,  
მერიდე, წელში გაგამსხვრევ,

ნუ გგონია, რომ ვმასხრობ, არ გემასხრები,

დაგემტვრევა ეგ ადამიანური სახსრები!

მე დევი ვარ და სისხლი მიდგას დევური,

ძალა მაქვს დევური!

რა უნდა მექნა, დავარღვიე ყველა ნორმა კაცური,

მოვზიდე მშვილდი და ვესროლე ისარი,

ჯერ კიდევ დევების ეპოქაში ნაწრთობი ისარი,

მოვარტყი ერთადერთ თვალში, დავაბრმავე.

ამავეს ვიტყვი თუ იმავეს, არა აქვს მნიშვნელობა,

დამთავრდა ამბავი, რაც არის, ის არის.

დარბის ბრმა დევი და ლრიალებს, ძნელია თვალის დაკარგვა,

ყველაფერი ასე დამთავრდა,

ვიღაცამ კი დევებთან მებრძოლი მიწოდა,

მებრძოლობა დამნამა.

მერჩივნა, ვინმეს ქარის წისქვილთან მებრძოლი ეთქვა,  
არ გამოვიდა, რაც მერქვა, ისევ ის დამერქვა,  
ვინ მაღირსა წისქვილი ქარის, როცა ჩვენ გვაქვს  
წისქვილი წყალის.

წყლის წისქვილთან ბრძოლას დევებთან ბრძოლა სჯობს  
და მეც ვიბრძვი.

## 30 სერვისის ჩვენს მომავალს

ბერს ბერობა დავიწყნია, ერისკაცი ჭორაობს,  
ასე ყველა ჩაიხრჩობა ჭაობში ერთად, თანმიმდევრულად  
სიცრუეში გორაობს შეუნდობლად,  
ჯოჯოხეთი ელოდება ბრძოდეცეულ ქვეყანას,  
სოდომსა და გომორს მიაქვს სული ემმაკეული,  
ეს წყეული...

სულგაყიდვა ვინდა დაგვანათლა ასე გაუნათლებლად?  
სულ უკუღმა რამ გვანათლა?

თვით ლვითიშობლის წილხვედრილთ  
ხელს რადა გვკრავს ჩვენი დედა მარადი?  
თურმე ჩვენზე ცოდვილები აღარავინ არ არი,  
ან ვიქნებით წარმართები როდემდი და სადამდი?  
ამ ჩვენს გულში სიძულვილმა რად დაიდგა კარავი?  
რატომ არ ჩანს მიმტევებლად არავინ?  
რალა გვინდა, ხომ მოვულეთ საქართველოს თაგ-ბოლო?  
ხომ ვაცინეთ დედამიწა ჩვენი უნამუსობით?  
ან ასე რამ შეგვაჯავრა სამშობლო?

კიდევ, კიდევ რა გვინდა?  
უკვე აკვანს ვემტერებით, ეპრძვის ქართველს ქართველი,  
ოლონდ ლუკმა ვინმემ მოგვცეს,  
თვალებს ნაზად დავბინდავთ,  
ჩასაქრობად გავიმეტეთ ყველა წმინდა სანთელი,  
ერის კაცი დაგვიძვირდა,  
მღვდელი მღვდლობას განუდგა

აღარ არის ჩვენში წმინდა არაფერი,  
 ნავაგლახი ხორცის გარდა,  
 სული, სული დაგვიმძიმდა,  
 აღარ სულობს.

ვამრავლეთ და ვაორგულეთ მტრად ქცეული მოკეთე,  
 მოსაკვეთი არ მოვკვეთეთ,  
 გზა მივეცით ავაზაკს.

ვის მოუგო ნიშნი, თორემ  
 ჩვენ ყველაფრის ღირსი ვართ.

ვის ვუტოვებთ ამ ქვეყანას,  
 პერსპექტივა ნისლშია.

სანამ კიდევ შეგვრჩენია თითო კაცი სანიშნედ,  
 ჩვენ თუ არა,

ჩვენს მომავალს ვთხოვოთ, შევტიროთ,  
 ნუ მისცემენ სამიზნედ გადამთიელს, შინაურს,  
 ოჯახში შემოსულს

იმას,

ვისაც საქართველო უქართველოდ ეგულვის.

# უგელ ცხანია



ისევ ავედევნე ურა კვიცს,  
უბელი იყო, რა უნაგირი, რის ლაგამი,  
რკინას დაკვნეტდა, რომ ამოგედო,  
აღარ დავიწყებ ფიცსა და მტკიცს,  
მუხლმა მიღალატა,  
საჩიხის იმედით არ დავკარგე იმედი  
და შემოკრულში  
(მოკრული არის ამ დროს საიმედი)  
აზარტი, სისხარტე და ხალისი  
კიდევ უფრო გადამედო,  
ვწვდი ფაფარში და მოვზიდე მარჯვენით,  
ორფეხზე დადგა, ავხედე თვალებში,  
არ ჩანდა მრისხანე, მოვწიე ჩაბჯენით,  
თან რაღაც აღტკინებით თან რაღაც აღგზნებით,  
ნამდვილად ჩაპჯენით,  
ვითარცა ზამბარა ფაფარ ჩაჭიდებული ზურგზე მოვექეცი.  
მალევე მივხვდი დიდ განსაცდელს, როცა გამაქანა,  
ისე გამაქანა, შევშინდი, შემზარა,  
მაგრამ არა! ყელს შემოვეჭდე და  
ვიგრძენი ის ძალა,  
რომლითაც მოსულან დლევანდლამდე,  
ვისითაც მოვედი და როცა მეც წავალ,  
ეს ძალა იქნება, ყოველგვარ ჭენებას რომ დააოკებს,  
აი, ასე ნაცადს, მრავალს,  
ბერი პაპის ძალით, ბერი პაპის უფლებით,  
გავიმარჯვე, ავყევი ჭენებას,  
ყოველთვის ელირება გახსენებად  
ეს ჩვენი ჭენება.  
დამიჯერეთ, არ მეჩვენება, ასეთი რამ როგორ მოგეჩვენება,  
თანატოლნი ვიყავით, ვეძებდით გზახსნილებს,  
ფლოქვებს ცეცხლი სცვიოდა, გზაზე ანასხლეტი,  
არც მე მესხმოდა რეტი, არც ცხენს ესხმოდა რეტი

და მივექანებოდით გამეტებით

და როცა ვთქვი, არ მომსვლოდა იმაზე მეტი,

რაც შემეძლო და რის ძალაც მქონდა.

ვიფიქრე:

(თუ შეგიძლია, არაფერი არ არის მეტი)

და გეტყვი:

უბელ ცხენზე არასოდეს ვმჯდარვარ,

ამ ერთხელ შევჯექი და გამიმართლა,

ნამდვილად გამიმართლა!

## ისევ მე და მუზა

ისევ მივატოვე საქმე და ავედევნე მუზას,

მუზაა თუ მუსა, არა აქვს მნიშვნელობა,

მთავარია, ამ გამთენისას ამ ოხერმა ისე ამავსო,

არაფერმა მიშველა,

ავედევნე მუზას, ფიქრთა დინებას ბოლო არ უჩანს, მიმაქანებს,

ოღონდ საით, არც მე ვიცი და არც მან!

ეს მე მგონია, რომ მან არ იცის,

მან კარგად იცის, რომ მე არ ვიცი,

ამიტომ წამართვა თავი და ვეძებ დასაყრდენს,

რას უნდა დაეყრდნო, ვინ მოგცემს ყავარჯენს?

ვინ გეტყვის, მიყვარხარო და თან აგისრულებს?

ეს ისე...

თორემ ჩემთვის თანდათან ნათლდება ბნელი,

უპეთება მისამართი,

მივექანებით ერთად

და აი, შედეგი:

თეთრი ხნული, შავი თესლი,

თესლი მთესველს ეხვეწება,

გზა მომეცი,

მეც მივეცი გზა, არა, სამუდამოდ გადავეცი

და რა ვქნა ახლა?

აღარც საქმეა, აღარც მუზა,

მერე ამ ჩემმა მუზამ

თუ რამის თავი არ გქონდა,

რას მომდევდიო,

როგორც ბავშვი ახალწერაკითხვანასწავლი,

ჩემი მაგიდის კუთხესთან ამეტუზა.

თან დამტუქსა.

ვართ ახლა ასე: ის იქით და მე აქეთ,

ჩემი ძველი მეგობარი, თანამეინახე, ჩემი მუზა.

ან სად მომნახა, ან მე სად გამოვნახე,

არა და, მართლა ასეა, ვნახეთ ერთმანეთი,

თორემ მას ხომ არც სახე აქვს და არც სული -

ულამაზესია, ღვთიურია, ცითჩამოსულია სრული.

\*\*\*

ჭეშმარიტებას უნდა ჩავწვდეთ თანდათანობით,  
 სიმართლეს მუდამ შევნის დაცვა, ვით რჯულს სიმტკიცე.  
 მხოლოდ ფინიშთან შეფასდება, სწორს რას ვამბობდით!  
 გავარკვევთ, - ვის სურს თანადგომა, მაგრამ ვინ გვიწევს?!  
 გაჩნდება ეჭვი: - რა მოტივით გავხდით სანდონი?  
 ვის ხელაღებით უარვყოფთ და, აქვე წინ ვის ვწევთ?!

\*\*\*

რას დამდგომიხარ, ძმაო, თავზე, - რა გაქვს საკვნესი?  
 ანდა, ქვეტექსტში უჩვეულო რა დაინახე?  
 არასდროს მითქვამს ორაზროვნად, - არა მწამს-მეთქი  
 უბრალოდ, აზრი განვავრცე და ფრენა ვინატრე!  
 საუბედუროდ, ვერ გახვედრებ მთავარ პირობას:  
 ხსნის სწორი ახსნა გამოწვლილვით, ერთად, ვეძიოთ!  
 საკუთარ თავში ვესწრაფვოდეთ უნდა გმირობას!  
 ეგძ მოხდეს და: - ბედ-ილბალიც წამოგვეწიოს!  
 მწამს, სალი აზრი იარსებებს მარადიულად.  
 ჭეშმარიტებას თაობათა უნარი იხსნის.  
 რაც შეეხება ყოფით ამბებს, - ყოველდღიური  
 რეალობაა, ვით ნათება და დილა ცისკრის!

\*\*\*

გთხოვთ, არ შეწყვიტოთ ღალიანი საქმის კეთება!  
 თუნდ განმარტავდეთ, ნუ გგონიათ, სწორად იქცევით!  
 თანდათან უფრო მტკიცნეულად იქცა ეს თემა  
 ანუ, ფორმალურ-ლოგიკურად დასამტკიცები!

განა თავისით ოდესმე რამ განიმარტება?  
ინტუიციით ბევრი რამე უნდა ეცადო...  
უადგილოა დღეს ქილიკი, თავის მართლება!  
საცოდავი ხარ, თუ არ იძვრი, - ანუ ვერც ნანობ!



\*\*\*

რა ვქნა? ვერ ვკადრებ ლმერთს, - დაგარწმუნოთ!  
და ამიტომაც ჩემს თავს ვიფიცებ! -  
რათა გარდათქმით არვინ გაცდუნოთ,  
არ დავინანებ თქვენთვის ფიცს - ფიცზე  
და არც სათუოდ დავტოვებ საქმნელს,  
(ამას აქამდეც არ ვკადრულობდი);  
ეს დროსთან ერთად ძალას წაგვართმევს!  
ხალხს ახსოვს, ქადას როგორ ვგულობდით!  
კარგი საქმისთვის დრო მუდამ არის!  
გულიდან მოდის - თავზესაყრელად!  
მე თქვენში ვხედავ რწმენის და ძალის  
შენივთებას, - რაც ცამდე აგყვებათ!

\*\*\*

სუფევასა და გაჭირვებაში  
თქვენს გვერდით ყოფნა მინდა.  
გამომაცოცხლებს წვეთი ზედაშის,  
წეტარი ხმა ლოცვიდან...  
რაც ზურგსუკნიდან გულის სალბუნად  
მომეყურება ექოდ, -  
მარადიული წრფელი ვედრება  
შვილებისათვის, ლმერთო!

ო, შვილნო! თქვენი  
სიძლიერით მინდა ვიხარო!  
უფრო მოილხენს ამით მოკეთეც!  
არ გთხოვთ, გართობა უკუაგდოთ, გადაიყვაროთ!  
მთავარი არის, რომ გამოკეთდეთ!  
უნდა დაადგეთ ცხოვრების იმ წესს,  
უჭირბოროტო რომ აქვს შედეგი.  
გამოწვევების განვევა გვიწევს, -  
შეგვეძლოს რომ ვთქვათ: - კაცად შევდექით!  
ამასთანავე, კაცად შედგომას  
პერიოდებად ყოფენ ოდითგან!  
მე ამ პროცესში არ მნამს შენდობა!  
უნდა ვსაზღვრავდეთ - დრო რომ მოვიდა: -  
გავხდეთ ყოფაზე პასუხმგებელი.  
და ჩვენი წილი ხარკი გავიღოთ.  
ყოველთვის აღწევს მიზანს მძებნელი,  
თუ იცის, ძებნის არსი რა იყო!

\*\*\*

ვისთვის საჭეა შესატყვისი, ვისთვის - ლაგამი.  
დანიშნულებით ეფარდება ერთი - მეორეს!  
უფრო და უფრო, ჩვენი ყოფა გახდა სხვაგვარი;  
განსჯის უნარი დავკარგეთ და ... ვერ ვზრდით მეომრებს!  
-რა სავალალო ხდება ხოლმე ხშირად, რაობა!  
გაუჭირდება გონზე მოსვლა, სალად, ბარე ორს!  
გინდა მთავრობა იგულისხმეთ, გინდა თაობა!  
განგება განგებ განზე გადგა! - ვეღარ გვმფარველობს!  
ჰოდა, მეტადრე უნდა ვფლობდეთ საჭეს ლირსობის!  
საკუთარ თავში ვეძიებდეთ ალლოს მისნობის!

ჩავარდნილს დიდ გასაჭირში  
მონანიება მშველის.  
(გამისროლია ოდესლაც ტირშიც, -  
მაგ განცდას აღარც ველი.)  
ადამიანთა დაკარგვას ვდარდობ!  
-როგორ მარტივად ხდება!  
და ამა და ამ მიზეზთა გამო  
არ მაქვს განკითხვის ნება!  
მიკვირს, რომ ვსუნთქავ,  
ყოფნა რომ მინდა,  
გვერდიგვერდ როგორ ვსახლობთ!  
მსურს სადმე გნახოთ:  
ქცეული სულ სხვად;  
ან - ჩემთან, შორი-ახლო!

\*\*\*

კეთილ საქმეში ნაყოფის გამოლება,  
ბუნებრივია, წყალობის გამო ხდება.  
მოთმინებაში ჩნდება სიხარული,  
წამსვე ძლიერდება რწმენისგან განცდა სრული.  
მადლიერების დიდი იმედით  
ან, მიტევების წრფელი უნარით  
წარმოუდგენლად სწრაფად ვმშვიდდებით  
და თავს მივიჩნევთ, როგორც სტუმარი -  
ზღურბლზე შემდგარს რომ ლიმილით დახვდნენ,  
ანუ, მასპინძელს ნახვა ეამა:  
გუმანში ჰქონდა და სამოსახლო  
გაუჩირალდნა გამოჩენამა!

მე გულმზურვალე ყველრებაც მომწონს,  
-მიმზიდველსა გხდით სინრფელე აზრის.  
ანაზდად მომდის, - გადავამოწმო  
ვით დაგამშვენებთ ოდესმე პრაზი!

მსურს, ამ მზაკვრობით და სიბოროტით  
უკვე გადასცდეთ ყოველგვარ საზღვარს,  
მონა-მორჩილად სურდათ, ჰყოლოდით,  
თქვენ კი ბრძოლისთვის ნიადაგ მზად ხართ!

დროს ველოდები ნაყოფის მომცემს,  
ჩვენთვის დადგება ოდესმე როცა...  
მე თქვენზე ზრუნვის უფლება მომცეს.  
როცა ვეხები ძილის წინ ლოცვანს....

ვხდები ალალი და ლვთის წინაშე  
გულის ფიცარზე მიკრთის წამს ვნება:  
შვილებისათვის ... კუნჭულს.... მინაშენს  
თვალს შევავლებ და საქმეც წყნარდება.

გმადლობა, მამაო! - ვიცი, რისათვის  
ვეშურებოდე აქ ყოფნის მეტ დროს -  
ვზრუნავდე იმ დიდ სიკეთისათვის,  
ასე ალალად თქვენგან რომ მერგო!



რას იზამს ჩვენგან სანახევროდ ნასროლი ფრაზა? ან რისგან გვიცავს სანახევროდ მიხურვა კარის?  
 ბორმა შემთხვევათა თალებს შორის ბოროტთა ნაზავს  
 ვინ შეასწავლა ოსტატურად მიჩქმალვა თავის!  
 ვის სურს, იცოდეს, ვინ შეღება სისხლით ბალახი?  
 ამ ციცქანა ხალხთა გარემოცვას რა უწერია?  
 ესოდენ ლვანლის ჯილდო გახდა მხოლოდ ტალახი!  
 მიგვანიშნებდა შუქ-ჩრდილებს და თვალებს ცრემლიანს...  
 ჰოდა, მთავარი ახლა არის დროის შერჩევა,  
 ვით ბუნებრივად შენაცვლება დღისა და ლამის.  
 ამ უმსგავსობას ადვილად ვერ გადაეჩვევა -  
 ვწუხვარ, თაობამ რომ გაუშვა ხელიდან წამი!

იდუმალების საპურველმა იმძლავრა ჩემში.  
 თუ არ ვიმარჯვე, გატაცება ბოლომდე შემშლის!  
 ყოფას მიტირებს განცდების ეს კორიანტელი.  
 ვგრძნობ, რომ ვეღარ ვარ ამ ყოფის და აზრის დამტევი.  
 მაგრამ, ბოლომდე, მიხარია, მაინც ვიომებ...  
 და ამოვავსებ, თუკი ჩამრჩა, - სულში ღიობებს.  
 მერე დაგტოვებთ, წავალ, ოლონდ, გული არ დაგწყდეთ!  
 რადგან, დრო უნდა - ჩემს სატკივარს თანდათან ჩასწვდეთ.  
 მზე კი ამოვა, გაბრნყინდებით! დიახ! ეს არის!  
 ეს ფაქტი მრჩება, მაპატიეთ, ბოდიშს გიხდით, გასალექსავი!



რას ვხედავ? - სხეულს მიწიდან ანრთხმულს -ასულს, სიზიფის ზუსტი ანარეკლია.  
დავლენავ მარგი ქმედებით წარსულს  
და ფერიებიც დასტურს მეტყვიან...

თავს დააღწევენ ბორგვას ჭინკები,  
კვალდაკვალ დარდიც გამოიდარებს,  
ამ უნდო ამბებს ისე მივყვები...  
თითქოს სამყაროს ემართოს რამე:

და გაგვირთულდა საპირგამტეხლო!  
ჩამომიარეს მხედრებმა ჩუმად;  
ბედაურები სწრაფად გავხედნოთ, -  
იარებისთვის სალბუნი თუ გვაქვს...

ვეღარ ავითვლით უკვე წუთობით, -  
უნდა მოვმართოთ დროის საათი,  
სამკურნალო გვაქვს სენზე მუხთლობის,  
თავი ამ დრომდე რომ ვერ გავართვით!

და მაინც, გულწრფელ გულისხმას ვამხელ:  
ზუსტად საჭირო ნიშნულზე გავალთ!  
გვეღირსა ერთად დგომა და ვართ მხნედ, -  
პრობლემის ზღურბლთან სრულიად სხვა ვართ!

მინდა ვიცოდე, ასე ლამაზად  
ვისმა მარჯვენამ შეგაფერადა!  
ათასი მზერა ერთად განაზღადა  
რომ დამატყვევონ, ვიქცე ხელადა.

ვის გსურთ, შეეხოთ კრძალვით სუდარას  
მშვიდად, ზედმეტი ოხვრის გარეშე!  
სისხლის წვეთებმა იწყონ მუდარა  
და ორთქლად ქცევა შერჩეთ ფარეშებს.

თვალში საცემად დაბრეცილები  
გარდაცვალების შეძრას ვაებამ,  
ასე, შინაარსგამოცლილები  
შთანთქას მდინარემ გულმდუღარემა

მინდა, მიჩვენოთ გამოსავალი,  
ნეტავ, ვის ძალუძს იხაროს მარტომ?  
ამდენი ხანი რატომ დამმალეთ,  
ანუ, მიანდეთ (ამოაფარეთ) აღრიცხვა სხვა ტომს! (არსობა სხვა ტომს), ამომიფარეთ,  
ნუთუ, გასწირავთ ვაჟკაცთა მოდგმას?  
თანადგომასთან ერთად ნუგეშიც...  
ქრება უკვალოდ, ვით ყალბი ტრფობა  
გარდასასახი ასლად მრუდეში!  
ან იქნებ დროა, უძირო მორევს  
უფეშქაშებდეთ მთელ ჩემს ღირსებას?  
ბედი უღიმის (ემორჩილება) ამჯერად რომელს?  
მზამზარეული ტახტი/კუბო აზრი ვის ნებას? (ნებავ)

\*\*\*

შერეულ ნისლში ჩაკარგულა ყველა ბილიკი.  
 ახლა ცის გახსნას მოთმინებით უნდა ველოდოთ.  
 ზიზღით და კრულვით ბოროტება წაიქილიკებს:  
 გამთანგავ სიცხის ათრთოლებას როგორ ვერ ვენდოთ!  
 გაგვთანგავს სიცხე, როგორც თრთოდა ერთ დროს ბელმონდო!

ჭირისუფალნი ველარ წყვეტენ წყობისად მოთქმას.  
 გლოვიდანაც კი საჭიროა გამოსავალი!  
 გართულდა ხილვა სიმართლისა, - მარტივად რომ ვთქვათ, -  
 ახლა წინსვლაზე აღარ ფიქრობს აღარც არავინ!

„ხსნის გზის“ ძიება არ ადარდებს ახლა აღარც არავის!  
 აღარც ვის?

23.02.18

\*\*\*

ღმრთისებრ ხატებად რომ მეგულვი, რატომ არ გესმის?  
 სიცოცხლის ჰიმნად მიმაჩნია, რომ მიმაჩნდეს სუნთქვა შენს  
 ახლოს!

თანაბარ ჯილდოდ ვინატრებდი ჰერმესს ან მერმისს,  
 ნება შენია, მზად ვარ, სადმე გადამასახლო!  
 (სადაც გინდა გადამასახლე),  
 სულ ყველა ბნეკარი, რაც შენზე ვთქვი, ანუ რაც მეთქმის...  
 ჯანი გავარდეს, უბრალებლად დასეროს წვიმამ,  
 დღემდე მაცოცხლებს უშრეტელი სურვილი შენი  
 და უდრეველი დღე-მუდამ-ლამ, - ვინ უწყის, ვინ ვარ?!  
 ჩირტ ზნაეტ, ვინ ვარ!

28.02.18

სახლეულს ვუშვებ სააგარაკოდ.  
 აღარც შუქია, ვრჩები ეული.  
 გთხოვთ, მასპინძელნო! არ-რა დააკლოთ!  
 პატივი ეცით გამორჩეული!  
 დრო და დრო ისე „წაითავადებთ“, -  
 გიჩნევთ ლირსების უცვლელ ნაწილად.  
 ე-მანდ თავი არ დაიავადოთ!  
 თქვით - რა მოიგო, -ვინც რამ გაწირა!  
 უნდა თქვენს დედას ეწოდოს „მხსნელი“.  
 გრძნობთ, - უნონადი ხიბლი სდევს მუდამ.  
 რჩება ბოლომდე ამოუსხსნელი  
 ვით ნაგროვები ... მესანთლის ხურდა!  
 დიახ, ეგ უფრო წმინდა მგონია  
 ვიდრე ბაზრიდან გრჩება ჯიბეში.  
 შევერკინები ერთად, მგონი - ათს,  
 რომ არ დავკარგო სიკეთის გეში.  
 დასამოწმებლად ბრძენთა ნათქვამის  
 განმეორება, ვთვლი, არ მომიწევს.  
 ზიანდებიან ზოგჯერ მართალნიც,  
 სასწორი როცა წყალთა შორის ძევს.

## გმირი

თვალებში უდგას სიმედგრის შუქი  
 და აულარუნებს იარაღს სამკვდროს.  
 მტერს გამოარჩევს ძლიერი სუნთქვით,  
 და განზრახვასაც არასგზით დათმობს.  
 ვერც ნამოქმედარს ვინმე ხელს ახლებს,  
 მომხდეურთ საზნეოდ უმტყუნებს ძალა ...  
 მერე გაზომვენ მის ბეჭს და ნახმლევს,  
 რაც სადიდებლად თავს ზემოთ კმარა!

## ზელიმხან მაღრაძე

### სამცხის გოდება

ეს ამბავი მოვისმინე პაპაჩემი ისააკ მაღრაძისგან, როცა 13 წლის ბიჭი ვიყავი. ჩვენს ბალში, სახელდახელო სუფრასთან უყვებოდა მოხუცი ამ ამბავს ლევან გოთუას და კოტე ჯავრიშვილს. სამი თვით ადრე სანამ ლევან გოთუა გარდაიცვლებოდა მკითხა: - „გახსნოვს, პაპაშენის მონათხრობი თმოგვის ციხეზე? მე მნერალი ვარ და გამიჭირდებოდა ასე ხატოვნად გადმომეცა ეს ამბავი. მე ალბათ ვეღარ მოვასწრებ მის დანერას და არ დაგვინედეს, შთამომავლობას გადაეცი“. მე ალბათ ამიტომაც ავიღე კალამი ხელში, რომ გადმომეცა და არ დაკარგულიყო ეს და სხვა ამბავი სამცხეს გმირებისა. ავტორი.

მხოლოდ ოთხი ციხესიმაგრედა შემორჩენოდა სამცხეს, დანარჩენები ოსმალებს აეკლოთ. ვისაც გული შესტკიოდა თავის მიწა-წყალზე: ვარძიას, თმოგვის ციხეს, ვანის ქვაბებსა და ხერთვისს შეხიზნოდნენ, დანარჩენები გარბოდნენ და გზად შიშა სთესდნენ, საკუთარი უნიათობა ხომ უნდა გაემართლებინათ და თხზავდნენ მტრის სიძლიერესა და სიმრავლეზე ათასნაირ ლეგენდებს.

ვანის ქვაბებში გამაგრებულ ქართველთა ჯარს საჭმელი თითქმის აღარ ჰქონდა, იქ მხოლოდ მონასტრის მწირი სანოვაგე იყო, ამ ორომტრიალში ვერ მოესწროთ საჭმლით უზრუნველყოფა, ამიტომ ორასამდე მეომარმა ღამით ბერთაყანისკენ საიდუმლო გასასვლელით დატოვა მონასტერი. მონოზვნებიც გახიზნეს, მღვდელი და ოციოდ მოხალისე დარჩა ვანის ქვაბებში. ზუსტად ამდენი მეომრის სამყოფი საჭმელილა იყო მონასტერში. მისასვლელი გზები კი კარგად შენიდეს, მტერს არ უნდა სცოდნოდა ვანის ქვაბი-დან გახიზვნის შესახებ.

თმოგვის ციხეს განთიადისას მიადგნენ გახიზნული მეომრები. ჯერ კიდევ გაღმიდან გაგზავნეს შუაკაცი, რომ გაუგებრობით არ ამოქაცათ თმოგველ მოისართ თანამოძმენი.

მოისარ-მშვილდოსანი კი თმოგველები გახლდნენ, ისრუბის  
უპადლო მტყორცნელნი, ციხის ძირშივე მცხოვრები, სოფელ  
თმოგვის მკვიდრნი. გარშემო ჩიტიც ვერ გადაიფრენდა, რომ არ  
სცოდნოდათ, მათ თვალსაწირს არაფერი გამოეპარებოდა. მრა-  
ვალი მსტოვარი მოუკლეს ოსმალებს, ბოლოს ისე დააშინეს, რომ  
ციხეს ახლოს ვერც ეკარებოდნენ.

ხერთვისიდან შემაშფოთებელი ამბავი მოიტანა მაცნემ. ხერთ-  
ვისის ციხისთავს ზევახს თავისი თხუთმეტი წლის ასული, რომელ-  
საც სულ პატარობიდან მეომრად ზრდიდა, ორი მეომრის თან-  
ლებით გამოეგზავნა. თან ხბოს ტყავი მოართვეს ციხის გეგმით  
და გარშემო ოსმალთა განლაგების დაწვრილებითი ცნობით.

ოსმალებს ხერთვისის გარშემო სოფლები აკვლოთ, სამხრეთის  
გალავნის ნაწილი დაეკავებინათ და ციხეს შემოსწყობოდნენ.  
ქართველნი, ვისაც ციხეში შესვლა ვერ მოესწრო, გაეთოკათ და  
ციხის ჩრდილოეთის ფერდობზე ჰყავდათ ლოდებზე დაბმულ;  
ზედ თაფლი წაესვათ და აუარება ბუზისგან შეწუხებულნი შველს  
მეციხოვნებისგან ითხოვდნენ.

ეს სატყუარა იყო. ციხიდან გამოსვლა სიკვდილს ნიშნავდა.  
გარეთა გალავანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, ოსმალების  
საკმაოდ დიდ, ასე ასკაციან რაზმს კი ეკავა, მაგრამ ახლა, მათ,  
აღარ იცოდნენ, რა წყალში ჩავარდნილიყვნენ, ციხის დალაშქვრას  
აღარ სჩიოდნენ თურქები, ვეღარც გარეთ გამოდიოდნენ და გა-  
ლავნის შიგნით ყოფნა ხომ მთლად უბედურება იყო, მათზე ისრები  
რომ არ დაეხარჯათ, ციხის თავებზე პატარა ქვისსატყორცნი გაუ-  
მართათ და სათითაოდ ხოცავდნენ მომხვდურთ; ძირითადად შურ-  
დულით ნატყორცნი ქვა არ აძლევდათ არხეინად ყოფნის სამუშა-  
ლებას თურქებს. ისრით კი, ზოგჯერ ვინმე გამორჩეულს თუ-  
დაუბნელებდნენ მზეს, ეს აიძულებდა მტერს, შიგ გალავანშივ-  
ეძებნა თავშესაფარი. ბევრჯერ სცადეს, ლამით გაელნიათ გალა-  
ნიდან, მაგრამ ზოგი გადაიჩეხა, მავანი კი კვლავ ისრებით და-  
ხოცნენ. ციხე შეუვალი იყო, მოისარნი კი ულმობელნი. ვეღარც  
ფარებით იფარავდნენ თავს, ქვისსატყორცნი ფარქვეშ ამოფარუ-  
ბულებს ულეტდნენ. კლდეებზე მიცვალებულები ყარდა, ყორნების  
აუარება გუნდი ეხვიათ თავს. უწყლოდაც გაუჭირდა მომხვდურს

გაუჭირდათ და ფერდობზე დაბმულ ტყვევებში გაცვლა ისურვეს  
გალავანს შიგნით მომწყვდეულთა გათავისუფლების სანაცვლოდ  
სამხრეთით, ვაკეზე დიდი ბანაკი დაეცათ და სულ ცდილობდ-  
ნენ აღმოსავლეთის ბექობზე გასვლას, რათა ციხე ალყაში მოექ-  
ციათ და ფარავნისწყლის ხეობაში მყოფი სოფელი ციხისთვის  
მოეწყვიტათ. ეს დაუშვებელი იყო. წყალზე ჩასასვლელი გვირაბი  
და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სოფელი კარგად ჰქონდათ და-  
ცული ქართველებს, ისინივე აკონტროლებდნენ ციხიდან ჩრდი-  
ლო-აღმოსავლეთის მაღლობებს და არც არა უჭირდათ-რა, რომ  
არა ტყვეების გულისმომკვლელი მოთქმა.... წყალგაღმა, ხერთვი-  
სის ციხიდან დასავლეთით, ოსმალთა ცხენოსანი რაზმი იდგა,  
არცთუ ისე დიდი. ისინი ძირითადად სოფელ-სოფელ დაძრნოდნენ  
და აწიოკებდნენ, ტყვეებს კი აქ, ციხის გამოღმა უყრიდნენ თავს  
და აიძულებდნენ გმინვას, ნამუსს ხდიდნენ ქალ-რძალს.

ზევანს, მოიერიშე ორას კაციანი ცხენოსანი რაზმი შეექმნა,  
რომლისთვისაც იქაური რაინდი, ქაიხოსრო ხმალაძე ჩაეყენებინა  
სათავეში. მათ მთელი ფარავნისწყლის ხეობა ერთიანად გაეწმინ-  
დათ ოსმალებისგან, ბოლოს კი კვარშაში საკმაოდ დიდ რაზმს  
გადაჰყროდნენ ქაიხოსროს ცხენოსნები. ოსმალები ცდილობდნენ  
ზემოდან გადაეკეტათ მისასვლელი გზები ხერთვისისთვის. ხმა-  
ლაძე თავისი რაზმით შუალამისას თავს დასხმოდა, ჯერ გარშემო  
ქრის ძნებისთვის წაეკიდებინათ ცეცხლი, შემდეგ კი დასეოდნენ  
და უთანასწორო ბრძოლაში ჯერ ისრეპით და შუბებით, ხოლო  
შემდეგ ხმალით ხმალზე პირნმინდად გაეწყვიტათ. თვითონ ქაი-  
ხოსრო მძიმედ დაჭრილიყო, ხერთვისამდე ცოცხალი ვეღარ ჩამო-  
ჟყვანათ, აღარც მისი რაზმისგან გადარჩენილიყო ბევრი, მხოლოდ  
შვიდი კაცი იყო ცხენზე მჯდომარე, ვინც ბოლომდე იბრძოლა და  
სანამ უკანასკნელი ოსმალო არ მოკლეს, ისე არ ჩამოქვეითდნენ  
ცხენიდან. ნიალის მხრიდან ნაკადად შემოდიოდა მტერი. ხერთვი-  
სის დაკარგვა დაუშვებელი იყო...

თმოგვის ციხის ციხისთავმა ვანისქვაბელ ორას მეომარს კიდევ  
ხუთასი დაუმატა, თან თმოგველი მშვილდოსანთა უმეტესობა  
გააყოლა და ბნელ ღამეში, როცა მთვარე ჩაესვენა, ჯოლდის ვაკე-  
ზე დაბანაკებულ ოსმალებს გვერდი აუარეს და წუნდის გავლით  
მდინარეს დაღმა დაუყვნენ. ზევანის ასული კვარშისკენ გაეშურა,

რათა ხერთვისში ეცნობებინა თმოგველთა განზრახვა. თმოგველში რაინდებმა კი, დიდი სიფრთხილით გაიარეს ეს ხეობა და წერთა ვისის მისადგომებთან დაელოდნენ განთიადს.

ჯერ ისევ ლამე, ორასამდე მეომარი გაბერილ ტიკებზე ამხედ-რებულნი, მდინარეში შეცურდა, ცოტა ხანში მძინარე ოსმალებს თავზე წაადგნენ და იქვე, უხმაუროდ, კარვებშივე ამოხოცეს მათი სარდლები. ხოლო ციხეში მყოფმა სამასამდე მეომარმა გაღმა თურქ ცხენოსანთა რაზმის მისადგომებთან გაცურა და მშვილ-დოსნებმა დაიკავეს საჭირო სიმალლეები. უკვე გათენებულზე გაიშხულეს ისრებმა. ციხიდან, ერთ შეძახილზე, ერთიანად იხუ-ლეს ქართველმა მეომრებმა და დაერივნენ უკვე ბრბოდქცეულ ოსმალებს.

ბანაკში ისეთი ჩოჩქოლი ატყდა, ძნელად თუ ვინმე შესძლებდა თავზარდაცემული ოსმალების კალაპოტში მოქცევას და როცა მიხვდნენ, რომ მათი მეთაურები ქართველებს დაეხოცათ, უკან-მიუხედავად გაიცნენ გელსუნდისკენ ვინრო გასასვლელში. ვინც ქვეითად იყო, ცხვრებივით ამოხოცეს თმოგველმა რაინდებმა, ხოლო ვინც ცხენიანად გაასწრო, დაიფანგნენ და ტყეს მისცეს თავი. ხერთვისის ციხის გალავანში დაბანაკებული და არაქა-განცვეტილი ოსმალები ერთიანად განცვიტეს.

ვანისქვაბელმა მეომრებმა ხერთვისს დაიდეს ბინა, ხოლო ქარ-თველ ტყვეთა შორის, ვინც მეომრად არ გამოდგებოდა ჯავახეთს გახიზნეს. თმოგველი მეომრები კი იმავე ლამით კვლავ თმოგვეს ციხეში ითქვამდნენ სულს. სამოცამდე მეომარი ველარ დაუბრუნ-და თმოგვის ციხეს, თითქმის ამდენივე ხერთვისს.

დიდი დანაკლისი იგემეს ოსმალებმა, მთელი სარდლობა ხომ ამოუხოცეს, ორი ათასამდე მოკლული თარაქამა კი წყალს მისცეს, რათა ქართველებს გაეგოთ მტკვრის ხეობაში, რომ თმოგვი და ხერთვისი ისევ დგას და იბრძვის, რომ დროა შემობრუნდნენ გაქცეულნი და მერე, მერე ნახონ, რა შეუძლია ქართულ ხმალს და მაჯას....



თმოგვების ციხის ძირში კი დღე-ლამ ენთო ქუროები. თმოგველი მქედელ-ამქარნი შეუსვენებლად მუშაობდნენ, ყველაფერი, რასაც რკინა ერქვა, ადნობდნენ და ისრებს ამზადებდნენ, ნანილობრივ შუბებსაც. ასეთი იყო ციხისთავის ბრძანება. ბრძოლაში მოპოვებული ჯაჭვის პერანგებიც კი გადაადნობინა ამქართ. საამოდ წერიალებდა გრდემლზე ჩაქუჩები, თმოგველი მეფოლადეები გამალებით მუშაობდნენ და ბრძოლაში მოპოვებულ ფოლადს პირნებინდად საისრედ ადნობდნენ. ციხისთავი აჩქარებდა მათ, სულ თავზე ადგა და მოსვენებას არ აძლევდა:

- ხმალს დასვენება მოუნევს, ძმებო, ახლა ისარმა უნდა თქვას სათქმელი. მტერი სახმლოდ თუ მოვუშვით, ციხეში რაღა გვინდა. ჩვენ გამო ოსმალები წინ ვერ მიდიან და ვერც წავლენ. იქამდე ჩვენი მეფე ალბათ ჯარს მოუყრის თავს, ტაოდან გაქცეულ ხალხსაც შეჰქრებს და მერე ნახონ ასმალებმა სეირი. ჩვენ კი მედგრად დგომა გვმართებს, ეს ციხე მტერს თუ ჩაუვარდა ხელში, მერე მათი გამოდევნა ძნელი იქნება ძმებო, მრავალი ვაჟუაცის სიცოცხლეს მოგვთხოვს სანაცვლოდ. ყველაფრის თვალისდევნებაა საჭირო.

საკმაოდ ბევრი მეომარი შეჰქიზნოდა თმოგვს, ვარძიაშიც რამოდენიმე ათასი მეომარი სახლობდა, ბერების ჩათვლით, თითქმის ამდენიმე ხერთვისში იდგა, აქედან თვითონ ციხეში ათასამდე მეომარი იყო, ხოლო დანარჩენი, ფარავნისნებლის ხეობაში - შეფენილ სოფელში დაბანაკებულიყო, სოფელი ციხეზე უფრო მიუვალი და მოუხელთებელი იყო. აი, ამ ხალხის ამარალა დარჩენილიყო სამცხეს ორი ხეობა. ოსმალები ძირითადად ამ ოთხ ციხეს შემოსწყობოდნენ. წინ წასვლას აზრი არ ჰქონდა; ზურგში ამხელა მხედრიონის ყოლა საშიში იყო თურქებისთვის, მითუმეტეს ხეობაში თუ მოექცეოდნენ ალყაში, იქიდან ჩიტიც ვერ გაფრინდებოდა ცოცხალი. რიცხობრივდ თითქმის სამჯერ აღემატებოდა ოსმალთა ჯარი.

ერთი ამდენი გასაძარცვად წამოსული თარაქამა იყო, რომლებიც არანაირ ომის კანონებს არ ემორჩილებოდნენ და თვითონ თურქებსაც კი საძარცვავდნენ და კლავდნენ, თუკი მათ იქ ნაძარცვი სიმდიდრე ეგულებოდათ. ერთი ასეთი შეტაკება სულ ახლახანს ნიალის ველზე მოხდა. ფაშის და ბეგების ნაძარცვ ქონებას ოსმალები აგზავნიდნენ. საკმაოდ დიდი ქარავანი ნიალის

ველზე შეკრებილიყო, ხუთასამდე მეომარი აახლეს ქარავანს დაწარმოგენდა ცავად. ის-ის იყო გზას დაადგნენ, რომ უთვალავი ტარიელი და დაესხათ თავს, ერთიანად ამოულიტეს მსახურები და გამცილებელი ჯარი, ნადავლი წინ წამდლვანეს და უკან გაეშურნენ. აქ თურქეთიდან მომავალ ჯარს გადაეყარნენ და ახლა ესენი ეპვეთ-ნენ თარაქამებს. ქართველთა საბედნიეროდ, დიდი ზიანი მიაყენეს ერთმანეთს. ასეთი თარეში და განუკითხაობა სუფევდა ირგვლივ. სოფლები ძირითადად ტყეს შეხიზნოდნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს თავიანთი მონაგარის გავერანებას.

თმოგველი მოისარი გაოცებას იწვევდნენ ციხეში ახლად შემოხიზნულ მეომრებში. სამხრეთ-აღმოსავლეთის გოდოლზე დაედგათ ოსმალოს გამოსახულებით ფიტული და სამხრეთის კოშკიდან ერთმანეთს მშვილდიდან ისრის სროლაში ეჯიბრებოდნენ ვაჟა-ფები. ასი ნასროლი ისრიდან ასივე ფიტულზე დაითვალის.

საბელზე ჩამოკიდებულიყო მჭედლის ვაჟი - ოცი წლის ბაქარი, არც ერთი ისარი არ აუცდენია მიზნისთვის, ასე ქანაობდა და თითქოს არც უმიზნებსო, ისე ისროდა ისრებს. იგივე სცადა თმოგვის ციხიდან გაღმა ზეგანზე მცხოვრებმა, სოფლის რჩეულმა და დედისერთა სიამაყემ, ობლობაში გაზრდილმა ცისკარამ, მაგრამ ვერც ერთი ისარი მიზანს ვერ მოახვედრა.

ბაქარი ახლა თავქვე, ფეხებით დაეკიდა საბელზე და ათი ისრიდან შვიდი მიზანში მოახვედრა და ცისკარასთან დადებული სანაძლეო ჭედილაც მოუგო. მთელი სოფლის ვაჟკაცები გაოგნდნენ. მათი ფალავნის ასეთი მარცხი ვერ წარმოედგინათ. აბა სოფლად ვაჟკაცებს რა გამოლევდა, ყველა ეცადა სოფლის ღირსება გადაერჩინა, მაგრამ მჭედლის ვაჟი შეუდარებელი იყო; თითქმის ნახევარი ფარა მოუგო სოფლის რჩეულთ; ორმოც ცხვარზე მეტ დაითვალეს; სხვა დანარჩენზე უარი თქვა ბაქარმა. ამ დრო ციხისთავიც წაადგათ თავს და რა გაიგო, შეჯიბრი ნაძლევად მაციათ, ყველა ნაძლევი გააუქმა - აქაოდა ეგ ყმანვილი ბალლობიდან ისრის ტყორცნითაა დაკავებული, არ ითვლებათ;

- მან, არც ხვნა და ფარცხვა იცის, არც ძნა და არც საქონელ არც ისეთი დიდი ბედენაა მხატვარმა ხატვაში აჯობოს ჩვეულებრივ მოკვდავს, თუკი ის, არ არის განვრთნილი ამ საქმეში,

- ახლა, როცა მტერი ციხესაა შემოწყობილი, ისრით სიმარჯვეა  
მთავარი, ციხისთავო, - გაედავა ბაქაარი ციხისთავს, - კავითა და  
ნამღლით ბრძოლა არ გამიგია, ახლა ხმალი და ისარი წყვეტს ჩვენ  
ბედ-ილბალს. მეც ბავშვობიდან ვემზადებოდი ქვეყნის დასაცავად  
და აი, დადგა ეს დღეც. ოსმალები ახლოს ვერც ბედავენ მოსვლას,  
დღე არ გასულა, რომელიმე გოდოლიდან ერთი ოსმალო მაინც  
არ გამოვასალმო სიცოცხლეს, მწყემსებიც იმიტომ არიან არხეი-  
ნად, რომ ჩემს მიერ ნასროლი ისარი იცავს მათ...

- ჯერ ერთი, კავითაც იბრძვიან, ნამღლითაც და ხელკეტითაც,-  
დინჯად გამოეპასუხა ციხისთავი, - მეორეც, გამოდის, რომ ქვეყ-  
ნის ჭიპი ყოფილხარ და ისღა დაგვრჩენია თაყვანი გცეთ ყმანვი-  
ლო! მესამეც, აგე, ციხის ხერხემალზე, ორი უზარმაზარი, ორი-  
ათასეკოდიანი ბეღლებია კლდეში გამოკვეთილი, ხორბლით სავსე;  
ორი ამდენი სამხრეთის გალავანს შიგნითაა და კიდევ სამი აღმო-  
სავლეთით. რომ არა ეს ბეღლები, შენც თრიალეთის მიღმა აღმო-  
ჩნდებოდი ბალდო, ჰოდა, მიტრიალდი ცისკარასკენ და დანარჩენ  
სოფლის ხალხსაც მიწამდე დაუხარე თავი, რამეთუ იქ მაგ ვაჟკა-  
ცების ნაოფლარი დევს, რომ შენ შენი სოტატობით ნასდგომიდი  
ქვეყანას და კარგად განვრთნილიყავი. ახლა კი მან და მრავალმა  
მაგისთანამ, კავი და ნამგალი გადადო გვერდზე და აქ გვერდში  
გიდგას. კავი და ნამგალი პურია, შვილო, ხოლო პური დიდზე დიდი  
იარაღია. იცოდე, შენ მშვილდზეც ძლიერი და მრისხანე...

- აბა ჭიდაობაში გამოიწვიე ცისკარა, - ნამოიძახა ვიღაცამ, -  
მას ჭიდაობაში ბადალი არ ჰყავს!

უმაღ შეიკრა წრე და საჭიდაო მოედანზე გამოვიდნენ მჭედლის  
ვაჟი ბაქაარი და ცისკარა. გრდემლისა და კავის კაცები. შეიქმნა  
ჰუინა და ჰოი, საოცრებავ, გრდემლთან გაზრდილმა ჭაბუკმა  
ჰუკარად სძლია გუთნისდედას. სოფლელებმა იწყინეს ცისკარას  
მარცხი, მისი მარცხი სოფლის მარცხად მიიღეს და გაუწყრნენ  
ჰიდევაც ცისკარას. დაღონებული გაეცალა იქაურობას ვაჟკაცი...



თმოგველი მეფოლადეები ერთ-ერთი დიდი დასაყრდენი მეფისთვის. აქაური მჭედლები ფლობდნენ მტკიცე ფოლადის საღ-დუმლოს და მათი ნახელავი ხმლები შეუდარებელი იყო; ამიტომაც მეფემ განსაკუთრებული დაცვის ქვეშ დააყენა ეს საქმე. საიდუმ-ლო რომ ხელში არავის ჩავარდნოდა, ერთ დროს გამოცდილი რა-ინდი, რატი, მიუჩინა თმოგველებს ციხისთავად, რომ ციხე და მჭედლები დაეცვა, როგორც საკუთარი თვალის ჩინი; თუმცა რა-ტის მარცხენა თვალი და ლოყა ტყავით ჰქონდა დაფარული; თა-ვად ციციშვილს შეეძველა ბრძოლაში, რომელსაც თავს დასხ-მოდნენ და ფრიად უჭირდა. ურჯულოს მოქნეულმა ხმალმა მუზა-რადი წააძრო და ზედ რატის თვალ-ლოყაც მიაყოლა. აქ თვითონ ციციშვილმა იმარჯვა და ლამის შუაზე გაჰკვეთა მომხდური. რა-ტის კი, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა, თავისი საუკეთესო მკურნალი მიუჩინა და ფეხზე დააყენა; თუმცა ცალი თვალ დაკარგა.

ახლა კი, სამოც წელს მიღწეული რატის ხელში იყო ჯავახეთის ბედი. იგი იდგა დარაჯად და იმედად ქვეყნისა, რომელიც წა-ცეულ ლომს ჰგავდა, მაგრამ ტორი და კბილი ისევ ბასრი ჰქონდა.

მჭედელ-ამქართა მთელი ოჯახი იყო მისი საზრუნოვი. ბოლოს რაღაცაც განსაკუთრებული ისრების კეთება დაიწყეს. ეს ისრები სრულიად განსხვავებული იყო ყველასგან; მათ ნახელავ ისარს თავი მრგვალი ჰქონდა და არა ბრტყელი, მაგრამ წვეტიანი, ბო-ლოში ბუმბულის ნაცვლად არყის ქერქის თხელი ფირფიტა ეკეთა, ოლონდ არა ორი, არამედ - სამი.

ისრებს მოხუცები თლიდნენ, შემდეგ კი ქონში ხარშავდნენ. მჭედელნი კი ფოლადისგან თარგზე რკინის ისრებს ამზადებდნენ. თითეული ისარი მერე გამოცდას გადიოდა და სწორედ ეს ჭაბუკი მართლაც სულ მთლად ბავშვობიდან, თითქოს მშვილდით და-ბადაო - სცდიდა ისრებს. წუნდებულებს უკან უბრუნებდა ოსტა-ტებს და ისინიც მის აზრს ენდობოდნენ და ითვალისწინებდნენ მის შენიშვნებს.

აკი ბაქაარმა შარშანწინ მეფისგან დაიმსახურა მოულოდნელი ჯილდო. ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული მშვილდი უბოძა მეფები ჭაბუკს ვარძის გამოლმა მოედანზე გამართულ ჯირითობაში.

კველა თავადისშვილს აჯობა ისრის ტყორცნაში და აღტაცებაში  
მოიყვანა მეფე. მთავარი ჯილდო მაინც სხვა რამ იყო: აქვე, ამ  
ასპარეზობაზე გამოაცხადა მათი ოჯახის ყმობისგან გათავისუფ-  
ლება, სიგელი და გვარიც უბოძა. ამიერიდან ისინი მოისარიძეებად  
უნდა წოდებულიყვნენ. ამიტომაც იყო ციხისთავთან ბაქარი ასე  
თამამი, როცა სხვები თავდახრილნი და მონინებით ექცეოდნენ.  
ციხისთავსაც საკუთარი შვილივით უყვარდა ბაქარი.

\*\*\*

ციხის აღმოსავლეთით მტკვარზე გადებული ხიდის საგუშაგო-  
დან ამცნეს ციხისთავს, რომ გამთენისას ცისკარა მისდგომოდა  
მათ, ხიდზე რომ არ გაუშვეს, პირდაპირ კლდიდან გადამხტარიყო  
წყალში. წყალგაღმა გასულს, მუქარით აეკლო იქაურობა: თქვენ  
გაჩვენებთო, თუ როგორ უნდა ვაჟკაცის დაცინვაო და გაუჩი-  
ნარებულიყო იქვე ტყეში.

ცუდად ენიშნა რატის ეს ამბავი და ცისკარას სოფლის ხალხი  
იხმო თავისთან, მათ კი ცისკსრას აცრემლებული დედა მოიყვანეს  
თან.

- უმამოდ გაზრდილ ერთადერთ შვილს ნებიერად ვზრდიდი, -  
მტკიცედ განაცხადა დედაკაცმა, - მისთვის არც ჭიდაობა და არც  
ჯირითი ჯერ არავის მოუგია, ახლა ერთ კვირას არც საჭმელს  
შეჭამს და არც წყალს დალევს, სანამ ტკივილი არ გაუვლის, არ  
გამოჩნდება ხალხში და საერთოდ ამ ციხეში აღარასოდეს მოვა,  
ორი ყოჩი ერთ გალავანში დაუშვებელია მისთვის. აქ მისი ფეხმ-  
ძიმე ცოლია, ქმრის მარცხი მოუნელებელ ჭირად ქცეულა ცოლის-  
თვისაც, თითქოს იგი დამარცხებულიყოს, ისიც მოსთქვამს...

- აგე, თქვენმა ნაძლევზე ისრების ტყორცნამ რა შედეგი  
გამოილო, ხედავ? - ჩაეკითხა რატი ბაქაარს, ციხეს კაცი დააკლდა  
და შესაძლოა ერს კიდევ, შვილი და მეომარი. სიფრთხილეა  
საჭირო, როცა ციხეს ხარ შეხიზნული, ისედაც ყოველი ადამიანის  
გზება-განწყობა და ტკინი დაბაძულია და ბერვზე ჰკიდია. ახლა  
უნდა ველოდოთ, სად გამოხეთქავს ეგ ბოლმა და წყენა. მიხვდით,  
ხალხნო, რომ აიკელით ის ახალგაზრდა, რატომ წააგეო, რა ჩაი-  
დინეთ? - ახლა ცისკარას სოფლელებს მოუტრიალდა ციხისთავი

- მჯობნის მჯობნს რა დალევს, მაგრამ, როცა ჭაბუკის მხრებზე მთელი სოფლის ღირსებას სდებთ, ხომ უნდა დაფიქრდეთ მაცის კი ამ ჭაბუკმა, წაგების და მოგების ფასი? ყველაზე დიდი მარცხი ზოგჯერ ხომ პატარ-პატარა გამარჯვებაშია, თუ კი ფალავანი არაა მზად, ასპარეზზე წაგება მშვიდობიანად მოინელოს!

მერე მეტაურები იხმო რატიმ და ციხისთავზე მდგარ ყველაზე მაღალ კოშკში დაელოდა მათ.

- ალაგურში დაბანაკებულ თურქებს ხუთასამდე კაცი შეემატაო, - ამცნეს ციხისთავს, - ერთი ამდენი ჯოლდის ვაკეებზე მდგარ რაზმს დამატებოდა წუხელ. ხერთვისში რომ აანიოკეს ბიჭებმა თურქები სამი დღის წინ და გაიფანტნენ, ამდენი არ უნდა ყოფილიყვნენ, სავარაუდოდ, მაგრამ ამ დიღას უცებ, ვანისქაბების მონასტერზე გაილაშქრა მტერმა და კიდევ კარგი, დროზე მიუსწრო ბერთაყანიდან მოისართა ჯგუფმა, რომლებიც სულ ორი დღის წინ ჩააყენა რატიმ და უკუაქციეს მტერი, თუ არა, რომ მიმსვდარიყვნენ ვანის ქვაბში ხალხის ნაკლებობას, ალაგურის რაზმიც შეუერთდებოდა მათ და გაძნელდებოდა მონასტრის დაცვა. შესაძლოა მონასტრის დათმობას შევგუებოდითო. ვანის ქვაბში მიმავალი, სურსათით დატვირთული ცხენ-ვირი ერთიანად აეკლოთ, თორმეტი საპალნე ხორბალი გასტაცეს და წაილეს თურქებმა, ვანის ქვაბში რომ მიჰქონდათ. ახლაც თითქმის იმდენივე დაიკარგა. გამცილებლებს ძლივს ემველათ თავისთვის. ვერაფრით მიალნიეს იმას, რომ ვანის ქვაბებში სანოვაგე შეეტანათ რათა სულ ცოტა ასი მეომარი მაინც ჩაეყენებინათ იქ; ყოველი მცდლობა უშედეგოდ მთავრდებოდა, ეგ კი არა

ზედა თმოგვიდან მომავალი ბიჭები ცხენოსანთა რაზმს გადასცროდნენ, ნაქურდალი ცხვარი და ძროხები მიუდიოდათ ჯოლდის ვაკეზე ოსმალთა ჯარისთვის. ერთიანად გაეწყვიტათ ცხენოსნები დაახლოებით ორ ფუთამდე ბერძნული ოქროს მონეტებით ფული წაერთმიათ, მოჭედილი სკივრებით.

ამან დააფიქრა ციხისთავი, ამდენი ოქრო, თანაც ბერძნული წარმოშობის, რისთვის უნდოდათ, ან საიდან მოჰქონდათ. ას სადღაც უნდა ყოფილიყო ვიღაცა, ვისაც ემორჩილებოდა ვარდის ალაგურის, წუნდის და ხერთვისთან მდგარი თურქების ჯარი.

ტაო-კლარჯეთიდან ნელ-ნელა ინურებოდა ხალხი, პატარძე ჯგუფები რაზმებად ჩამოყალიბებულიყვნენ, ზოგი კი, ზედ-თმოგვს დაბანაკებულიყო. თმოგვამდე ვერ ჩამოდიოდნენ, რად-გან ერთი დღის წინ თმოგვის ციხიდან ჩრდილო-დასავლეთით ვა-კეზე მტრის ახალი, დიდი რაზმი დაბანაკდა და თმოგვისციხელ მწყემსებს შეუკრეს ყოველმხრივ გზა და გაბატონდნენ. სოფლები მოსწყდნენ ციხესიმაგრებს, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო.

საღამოს რატიმ სათათბიროდ მოიხვია ციხის თავკაცები. ცი-ხეში ყველა გაირინდა...

იმავე ღამით კი კლდეზე მცოცავი შვიდასამდე მეომარი გაის-ტუმრა ციხისთავმა ზედათმოგვს, სულ რჩეული და ომში ნაწრ-თობი ვაჟკაცები. მათ დასავლეთით ფრიალო კლდეები უნდა გაევ-ლოთ ცოცვით. აქაური ბილიკები თავის დროზე საგულდაგულოდ ჰქონდა შესწავლილი რატის და ახლაც თმოგვის მკვიდრნი გაა-ყოლა მეგზურებად. მთავარი იყო კლდეების მშვიდობიანად გავლა, როგორც კი კლდეებს გასცდებოდნენ, იქიდან გორის ფხაზე, კიტრიკალოსკენ უკვე ადვილი იყო ზედა თმოგვის გადასასვ-ლელზე მოხვედრა. ეს მიდამოებიც რატის სულ ფეხით ჰქონდა შემოვლილი. ოსმალოები ამ ბილიკებზე ვერაფრით მოხვდებოდ-ნენ. ღამით ბანაკიდან ცხვირს ვერ ჰყოფდნენ, თმოგველმა მშვილ-დოსნებმა ისე დააშინეს, რომ ღამით მათი ჭაჭანება არსად იყო.

ზედათმოგვში ასვლისთანავე ღამე, თითქმის არც კი დაუს-ვნიათ, კლარჯეთიდან გადმოხვეწილ სამას მეომარს და ასამდე სომებს ცხენოსასნს წინ ნამოუძღვნენ გამთენისას წითელმიწების მხრიდან დასცეს კიუინა და ზემოდან ეკვეთნენ მტერს. ციხის-თავმა ქვემოდან შეაშველა ჯარი, ჯერ ქვეითი, რომლებიც უკუნ ღამეში ფრთხილად მიჰპარვოდნენ და ღამის თავს ნასდგომოდნენ მძინარე თურქთა ბანაკს, მერე კი ცხენოსანი ჯარი შეუსია და სანამ მტერი გონს მოვიდოდა, ერთიანად აკაფეს, გაქცეულებს გზა ჯოლდისკენ გაუხსნეს და დაედევნენ. ახლა კი შუაზე გაყო რატიმ ხალხი, ქვეითი ჯარი მარცხნივ, უღელტეხილისკენ დააჩქარა, რომ სანამ გაქცეულები ჯოლდის ვაკეს მიაღწევდნენ, მათ მოესწროთ და ყრალჩრდილის ხეობიდან ნამოსდგომოდნენ თავს, ცხენოსანმა ჯარმა კი ჯოლდის ვაკეზე დაბანაკებული ოსმალოების გაერთია-ნებული რაზმისკენ დაირეკა განგებ ცოცხლად დატოვებული

თავზიარდაცემული თურქები, რომლებმაც ისეთი შფოთი შეიტანეს ახლად გაღვიძებული თურქების ბანაკში, რომ მათი თავმოყუდულებული აღმოჩნდა. მერე დაუარეს გარშემო, მტკვრის სანა პირობე ჩარეკეს და იქვე ერთიანად ჩახოცეს. ტყვეები წინ წამ ძლვანიეს და თმოგვისკენ გაირეკეს. თითქმის სამი ათასამდე მტრის გვამი მისცეს ამჯერად მტკვარს...

რატიმ ალაფის ასაკრეფად მცირე რაზმი დაიტოვა. კარვები საგანგებოდ გაჩხრიკეს. ფაშას კარავში ყველა ფირმანი გადაათვალიერა და შუადღე არც იყო, ციხეში რომ დაბრუნდნენ. არც დაუსვენია, მცირე ამალა გაიყოლა და ზედათმოგვისკენ გაეშურა. საჭირო იყო, რომ თმოგვის ციხე ზემოდან დაცული ყოფილიყო. ალაგურის თავზე ხეობაშიც არ უნდა დაეშვათ, რომ მტერს ებატონა; სხვამხრივ ციხეში მოგუდავდა მტერი და გასტეხდა. იქიდან ნიალის მთებისკენ დაეშურნენ. მალლიდან გადახედა ხერთვისს თურქების მცირე რაზმი გაღმა იდგა მხოლოდ. ქვაბულებში იქაური სოფლის ხალხი შეხიზულიყო და თავს დაცულად გრძნობდა. უკან მომავლებს გზად ოსმალობი გადაეყარნენ, უკვე ღამდებოდა, რატიმ გადაწყვიტა შეჯახებისგან თავი აერიდებინა, ღამე ზედათმოგვში გაათენეს და გამთენისას თავს წაადგნენ წუხნდელ „სტუმრებს“ და სანამ ისინი გონის მოვიდოდნენ, ტყვედ აიყვანეს. ციხეში რომ დაბრუნდნენ, უკვე კარგად გათენებულიყო.

ცუდი ამბავი დაახვედრეს: ვიდრე რატი თმოგვისციხის გარშემო მოძალებულ მტერს ზეროვდა, ოსმალებს ვანის ქვაბის მონასტერი აეღოთ. თუმცა ათამდე მეომარი, მღვდელთან ერთად, მაღლა თეთრ ტაძარში ასულიყვნენ, კიბეები აეკრიფათ და მაღლა დაბანაკებულიყვნენ. უფრო ცუდი ის იყო, რომ მტერს გაეგო იმის შესახებ, რომ მონასტერში თითქმის არავინ იყო. ზემოდან მოვლით ხევდახევ დაჰყოლოდნენ ოსმალები, ღამე იქ გაეთიათ და გამუნისას ერთობლივი ძალებით შეეტიათ....

თითქოს ხელ-ფეხი მოჰკვეთესო რატის. ამ ორი დიდი რაზმის განადგურების შემდეგ ალაგურისა და ვარძის წინ დაბანაკებულ ორი დიდი რაზმისთვის ბოლო რომ მოეღო, იმას ცდილობდა რატერე უკვე შესაძლებელი იქნებოდა ციხეებიდან თამამად გამოსვლა, გაერთიანება და მტერთან პირისპირ ვაუკაცურად ბრძოლა არ უნდა დაეშვა, რომ მტრის პატარა ჯგუფები დიდ ძალა

ქცეულიყო; ახლა კი, პირველსავე შეტევაზე, ოსმალოები ვანის ქვაბის მონასტერში შეიხიზნებოდნენ და მათთან ბრძოლას პირი არ ექნებოდა; მათ ველარ გამოდევნიდნენ ქვაბულებიდან, თუმცა შიგნით უწყლოდ, ყველაზე ბევრი ორი კვირა გაეძლოთ, მაგრამ ესეც მათ ნისქვილზე ასხამდა წყალს. ეს ორი კვირა სრულიად საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ერთი იმდენი ჯარისთვის კი-დევ მოეყარათ თავი თურქებს და ასეც მოხდა, იმავე საღამოს ჯოლდაში თითქმის იმდენმავე ჯარმა მოიყარა თავი. გაღმა წუნდაშიც დაბანაკდნენ და ზედათმოგვსა და თმოგვისციხეს შორის ჩრდილოეთით, სადაც ეს-ეს იყო განდევნეს თურქები, ბევრად უფრო მეტმა ჯარმა მოიყარა თავი. მათი რიცხვი ყოველ საათს იზრდებოდა და რატიმ ისევ ციხის შიგნით მოუხმო ჯარს.

ვანის ქაბში, მეთექვსმეტე სართულზე მყოფი, უკვე შველას ითხოვდნენ. ერთი დღის სამყოფი საჭმელიც კი არ ჰქონდათ, წყალი კი - ერთი წვეთიც.

ალაგურიდან გაგზავნილი ნახევრადდამწვარი წერილი ეჭირა ხელთ რატის. ჯოლდაში დაბანაკებული ფაშის კარვიდან ნამო-ლებული, რომელიც ვერ მოესწროთ, დაეწვათ.

ჯოლდაში სწერდნენ: თმოგვზე ჩვენი კაცი გვყავსო შეგზავნილი და ამიერიდან ყოველი მათი ნაბიჯი გვეცოდინებათ. ჯერ ვანის ქვაბებს ავიღებთ, ხოლო შემდგომ ვარძიას და მერე თმოგვის ციხის ჯერიც დადგებათ. დასტურს ითხოვდნენ ჯოლდაში დაბანაკებული ფაშასგან, რომ საჭირო დროს მასაც ჩრდილოეთიდან შეეტია თმოგვისთვის.

რატი გახევდა. სასწრაფოდ მეთაურები და რამდენიმე მეომარი იხმო. მოღალატეში ყველამ ცისკარა შეიცნო, ხოლო ციხისთავმა შორს დაიჭირა.

- ცისკარა რომ მოღალატე იყოს, მაშინ მათ, თურქებს, კარგად მცოდინებოდათ ჩვენი ჯოლდის ვაკეზე თავდასხმა, ამას არაფრით დაუშვებდნენო.

ციხეში ჯაშუშის ყოლამ გააოგნა ყველა. ცისკარას დედა ითხოვდა რატისთან შეხვედრას. დუმილით მოისმინა დედის მტკიცე საუბარი. რატის არც გაჰკვირვებია, ცისკარას გამზრდელი ქალი ასეთი რომ იყო. მაღალი, დიდი ცისფერი თვალებით, ნარბები

მერცხლის ფრთასავით გადაჰკალმოდა ვიწრო სახეზე და ხელ  
მანდილის ქვეშ მაღავდა ბოლოებს, ასევე ხელმანდილს დაუფარა  
საკმაოდ მაღალი შუბლი, ხოლო იქიდან მორცხვად გამოსჩროდა  
ქერა, მაგრამ წლოვანებასთან აშკარად შეუფერებელი ჭალარა;  
შვენოდა კიდეც. ფერმკრთალი ლოყები სინატიფეს მატებდა მის  
მკაცრ გამოხედვას, ხელმანდილითვე დაეფარა ნიკაპი, ხოლო ტუჩ-  
პირს ქვრივის თავშალი უფარავდა. მიუხედავად მისი მაღალი  
აღნაგობისა, მკლავები და მხრები წვრილი უნდა ჰქონოდა, ხოლო  
ხელის მტევნები - კაცისებრ დიდი ჰქონდა; ეტყობოდა, რომ ჯაფა  
არ მოჰკლებოდა მას. არა, ეს ქალი არ ტოვებდა მოქსოვილი ქალის  
შთაბეჭდილებას, რომელსაც ძაფის ბოლოში ხელს მოჰკიდებ და  
დაირღვევა. როგორც თანასწორის წინაშე, ისე დადგა რატის წინ  
და ქალისთვის უჩვეულო მტკიცე ხმით დაიწყო საუბარი:

- შეჩვენებულ იყოს გამცემი და მოღალატე უფლისა და ერისა!  
არამი იყოს ძუძუ, რომელიც მას უწოვია, ანათემა იყოს მშობელი  
ერისა და მიწის მოღალატეზე - არ ელირსოს გულზე ქართული  
მიწა დაჰყროდეს, ეს თუ მართლა ჩემს შვილზეა საუბარი. მისი  
სულისთვის ისიც კმარა, რაც ჩაიდინა, ამიტომ მე მომანდეთ ამის  
გამომზეურება და თუ დამნაშავეა, მე გამოვუტან განაჩენს დამნა-  
შავეს. ის მე გავზარდე და ისიც მზარავს, რომ სასირცხვილო  
ბოძზე მოუწევს გაკვრა, ამას მირჩევნია, ჩემი ხელით მოვუსწავო  
სიცოცხლე. ამას არ იმსახურებს მისი გარდაცვლილი მამის სუ-  
ლი... ახლა კი უბრძანე, ნუ დამაბრკოლებენ, ციხიდან გამიშვან...

\*\*\*

კუმურდოელი ეპისკოპოსი ეწვია ციხეს, ბერთაყანის თავზე  
კუმურდოსა და ერეშტას ძირში, გამოქვაბულებს შეხიზნოდნენ  
ჯავახები, რვაასამდე კარგად გაწვრთნილი მეომარი ელოდებოდა  
თმოგვის და ვარძიის გადაწყვეტილებას...

რატი სდუმდა. უკვე რვა შიკრიკი გაგზავნა მეფესთან, მაგრამ  
მეფისგან ვერაფერი კარგი ან დამაიმედებელი ვერა გაიგო რა  
ერთის გარდა - ციხეებში გამაგრებას ბრძანებდა მეფე.

კლარჯელი ეპისკოპოსები სახლობდნენ საფარას, კუმურდოს  
ეპისკოპოსს სთხოვდნენ, საფარაში სწვეოდა სათათბიროდ... სუ-

ცოტა, სამასი მეომრის თანხლება იყო საჭირო მის გასაცილებლად, მაგრამ ჯოლდაში მარცხის შემდეგ გამნარებულები დარღვნების მიზანით მიმდინარეობდა. სადმე რომ გადაჰყორდნენ ეპისკოპოსის მაყრიონს, ყველას ამოსწყვეტდნენ. ეპისკოპოსს კი რა ბედი ეწვეოდა, ადვილი წარმოსადგენი იყო.

ხეობაში ექვსიოდ ყმაწვილ ქალს ნასწყდომოდნენ რატის ბიჭები, ნამუსახდილი გოგოები გოდებდნენ და ციხეში ნამოსვლაზე უარზე იდგნენ, მაგრამ მაინც მუდარით ნამოეყვანათ ბიჭებს. ქალებმა ტყვეთა შორის ერთი ფაშა და რამდენიმე ბეგი ამოიცნეს, რომლებიც გადაცმულიყვნენ მდაბიოთა ტანსაცმელში. ქალები აფთრებივთ ეძგერნენ მოძალადებს და ქვები დაუშინეს, მერე კი წიხლქვეშ გაიგდეს.

რატიმ კოშკის თავზე ბრძანა მათი აყვანა და იქვე, ქვის სკამზე დაელოდა მათ.

ფაშას აშკარად ეტყობოდა, შუათითზე ბეჭედი რომ ეკეთა და სულ ცოტა ხნის წინ წაეძრო, მისი შეღებილი წვერ-ულვაშიც მის დიდგვაროვნობაზე მეტყველებდა. წუხელ, ღამით, ასეულის უფროსი დაკითხა რატიმ და ვერაფერი ათქმევინა, ფაშა კი შემოყვანისთანავე მუხლებზე დავარდა და თავისი ტყავის გადარჩენას ღამობდა. ხევწნით აიკლო ყველა და ყველაფერი დაფქვა. კიდევ სამი ბეგი ამხილა გადაცმულთა შორის.

- შურისძიების განაჩენი შენ თვითონ დაწერე ფაშავ! - დინჯად  
მიმართა რატიმ და თავისი ვეებერთელა ცალი თვალი ფაშას და-  
უეთებულ თვალებში გაუყარა და უფრო დააფეთა, ახლა შენ დადე  
სასწორის მეორე მხარეს ისეთი რამ, რაც სიცოცხლეს შეგინარჩუ-  
ნებს, წადი და იფიქრე, ცოტა ხანში ისევ დაგიძახებ და თუ ვერ  
მაამებ, იმ შენგან გაუქედურებულ დედაკაცებს მიგცემ ხელში და  
შენი ბოლო ამოსუნთქვა, აი, იმ ქარაფიდან ფრენისას იქნება.

ქვე, ნმიდა მარინეს ეკლესიიდან ამოსასვლელში კლდის თავზე, კიბეზე ჩამომჯდარიყო კუმურდოლი მეუფე. ეპისკოპოსი ფიქ- რებს გაეტაცა, მერამდენე დღეა, ტაძარში საკურთხევლიდან არც

გამოსულა, გზასაც მოექანცა მხცოვანი. არც არა უხმევია, დღეს  
ტყვეებს ჩამოუარა და ამხნევებდა, თვალი და ყური გამახვილა  
ბული ჰქონდა, რომ ადამის მოდგმაზე ცილისწამება და წამება არ  
დაეშვა. ერთობ კმაყოფილი იყო რატით. მოსწონდა მისი დინჯი და  
რაინდული გადაწყვეტილებები.

რატი კი ჩქარობდა, მას ციხის შიგნით მყოფი გამცემის ვინაობა  
აწუხებდა ძალიან. არადა, დაძაბულობამ იმატა, ყველა ერთმანეთს  
ეჭვისთვალით უყურებდა. ერთი-ორი კამათიც მოხდა, დროულად  
ჩაერია რატი... საჭირო იყო ციხეში დაგუბებული ენერგიის გამოშვება,  
რომ ნიაღვრად ქცეულიყო. მოზიდული მშვილდი ასე დიდ-  
ხანს ვერ გასძლებდა. ნასროლი ისარი კი კარგად უნდა გათვლილიყო,  
ვიდრე გასტყორცნიდა.

სახვალიოდ გადაწყვიტა ლაშქრობა და თავკაცები საიდუმლო  
თათბირზე წმ. დანიელის ტაძარში იხმო. გარშემო შუბოსნები და-  
ყენა, რომ ჩიტიც ვერ შემოფრენილიყო.

გადაწყდა, ვანის ქვაბის მონასტერი უნდა გათავისუფლდეს  
იქამდე, სანამ იქ, ქართველი მეომრები კიდევ არიან გამაგრებულ-  
ნი. მათ დიდი დახმარების გაწევა შეეძლოთ სიმაღლიდან. იქამდე  
კი ოსმალების თარეშს ბოლო უნდა მოეღოს, სანამ არ მომრავლე  
ბულან და მოძლიერებულან. თურქებისთვის კი ძალზედ მნიშვნელოვანი  
იყო ციხიდან ჩრდილოეთით ვაკეზე ჯარის ყოლა.

შეუა თათბირზე კუმურდოელი მეუფე შემოვიდა; აღელვებულ  
ჩანდა. საკურთხევლის წინ დაუდგეს სავარძელი და დაჯდომა შე-  
თავაზეს, მაგრამ იგი რატისთან პირისპირ დაბრძანდა და არცე  
მშვიდად მიმართა:

- ეს რა ჩაიდინე შვილო ჩემო, განა, ასე უნდა მოექცე ტყვე-  
შეპყრობილს?! მისი ბედი ღმერთმა შენ მოგანდო ახლა და რადგო  
მსაჯულის კვერთხი ხელთ აგილია, ნუთუ, ასე სჯი ღვთისშვილის  
ბედს? შენმა რაინდებმა ფრიალო კლდეზე მოისურვეს გადაყრა და  
ერთი უკვე გადააგდეს კიდეც...

რატი უკვე ქარაფის თავისკენ მირბოდა. იქ მისულს ბეგებ  
მუხლზე მოსულნი დახვდნენ მუდარით:

- ოლონდ ნუ დაგვხოცავთ და რაშიც გინდათ, გვიმსახურეთ-

- ციხისთავო, ნუ გაგვწირავთ და შენი ყურმოჭრილი მონები ვიქებით, - ნარმოთქვა მათ შორის უხუცესმა და მთლად მიწაზე გაიშხლართა.

რატიმ იქვე გამოქვაბულში შეაყვანინა ბეგები, კარები გადარაზა და ლამის ჩურჩულით ჰკითხა:

- ვინაა ციხეში შემოგზავნილი კაცი, ვინ გაწვდიდათ ცნობებს ჩვენ შესახებ. ამას თუ მეტყვით, ცოცხლები დარჩებით.

- ვიცით, ციხისთავო, ხოლო რომელია, არავინ იცის. ალაგურშია ის ფაშა, ვინც შემოგზავნა, - ახლა ნამდვილად გულწრფელები იყვნენ ბეგები.

მყისვე ტყვე ფაშა იხმო თავისთან, იგივე დაადასტურა ფაშამ. კიდევ ერთი სავალალო ამბავი ამცნო წითელწვეროსანმა:

- სახვალიოდ ჩემთან, ჯოლდაში, თურქეთიდან სულთანის კაცს ველოდით, ჩვენ ზარბაზნები ვთხოვეთ, რომ გამოეგზავნათ, ისინი კი სათათბიროდ იწვევენ ყველა მხედართმთავარს, ასევე ველოდით ქართველ დიდებულს, რომელიც ირწმუნება, რომ ზარბაზნების გარეშე ააღებინებდა ციხეებს; საფასურად კი ოცი ათას ოქროს ითხოვს ახლა, ხოლო მას შემდეგ, რაც, ასე ვთქვათ, ციხის კლიტებს ჩააბარებდა, ოცდაათი ათასი ოქრო მაშინ უნდა მიეღო ის ოცი ათასი. თარაქამა მძარცველმა რაზმა დააყაჩალა სტამბულელი აღა და ოქრო ნაიღეს. ხვალ კი, სულთანის კაცი თვითონ მოდის და თან მოაქვს სათანადო ოქრო. იქ ჩემთან კარავში უნდა ყოფილიყო ამის დამადასტურებელი ფირმანი...

რატის ვეებერთელა ცალი თვალი უფრო გაუფართოვდა და დაენისლა. აი, თურმე რისთვის მიჰქონდათ ამდენი ოქრო ოსმალებს. ვინ არის ის დიდებული, რომელიც ასე იაფად იყიდება? ახალი თავსატეხი გაუჩნდა ციხისთავს, მაგრამ, ვაითუ, ციხეშია ის დიდებული? გადაწყვიტა, ჩუმად ედევნებინა თვალყური... უმაღ ჟაცი აფრინა ხერთვისში და ვარძიაში, რათა ფრთხილად ყოფილებისას.

სახენაშლილმა რატიმ კვლავ სათათბიროს მიაშურა. მეუფე ისევ იქ იყო.

- მე კლდიდან გადაგდება არ მიბრძანებია, მეუფეო, შესაშინებლად დავაყენებინე ფრიალოს თავზე, რადგან ფრიად საჭირო ცნობას მოველოდი მათგან. სხვაგვარად ციხეში ეჭვმა დაიდო ბინა და

საცაა უნდობლობა დაისადგურებს თანამოძმეთა შორის. ჩვენთან  
ციხეში გამცემია, მოღალატე, რომელიც ცნობებს აწვდის მტკრულ  
ამიტომ მივანდე წუნდელ მეომრებს ამ საქმის გარკვევა. დრო  
აღარ ითმენდა, აი, ახლაც ამ ტაძრის კედლებს შუა შევყარე საა-  
ჯოდ თავკაცები და ის, რისი თქმაც მინდა, ბოლომდე გულ-  
წრფელად ვერ ვამბობ იმიტომ, რომ ეჭვი მკლავს, ჩემი თავისაც  
აღარ მჯერა. დროულად თუ არ გავიგე გამცემის ვინაობა, თავს  
წავაგებთ და ქვეყანასაც, ამიტომ დაეშურნენ ახალგაზრდები...  
დროულად უნდოდათ ამბის გაგება...

- დროს ჭაბუკის მაჯისცემით რატომ ზომავ, ციხისთავო! დრო-  
ზეც და ხალხზეც პასუხისმგებლობა შენ დაგაკისრა მეფემ და  
გამოძის, რომ ღმერთთანაც და მეფესთანაც შენ აგებ პასუხს...  
მტერზეც და მოყვარეზეც სიყვარული და ზრუნვა გმართებს.

- ვიცი მეუფეო, შენგან ვიცი, გიყვარდეს მტერი შენი, გძულდეს  
მტერი ღვთისა და შემუსრე მტერი მამულისა. ამას გვასწავლიდ  
ოდითგანვე, - წარმოთქვა რატიმ და ოდნავ ხმასაც აუწია, - ახლა  
ტაროსი ამ ნათქვამის შესრულებისა.

- ძნელადსაზომია ზნეობა ქრისტიანისა შვილო ჩემო, შენ ახლა  
სხვა თარგი მოარგე ოდესლაც ნათქვამს. ამ საზომით ბრძოლის  
ველზე ზომავს რაინდი და იბრძვის, აქ კი, რამდენადაც შენ ხარ  
ამაღლებული იმით, რომ ხმალი გიბყრია ხელთ, იმდენად ტყვე  
დაცემული უიარაღოდ და ვერაფერი ბედენაა მისი უფრო დაჩაგვ-  
რა და დამცირება; არ ნაადგება შენს ვაჟკაცობას. მტერი მარტო  
ხმლით და ისრით კი არა, ზნეობითაც უნდა დაამარცხო. გატყორ-  
ცნილ ისარს შენი ზნეობაც უნდა გააყოლო, თუ არა, მოუზომავ  
მშვილდის მოზიდვით ჩვენი მოდგმა გადაგვარდება; სიბრძნე ისარ-  
ზე კი არა, მოზიდულ მშვილდზე უნდა დადო, და ყოველ ისარს,  
შენი ზნეობა უნდა გააყოლო სიკვდილის მოციქულად. აი, სიბრძნე  
კი შენ უნდა დაიტოვო.

- მართალს ბრძანებ, მეუფეო, მაგრამ, მაგათ სხვანაირად  
სწამთ, ასე ასწავლიან, ზრდიან და აგზავნიან საომრად - რამდენ-  
საც მეტს მოკლავს ქრისტიანს, მით უფრო ახლოს მიღის თავის  
მოჰამედთან, ახლა გვიანია მათთან კაცთმოყვარებაზე საუბარი  
თუმცა შესაძლებელია მათი მორჯულება, ოლონდ მაგისი დრო ა-  
არის; აგერ, ვანისქვაბებში საკვები რომ ვერ მივუტანეთ იმიტომ

რომ ყველა გზა მტერს შეკრული ჰქონდა, იძულებული შეიქმნა, ორას მეომარს დაეტოვებინა მონასტერი; ციხეში მყოფი გამცემის წყალობით დღეს თურქები დათარეშობენ მონასტერში და ჩვენ სიწმინდეებს შეურაცხყოფენ. ის, ვინც ჯერ კიდევ მონასტერს იცავს, ეს მშიერი ხალხი, აიძულებენ, რომ გამოქვაბულიდან თავი ვერ გამოყონ ოსმალებმა, აი, იმ ქართველი ვაჟუაცების ზნეობაა წინწასამდვანი, მათ მიერ ნატყორცნი ისარი კი ზუსტად იმ მანძილზე აჩერებს მტერს სიწმინდეებისგან და იცავს ნაბილწვისგან, სადამდეც ისარი მიფრინავს. აი, ეს არის ის, რა ურთიერთობაც დამყარდა ჩვენსა და მათ შორის, ახლა დესპანობას ისარი ენევა! ... ჩვენ ხომ არ მივუხდით კარზე ოსმალებს. აბა, ნახეთ, რა უბე-დურება ტრიალებს გარშემო?!

- უბედურებას მხოლოდ სათნოებით თუ მოუკრავთ პირს, ცისისთავო, სხვაგვარად ის მაინც უბედურებად რჩება, გულშიც და კონებაშიც, ოღონდ სათნოებაა ძნელად გამოსაკვერი. ხომ გით-ხარი, უდიერად მოზიდული მშვილდით ჩვენ ნაშიერს გადააგვარებ და თუ ეს მოხდა, რალა აზრი ექნება ახლა, აქ დავმარცხდებით, თუ გავიმარჯვებთ, მაგრამ სულით დაცემული სულიერად დავი-ღვებით ერიც და ბერიც? სამშობლოს ჭირისუფალი თუ ხარ, ბრძენიც უნდა იყო, შენი რაინდობა უნდა აჩვენო მტერს, რომ მას შენს ზნეობაზე ეჭიროს თვალი და სჯეროდეს შენი ვაჟუაცობის.

- ბრძოლის ველზე ბევრგან ვცადე ჩემი მახვილი, მეუფეო, და არასოდეს ყოფილა, ემტყუნოს ჩემს კაცობას, ჩემი ხმლით ჯერ არც ხეიბარი, არც დედაკაცი ან ბავშვი არ მომკვდარა, ხოლო თუ ისინიც მახვილს დაიჭერენ ხელში და გადმოლახავენ ჩვენს საზღვარს, ვერ დავინდობ. ტყვედ ყოფნას კიდევ ნეტარებად არ გადა-ვუქცევ მაგათ, სანამ ჩემი მოძმეთა სისხლი ჰმართებთ, არც ვაპირებ მათ გამოკვებას ძლომამდე, ეს პური, რომელსაც მათ ვაჭმევ, აი, იმ სოფლის ხალხის მოწეულია, ვინც მაგათ აიკლეს, ვინც მოკლეს ან ნამუსი ახადეს. ამიტომ მოუცია მამა-პაპას მახვილი ჩემთვის, რომ მათ ვებრძოლო, საზრუნავი კი მრავალი სხვაც მაქეს... აქ მე მეფემ დამადგინა ციხისთავად და აქაურობის პატრონად, ამ ხალხის ბედ-ილბალიც მე ჩამაბარა და მე ვაგებ ძალუსს ჩემს მეომრებზე და სოფლებზე. და კიდევ, არც არავის დაუგალებია ჩემთვის მტერზე ზრუნვა და სამართალი, ხოლო ვინც

ჩვენი საზღვარი გადმოკვეთა და სისხლით ხმალი გასვარა, იგიც  
მიეგების და ასეთებს რომ არ ვებრძოლო, ასეთ კურთხევაში წრიუ  
შენ მომცემ მეუფეო.

მეუფეს მაშინვე არ უპასუხია, ერთი კი ღრმად ამოისუნთქა,  
დალლილი ქუთუთოები მაღლა ასწია და წამოდგა, მერე სიმშვიდეს  
მოუხმო და მამაშვილური, ტყბილი ხმით მიუგო:

- მსმენია, რომ ძველმა ქართველებმა, ძარღვში ნიაღვრად მო-  
ნოლილი ძალა ხომ უნდა ემართათ და რაღაცა კალაპოტში ხომ  
უნდა მოექციათ, და სისხლისმსმელ გველაშაპად რომ არ ქცეუ-  
ლიყვნენ - მშვილდისგან ქნარი შექმნეს, თავიანთი მძლავრი, მოუ-  
ხეშავი თითებით აამღერეს, ჩასისხლულ თვალებში ნათელი ჩაუდ-  
გათ და მათი კუშტი სახე ღიმილით შეიცვალა.. ამბობენ, რაინდის  
ზნეობაც ამ ქნარზე დაინერაო. მას შემდეგ დადის ეს რაინდი დე-  
დამიწაზე. მას მტერმაც მიბაძა და მოყვარემაც. რაინდობა კეთილ-  
კაცობა უფროა, შვილო, ვიდრე მოძალადეობა, ის აკეთილშობი-  
ლებს თავისი მოდგმას და მისი ცხონებაც ახლოსაა. ის ახლა ყველა  
ერშია, ის ოსმალოცაა, ბერძენიც, ქართველიც და სპარსიც, მაგ-  
რამ შენ, ქართველს და ქრისტიანს, რაღაცით უფრო მეტი მოგეთ-  
ხოვება, ვიდრე ოსმალოს და სპარს რაინდს. ეს ხომ აშკარაა.

- კარგი, მოძღვარო, მაშინ ისიც მითხარი, როგორ მოვიქცე, აქ  
ამ ციხის კედლებს მიღმა ათასობით მეომარი და თითემის ხუთი  
ათასი ქალი, ბავშვი და მოხუცი მყავს, მათ შორის კი ერთ-ერთი  
გამცემია, რომელსაც არ ასწავლეს და არ ესმის რაინდობა. მას  
ყოველი ჩვენი ნააზრევი მტრის ბანაკში მიაქვს, მათი თვალი და  
ყურია... ჩვენ სახვალიოდ ლაშქრობას ვაპირებთ მეუფეო და იცა-  
რამდენი მეომრის მზე დაბნელდება, თუკი მტერი შეიტყობს ჩვენს  
ჩანაფიქრს?... ისიც გაითვალისწინე, მეუფევ, რომ შენი საფარაში  
გამგზავრებაც არ უნდა შეიტყოს მტერმა, ამ დღეს სამასამდე  
მეომარს ვეღარ დავითვლით, რომლებიც შენს გასაცილებლად  
მზად არის. ახლა კი გამთენისას საომრად მიმავალი ჯარი შეწ-  
უნდა დალოცო, მეუფეო, და აბა, რას ეტყვი ჯარს, - აქ რატენ  
სული მოითქვა, საკურთხევლისკენ შეტრიალდა, პირჯვარი გადა  
წერა და მშვიდად დაამთავრა სათქმელი, - ვიდრე სწორ ჯობი  
ვიპოვიდე, რაღაცას ხომ უნდა დავეყრდნო, მეუფეო, და მრუდ-  
ჯოხს ნუ გადამაგდებინებ, ორკარეთობა არ ძალმიძს....

ამ დღოს რატის შუბოსნება უხმეს, იქ ვიღაც მოეყვანათ კოჭილი. აღმოსავლეთის კოშკიდან ხალხის ყაყანი ისმოდა. სომები მეომრების ხმა მეტობდა ირგვლივ. ზედ იწევდნენ ტყვეზე...

- ორი დღეა, თვალყურს ვადევნებ, ციხისთაო, ამ კაცს, - წინ წამოდგა ჩრდილოეთის ალაყაფის მცველთა მეთაური. ლამ-ლამობით გადიოდა ჯერ ვითომ, დაბლა, სოფელ თმოგვში, ბიჭები გავაყოლე და წაასწრეს, სიბნელეში, როგორ შეხვდა თურქ მხედარს, რაღაცა უთხრა. როცა გაისტუმრა და უკან გამოპრუნდა, ჩვენ დაგვინახა, გაქცევა უნდოდა წყალგაღმა, მაგრამ დავიჭირეთ და აგერ მოგვარეთ. მეომრებს ჩაქოლვა უნდოდათ, მაგრამ არ დავანებეთ, ჰოდა, აგერ შენთვის მოგვინდია სამართალი მასზე.

\*\*\*

ჯერ ისევ შავშეთში გადაებირებინათ ოსმალებს თავიანთ მხარეზე იქაური ვაჭარი. ერთ დღეს თავს წამოადგნენ მძინარე ოჯახს, მთელი მისი ავლადიდება ცოლ-შვილით თურქეთისკენ წაიყვანეს. ერთი თვის შემდგევ კვლავ შავშეთს ჩაიყვანეს და ახალ-ციხისკენ მომავალი სომხების რაზმს შეურიეს, როგორც ერთ-ერთი მათგანი. გამიზნულად სდიეს თმოგვის ციხემდე ისე, რომ აუცილებლად შეხიზნვოდა თმოგვის ციხეს. ვაჭარმა უკვე მოასწრო ეცნობებინა ფრიად საჭირო ამბები ციხეში მყოფი მეომრების რაოდენობაზე, საჭმლის მარაგზე და ის, რომ ვანის ქვაბებს ორასი მებრძოლის ნაცვლად სულ ოციოდე მეომარი იცავდა. ოსმალები მას ოსმალეთში ცოლ-შვილთან გაშვებას შეჰპირდნენ სანაცვლოდ, მას თან ექნებოდა წერილობითი დასტური ოჯახის დასახსნელად.

რატიმ სასწრაფოდ იხმო ფანასკერტელი მკურნალი, რამდენიმე შებოსანი მიუჩინა და თავის კოშკში დააბინავა. სასწრაფოდ, საღსალამათი ჩამაბარეთო სომეხი ვაჭარი, დაუბარა.

სოფელ თმოგვიდან აქოშინებული ბაქაარი მიადგა ციხისთავის სამყოფელს. სული რომ მოითქვა, განუცხადა: სომხების ას ოც პაციანი რაზმი ციხეს ტოვებსო, საგზალს ითხოვენ ცოტაოდენს და ცხენებს, იმ ცხენებს, თვითონ რომ ჩამოჰყვათ და რამდენიმე ჩვენსას. მათი თავკაცები გეახლებიან საცაა. მე ასე, მოკლეზე,

გვირაბით ამოვედი, მინდოდა, დამესწრო და სანამ ისინი ამოალ  
წევდნენ შენამდე, მომეხსენებინა. გაიძახიან, ოსმალების ამოალ  
ჩვენი ანგარიში გვაქვსო.

- ითაკილეს, გამცემი რომ მათი რაზმიდან გამოვლინდა. ახლა  
უნდათ, რომ გაგვეცალონ. მე მათი სალაშქროდ წაყვანა მინდოდა,  
მაგრამ, როგორც ჩანს, აღარ გამოვა... ვაჟკაცები კი რჩეულები  
არიან და გულიც ერჩით, თუმცა თვლიან, რომ აღარ გავუნევთ  
ნდობას.

ამ დროს ოთხი რჩეული ვაჟკაცი მოადგა რატის კოშვის კარს.  
მათ თან ახლდათ შუა ხანს გადაცილებული ტერტერა, რომელიც  
თარჯიმნობას სწევდა. შემოსვლისთანავე სამყოფელს თვალი  
მოავლეს და რადგან რატის წინ მხოლოდ ერთი ხის სავარძელი  
იყო დასაჯდომად, ის ტერტერა თარჯიმანს შესთავაზეს, თვითონ  
კი მორჩილად დაეწყვნენ სარკმელთან ორივე მხარეს...

რატის ვარაუდი გამართლდა. სომხები დამნაშავედ თვლიდნენ  
თავს და მოითხოვდნენ, რომ ციხე დაეტოვებინათ.

რატიმ ყველა მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა. საკმარისზე მეტი  
საკვების მიცემას დაპირდა და ცხენებიც არ დაუჭირა, ოღონდ  
მოითხოვდა. გადაედოთ უმაღ წასვლა ან კიდევ უარი ეთქვათ,  
რადგან გარშემო თურქის ჯარი იყო ყველგან და ყველა გზა შეა-  
რული ჰქონდათ, ოსმალებს მათი ციხიდან წასვლა შეუმჩნეველი  
არ დარჩებოდათ და ტყუილად თავს წააგებდნენ...

გადაწყდა. სომხები დილით გამთენისას დაიძრებოდნენ კუ-  
მურდოს მიმართულებით და ასე დაშორდნენ ერთმანეთს. რატიმ  
სასწრაფოდ სათათბიროდ შეჰყარა მეთაურები. თათბირი დიდხანს  
არ გაგრძელებულა. მერე სწრაფმავლები იხმო და აფრინა ხერთ-  
ვისს, ვარძიას და კუმურდო-ერეშტას ძირში დაბანაკებულ მეომ-  
რებთან. ყველაზე ძნელი და საშიში მაცნეებისთვის ვარძიამდე  
მიღწევა იყო. ამიტომ მაცნეებს ათვაციანი მშვილდოსანთა ჯერ-  
ფიც გააყოლა. სულ კლდეზე ცოცვით უნდა ევლოთ ჯერ ჭაჭრის  
თავამდე, იქიდან ზედ კლდეკარის თავზე უნდა დაშვებულიყვნენ  
და თუ საჭირო გახდებოდა, მაღლიდან თოკით ჩაეშვათ ერთ-ერთი  
ვარძიაში, რომ დანიშნულ ადგილას მშვიდობით მისულიყვნენ.  
სხვაგვარად თავს წააგებდნენ და საქმეც წახდებოდა.

ხერთვისში ორივ მხრივ გაგზავნა სწრაფმრბოლელნი. ერთი ზე  
და თმოვგის გავლით, ხოლო მეორე - წუნდის. ხერთვისთან დაბრუნების  
მარცხების შემდეგ ოსმალებს ყველა გზა და ბილიკი შეკრული  
ჰქონდათ, ამიტომ ძნელი იყო ხერთვისში მოხვედრა. აქ მხოლოდ  
რჩეული ვაუკაცები გაუშვა. ერეშტადან მაღე დაბრუნდა მაცნე და  
ამცნო, რომ გამოქვაბულში მონაზვნების გარდა არავინ იყო.  
მონაზვნებმაც არაფერი იცოდნენ, თუ სად იმყოფებოდნენ ჯავახი  
მეომრები.

ჯოლდაში დატყვევებული ფაშა იხმო რატიმ, რომელიც თავს  
შინაურად სთვლიდა. ახლაც ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ  
საკუთარი ტყავი გადაერჩინა. რატიმ თავის მოპირდაპირე სავარ-  
ქელში ჩასვა და მისი ნაქონი ბეჭედი წამოაცვა თითზე; ბეჭედი,  
რომელიც ფაშას თავის დიდებას უბრუნებდა. ამის შემხედვარე  
ფაშა ერთიანად გასწორდა ბეჭებში და სრულიად გარდაისახა. აშკარად ეტყობოდა დაუჯერებლობა, ანრიალდა და მოუთმენლად  
ჰკითხა რატის, რას ნიშნავსო ეს ყოველივე? რატიმ მაგიდაზე  
დაუწყო მისივე ნაქონი სანერვალამი და ძვირფასად შემკული ქა-  
ლალდები და ანიშნა, რომ რასაც ეტყოდა, ის დაეწერა. როცა წე-  
რას მორჩა, მისივე ბეჭდით დაამშვენებინა გრაგნილი და გახარე-  
ბული ფაშა გაისტიუმრა თავის სამყოფელში. ცოტა ხანში სომეხი  
ვაჭარი იხმო. რატიმ ფაშას მიერ დაწერილი წერილი დაუდო წინ  
და ანიშნა, რომ წაეკითხა.

სომეხს ისედაც დიდი თვალები უფრო გაუფართოვდა, მერე  
რატის ახედა და როგორც ვაჭრებმა იციან, რომ რაღაცის სანაცვ-  
ლოდ რაღაც უნდა გასცენ, უკვე ვაჭრულად ჰკითხა:

- მე მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო იმის სანაცვლოდ, რაც ამ  
წერილში წერია. ქონებას არ დავეძებ - წყალსაც წაუღია, ოღონდ  
ცოლ-შვილი გადავარჩინო. მიბრძანე, ციხისთავო, რა უნდა ვქნა.

- ისეთი არაფერი, მიუგო რატიმ: ამაღამ შენ ისევ წახვალ და  
გადასცემ ცნობას ალაგურში დაბანაკებულ ფაშას, რომ ხვალ,  
გამთენისას, კუმურდოს ეპისკოპოსი ას ორმოცდაათი მეომრით  
შუმურდოში მიემგზავრება და გზასაც მიუთითებ. შენთან წამოვა  
რო მშვილდოსანი, ისინი გაგაცილებენ. უკან რომ დაბრუნდები,

თუ ყველაფერს შეასრულებ, როგორც გითხარი, მიიღებ ამ წერილს სათანადო ბეჭდით დამშვენებულს. მოგცემ ცხენს, სატმეობაზე და შეგიძლია წახვიდე საკუთარი ცოლ-შვილის დასახსნებად.

ვაჭარს ლამის გული წაუვიდა აღელვებისგან. იგი მუხლებზე დავარდა რატის წინ და რაღაცას მოსთქვამდა და ტიროდა.

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, რომ ვარძიდან დაბრუნდნენ სწრაფმავალნი და კარგი ცნობაც მოიტანეს. არ ჩანდნენ ხერთვისში გაგზავნილი მაცნეები. რატიმ ფრიალო კლდის თავზე გაატარა თითქმის მთელი ლამე და ის იყო მტრედისფრად ინათა, როცა ჩრდილოეთიდან ელოდა ბაქაარს, იგი აღმოსავლეთის მხრიდან, წყალგაღმა, ციხის მეორე მხარეს, კლდის თავზე მოადგა და გამოსძახა:

- ხერთვისში ყველაფერი იციანო.

იმავ დილასვე, ჯოლდის ვაკეზე თითქმის იმდენივე ოსმალთა ჯარი შემოვიდა და დაიწყეს დაბანაკება....

\*\*\*

თმოგვის ციხეში არსებულმა თოთხმეტი ეკლესიის ზარმა, ერთ-დროულად შემოჰკრა თორმეტ-თორმეტჯერ; ასე იწყებოდა ყოველი დილა ციხეში. არე-მარე ჩიტების უივილ-ხივილმა გამოაცოცხლა. ტოროლები ცას გამოეკერნენ. საამოდ ისმოდა მათი გაუთავებელი წკრიალი, თითქოს ამ ქვეყნის ავ-კარგს უთხრობდნენ უფალს. ზოგი თითქოს დაუჯდომელს უკითხავდა ღვთისმშობელს, იმდენ ხანს იყო ზეცაში გამოკერბული, თითქოსდა დაზეპირუ ბული ჰქონდათო მისი წილხვედრი ქვეყნის ვარამი, რომელსაც დაწვრილებით უამბობდნენ დედა ქალწულს, რათა არაფერი გამორჩენოდა და ისე მიეტანა ყველაფერი თავის შობილთან. თან მეოხება ეთხოვა ძე ღმერთისთვის.

ჯოლდის ალაგურის და თმოგვის თავზე დაბანაკებულ ოსმალთა ბანაკებშიც მოლებმა დაიწყეს ლოცვა, მათი ხმა ცუდად ხედუ ბოდა ციხის მკვიდრთა ყურს. ციხიდან აღმოსავლეთით, თამრის ხიდად წოდებული ხიდიდან სომხების რაზმი ტოვებდა ციხეს, რომ ბერთაყანის გავლით ჯავახეთის ზეგანზე ასულიყვნენ. გაღმა მხარეს თურქი მსტორები შენიშნა რატიმ. ორი ალაგურისკენ წავიდა

ერთი ჯოლდის ვაკეზე დაბანაკებულ ოსმალოელთა ჯარისკენ სომხები ის-ის იყო ხიდზე გადავიდნენ და კლდის თავზე მოექცნენ, რომ ვანის ქვაბის ძირში დაბანაკებულმა ოსმალების ჯარმა მათ-კენ აიღო გეზი. ჯოლდის ვაკედანაც ორასამდე მეომარმა ცხენებით გასცურა მდინარე და სომხების რაზმს აედევნა. ალაგური-დანაც დაიძრა ორასამდე მეომარი და თმოგვისციხის გაღმა მიაჭენებდნენ ცხენებს. როგორც ეტყობა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო „კუმურდოელი ეპისკოპოსის“ ხელში ჩაგდება.

თმოგვის ციხის თავზე მდგარი სარდლობა გულდამშვიდებული უცქერდა, თუ რა მოხდებოდა გაღმა.

სომხებმა ყველაზე მაღალი და მიუდგომელი გორა აირჩიეს, სოფელ მარნისთავს რომ დაცურებს, და ცხენების წყალობით მკვირცხლად მოექცნენ მის თავზე. მდევარმა რაზმმა გორის ძირში მოიყარა თავი და ყოველი მხრიდან დაიწყეს მისი დალაშქვრა. გორისთავიდან კი, სომხებმა უზარმაზარი ქვები დააგორეს.

როგორც ნიაღვარმა, ისე ჩამორეცხა თურქთა მხედრიონი მთის კალთებიდან ლოდ-ისარმა.

თმოგვის ციხეზე კმაყოფილნი იყვნენ სომხების მოქმედებით. ცოტა ხანში ალაგურიდან კვლავ გაინვიეს ოთხასამდე მხედარი, არც ჯოლდაში დაიშურეს და კიდევ ორი ასეული დაამატეს...

ამ დროს, როცა ოსმალები გართული იყვნენ სომხებთან ბრძოლით, ციხისთავზე მდგარმა დედო ზარმა იქუხა და ციხიდან თითქმის ყველა მეომარი თმოგვის ციხის თავზე მდგარი ბანაკისკენ დაიძრა. ნაწილი ჯოლდისკენ, ხოლო ნაწილი ალაგურისკენ.

დილით, გამთენისას, წირვა ჩაატარა კუმურდოელმა მეუფემ, უცდათი მღვდელი ჰეყავდა თანამწირველად, ხიდისთავში, ალაგურისკენ, ზედათმოგვისკენ და ჯოლდისკენ გასასვლელ კარიბჭის კართან იდგნენ მღვდლები ბარძიმით ხელში და აზიარებდნენ ომში მიმავალ ჯარს, ნაკურთხები წყლით უკურთხეს მარჯვენა და დალცეს.

ყველა მეომარი გამოვიდა ვარძიიდან, თითქმის ამდენივე კაცი ამოვიდა ხერთვისიდან და ეკვეთნენ მტრის ბანაკებს. ჯოლდელები და ალაგურში მდგარი თურქების რაზმები ალყაში მოექცნენ. ალაგურში რომ ვერ გაძლეს, ერთიანად წყალგაღმა გავიდნენ და ვანის

ქვაბებს მიაშურეს ოსმალებმა, იმ იმედით, რომ მათი თავშესაფრინი  
იქნებოდა, მაგრამ იქ ქართველები დახვდნენ.

კუმურდო-ერეშტას თავშესაფრინიდან გაუჩინარებულ რვას  
მეომარს, რომელთაც წინ ცისკარა წასძლოლოდა, ვანისქვაბების-  
კენ დაძრულიყვნენ, გზად ბაქაარი გადაჰყროდათ ხერთვისიდან  
მომავალი, იქვე ძმად გაფიცულიყვნენ ბაქაარი და ცისკარა, წინ  
წასძლომოდნენ ჯავახებს და ახლა უკვე ორი ძმადნაფიცი ჩაეკიდა  
საბელით მონასტრის ციცაბოებზე, ჯერ მაღლა მომწყვდეული  
არაქათგამოცლილი ბიჭები მოინახულეს და მათგან გაიგეს, ვინ  
სად იმყოფებოდა და რამდენი. გვირაბებში კიბეები ჩადგეს და  
სულ მაღლე ორმოცამდე მეომარი ელოდა გასასვლელში ბრძოლის  
ყიუინის ხმას ...

ორ-ორი ნიჯგორი, ისრებით სავსე გადაიკიდეს მხარზე ცის-  
კარამ და ბაქაარმა. ახსენეს ღმერთი და საბელზე ჩამოკიდებული  
უფრო სიღრმეში ჩაეშვნენ. აი, აქ იჩინა თავი ბაქაარის ოსტატობაში  
მშვილდოსნობაში, არც ცისკარამ დაიშურა თავი. ზუსტი სროლით  
საგუშაგოებიდან დახოცეს და აჟყარეს თურქები. ამ დროს დასაც-  
ლეთის გამოქვაბულების თავზე ერთდროულად ჩამოეშვა ჯავახთა  
ასეული. ოსმალებმა იყნოსეს საფრთხე. რა დაინახეს თურქებმა,  
რომ ალაგურიდან გამორბოდა მათი ჯარი, ჯერ კი გული მიეცათ,  
მაგრამ ისიც დაინახეს, რომ ხევიდან და მაღლა გვირაბიდან იმატა  
ქართველობამ, ერთიანად დაეშვნენ დაბლა და თავიანთ თან-  
მოძმებს შეეყარნენ პირისპირ. ახლა კი, როცა მთელი ოსმალთა  
ჯარი ამ მონასტერს მიაწყდა, იქიდან ისრების სეტყვა დაატყდათ  
თავზე და უკუიქცნენ. ყველა თმოგვისკენ დაეშურა. აქ წინ თმი-  
თავზე და უკუიქცნენ. ყველა თმოგვისკენ დაეშურა. აქ წინ თმი-  
ნანილმა ოსმალებისა ალყა გაარღვია და ბერთაყანის გავლით,  
გარნის თავისკენ გაეშურა, უკან მდევარი დაედევნა, რომლებიც  
ისრებით ხოცავდნენ გაქცეულებს, ხმალდახმალ მისვლა საჭირო  
აღარ იყო. მარნის თავის გორაზე ასული სომხები როგორც ხე-  
ლისგულზე, ისე ხედავდნენ, რა ხდებოდა ირგვლივ ჯოლდაში,  
თმოგვის თავზე, სადაც სულ რამდენიმე ხნის წინ მათაც მოუხდათ  
ბრძოლა და არც თუ ისე ცუდად იომეს, ახლა ბერთაყანიდან მათ-

კენ მომავალი აწიოკებული ოსმლები რომ დაინახეს, გული მიე-  
ცათ, ჩქარეს, ჩამოუხტნენ მტერს და თავი წააგეს. არ დაელოდა  
ნენ, ქართველების ლაშქარი მისულიყო იქამდე.

თურქი მეომრების ნაწილმა ვარძიისკენ მოახერხა გაქცევა, იქ  
ვარძიელი ბერები იყვნენ იარაღში ჩამსხდარნი.

ძნელი აღმოჩნდა თმოგვის ციხის თავზე დაბანაკებული რაზმის  
დაძლევა. ერთხანად თურქებმა სძლიერ კიდევაც ქართველებს და  
ისევ ციხისკენ დაირცეს, მაგრამ რატიმ ხერთვისელები მიაშველა,  
კვლავ ზემოდან წითელმიწების მხრიდან დაუარეს მტერს, ერთია-  
ნად შეუტიეს და გატეხეს...

ორი დღე-ლამე სდიეს წუნდის მიღამოებში მტერს, ვინც ტყვედ  
ჩაბარდა იქვე ჯოლდაში, თავიანთ ბანაკში გამოკეტეს, დანარჩე-  
ნები განყდნენ. მერე დაუარეს და ყველა მიცვალებული მიწას მია-  
ბარეს.

გამეტებით გამოკვება რატიმ დაჭრილი ტყვეები და კუმურ-  
დოელი ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით გაისტუმრეს ქვეყნიდან. სომხების ასეულიდან მხოლოდ ოცდაათი მეომარი გადარჩა ცოც-  
ხალი. ისინი კვლავ თმოგვისციხეს დაუბრუნდნენ. სომეს მიცვა-  
ლებულებს იქვე, ჩრდილო-აღმოსავლეთით ვაკეზე, ცალკე სასა-  
ფლაო გაუკეთეს და დიდი პატივით მიაბარეს მიწას.

### \*\*\*

ცისკარას დედა კი ასე, სოფელ-სოფელ დაეხეტებოდა და ამაოდ  
ეძებდა თავის ერთადერთ შვილს. ბოლოს ვიღაცამ უთხრა, რომ  
ვანის ქვაბებშიაო შენი შვილი და იქეთ გაეშურა.

სასოწარკვეთამდე მისული დედაკაცი აგერ უკვე თითქმის ორი  
ჰერთა დაეძებდა თავის შვილს, ფეხები უკან რჩებოდა და უმძიმდა  
შვილთან შეყრა. ძლივს გადაბობდნდა საიდუმლო გასასვლელში.  
გაუკვირდა კიდეც, მონასტერი დაუცველი რომ იყო, აქამდე  
შველგან აჩერებდნენ, ყველა რაღაცას ეკითხებოდა, აქ კი ....

და უცებ, ვიწრო გასავლელში, ქარაფის თავზე, მისი პირმშო,  
მისი ცისკარა, მომლიმარი მოემართებოდა დედისკენ... ულიმოდა,  
აშკარად ულიმოდა, არც კი გრძნობდა სინდისის ქენჯნას. ასე ხელ-

გამლილს ენადა ჩახუტებოდა გამზრდელ დედას. დედას გვე  
ლაფერი გადაავინუდა, გაშალა ხელები და გაექანა შვილის მიზნები,  
მაგრამ ზიზღი იგრძნო, შეჩერდა და როგორც ძუ მგელმა მო-  
შორა, შვილის გამოწვდილ ხელებს დაუსხლტა და რაც ძალი და-  
ლონე ჰქონდა ხელი ჰკრა თავის პირმშოს.

- მოღალატევ, ამისთვის გაგზარდე? მოღალატევ. მომშორდ  
თავიდან!

შვილის გაოცებული თვალები დაინახა ბოლოს. იგი ხელებ-  
გაშლილი, როგორც არწივი, თითქოს ჯერ ჰაერში აიზიდაო, მერე  
გადაევლო ფრიალო კლდეს და დაბლა, წმინდა გიორგის ტაძრის  
შესასვლელიდან ათიოდ ნაბიჯით ზემოთ, ორ ლოდს შუა გაერთხა  
მიწაზე.

- ეს რა ჰქენი, დედი, როგორ თუ მოღალატე, ეგ ხომ გმირია,  
ჩვენი გმირი. ეგ შენი შვილი რომ არა, აბა მონასტერს როგორ  
გავათავისუფლებდით?! ეს რა ჩაიდინე, ვაი დედასა!!!..

დედა უცებ შეცბა, აუთრთოლდა ტუჩ-პირი, მერე ისევ შური-  
ძიების უიშეუყრილმა თავიდან მოიშორა ნათქვამი, მაგრამ ბაქარის  
იგივე გაუმეორა, ახლა კი, დედაც ქარაფისკენ გაქანდა გადასა-  
ვარდნად, მაგრამ ბაქაარის რკინისებრ ხელებში მოექცა და მგე-  
ლივით აყმუვლდა.

- აკი მოღალატეა?! მიშველეთ ხალხნო! ეს რა ჩაიდინეთ,  
როგორ თუ მოღალატე, ჩემი შვილი არ შეიძლება მოღალატე ყო-  
ფილიყო. დამკალით, ხალხნო! შვილისმკვლელი დედა ვარ,  
დამკალით! მე ჩემს ქვეყანას თურმე გმირი გავუზარდე და გმირი  
მოვუკალ, დამკალით!!! ცოცხლათ დამმარხეთ, დამკალით!!!

\*\*\*

ცისკარას გვამი ვარძიელმა ბერებმა არავის დაანებეს, ბერთა-  
ყანის გავლით აიტანეს ზეგანზე გალობითა და ლოცვით, თმოგვე  
ციხეზე ყველა ზარი რეკდა, რატი და მთელი ციხის ამაღა მუხლ-  
ზემდგომნი, თავდახრილნი ემშვიდობებოდნენ მათგან უნებლივად  
მოღალატედ გამეტებულ გმირს, რომელმაც ვანისქვაბებში მისასუ-  
ლელი ყველა ბილიკი და გზა ზედმინევნით შეისწავლა და კუმურ-  
დო-ერაშტას გამოქვაბულში შეხიზნული მეომრებით დაუბრუნა

ქვეყანას ციხედქცეული მონასტერი, რომ არც ერთი ქართველი  
 მეომარი არ დაღუპულა.

ვანისქვაბელმა მოძღვარმა აუგო წესი ცისკარას სოფელში და  
 მინას მიაბარეს.

საღამოს კი გაძარცვულ და გლოვადქცეულ სახლში ცისკარას  
 ქვრივმა უკვე შემოდგომის ცივ სარეცელზე შობა ვაჟი.

ცისკარას დედა კი, მოხდილი ხილაბანდით ხელში, ერთხანად  
 საფლავზე იყო გადაკრული, მერე კი ასე დადიოდა სოფელ-სოფელ  
 თავმოხდილი და გაიძახოდა:

- შვილისმკვლელი დედა ჩაქოლეთ ხალხო, დამკალით! მე თავს  
 ვერ მოვიკლავ, თავის მოკვლა დიდი ცოდვა ყოფილა და ჩემი  
 გმირი შვილის სული რომ არ დავამძიმო, დამკალით!

დიდხანს დაეხეტებოდა სოფელ-სოფელ, მის დანახვაზე ყველა  
 თვალს არიდებდა შვილისმკვლელ დედას, თან ჩურჩულებდნენ:

- დამკლელი ქალი მოდის, ხალხნო, ვაი, მაგის გამჩენს, რა  
 ცოდოა, რომ ვერცა რაით ანუგეშებს კაცი... სამადლოდ ვინ პურს  
 მიაწვდიდა, ვინ რას, მაგრამ ისე ჩაუკლიდა გვერდით, თითქოს  
 ვერც ამჩნევდაო ხალხს.

ამიერიდან ამ სოფელს დამკალი ეწოდა. ახლა აღარავინ ცხოვ-  
 რობს ამ სოფლად. ცისკარას ნაშიერი, ცისკარაძეებად იწოდე-  
 ბოდნენ და ახლაც არიან.

ბაქაარმა კი, ცისკარას ძმადნაფიცმა, თავის თავზე აიღო ძმო-  
 ბილის დედაზე და მის ცოლ-შვილზე ზრუნვა. რატიმ იმ ბერძნული  
 ოქროდან საკმარისზე მეტი ოქრო გამოუყო და არც არა გას-  
 ჭირვებიათ რა.

ცოტა ხანში მეფის ბრძანებით თმოგველი მეფოლადეები გახიზ-  
 ნეს თმოგვიდან და ახლანდელ რაჭაში დაასახლეს, იქ, სადაც ახ-  
 ლოს იყო რკინის მადანი და თან დაცულნი იქნებოდნენ, რომ ფო-  
 ლადის საიდუმლო არ გაეტაცა მტერსა და მომხვდურს. ასე იწო-  
 დებოდა მათი გვარიც მოისარიძეებად. ახლა მაისურაძეები არიან  
 მრავლად.

ბაქაარი თმოგვს დაიტოვა რატიმ. ცოტა ხანში თმოგვიდან  
 ჩრდილოეთით გორის თავზე, რომელიც ჯოლდას დაჰყურებს,  
 ქოშკი აუგო, ხოლო ამ კოშკზე, მეციხოვნედ ბაქაარი გაამწესა,  
 რათა მტრის შემოსევა ემცნო ხერთვისისა და თმოგვისთვის... იქვე

მომრავლდა ბაქაარი, მერე იქიდან სოფელ ზედა თმოგვმი გადა-  
სახლდნენ და ამ სოფლის ძირძველი მკვიდრი არიან. გორგას უკა-  
სადაც კოშკი ჰქონდათ, ახლა ზედა თმოგველები ბაქორქს მთა-  
ეძახიან.

გაზფხულზე კვლავ შემოესივნენ ოსმალები, ოღონდ ახლა უფ-  
რო მრავალნი იყვნენ მომხვდურნი, კვლავ ამ ოთხმა ციხე- მონას-  
ტერმა აიღო თავის თავზე მთელი სიმძიმე იმისა. ქართველებიც  
მომზადებულნი დახვდნენ, ამჯერად ყველა სოფელმა თავ-თავის  
მცირე რაზმით აიძულა მტერი, წინ ვეღარ წასულიყო; ტყეში იყვ-  
ნენ გახიზნულები და მთლად მოუხელთებელნი გახლდნენ ოსმა-  
ლებისთვის. ბევრი არც უფიქრია მტერს და მოხდა ყოვლად საში-  
ნელი ამბავი, ყველგან, სადაც კი ტყე იყო, ოსმალებმა ცეცხლს  
მისცეს და მთლიანად გადაწვეს, ასე აიძულეს ხალხი, ტყიდან  
გამოსულიყო და თავს ეშველა. ოთხი წელიწადი იწვოდა სამცხე-  
საჯავახო. ხალხი ეცლებოდა იქაურობას. ციხესიმაგრები კი  
კვლავ მედგრად იდგნენ. ვერა გააწყვეს მათთან ბრძოლით ოსმა-  
ლებმა, მრავალი ჭურვი მიახარჯეს ციხის კედლებს, მაგრამ ისინი  
შეუვალნი იყვნენ.

და ერთ დღეს თავზარდამცემი ამბავი მოიტანეს თმოგვზე.  
ვარძია დაცაო. ოქრო-ვერცხლით მოხიბლული და განცხრომას  
მოწყურებული ქართველი თავადი ღალატით შეუძლვა ვარძის  
მონასტერში მტერს.

აიკლეს და გაძარცვეს ვარძია. სულ მაღლა სართულზე ოც-  
დაათი ბერი განაგრძობდა ბრძოლას, იქ მონასტრის საჭურჭლე და  
ძვირფასი ხელნაწერები იყო დაცული. არც ისე ადვილი გამოდგა  
მათი დამორჩილება. ბოლოს საპატიო ხვრელის ქვეშ დაუნთეს  
ცეცხლი. თივასთან ერთად მონასტრის ქონებაც იწვოდა. მაინც არ  
დანებდნენ, არ გააღეს ქვის კარიბჭენი, რომლებიც იცავდა მაღლა  
სართულებს, მაგრამ კვამლმა თავისი ქნა, მეოთხე დღეს კვამლის  
გან გაგუდული ბერები რომ აღარ იძვროდნენ, ეს ქვის კარებებიც  
დანებდნენ მტერს.

აუნერელი სიმდიდრე გაუყენეს სტამბოლის გზას, მაგრამ  
მთავარი სიმდიდრე - სული ქართული, მაინც დარჩა ვარძიაში. რაც  
ოსმალოებისთვის სიმდიდრეს არ წარმოადგენდა; ხელნაწერები და  
მრავალი სასულიერო ნივთი, ტაძარში შეზიდეს, ზედ იმ ოცდაათი

ბერის გვამი დააგდეს. იქვე, ტაძრად მდგარი, ოთხი უზარმაზარი  
ორმოც ფუთიანი სანთლები დაჩეხეს და ცეცხლი წაუკიდეს. სისახლის

გაჭვარტლა ვარძიის ფრესკები და მთლად მურით დაფარული  
უხილავი გახადა. ბერების, ამ წმიდა მამების დამწვარმა სხეულმა,  
ასე გაუწია უკანასკნელი სამსახური უფალს და ქართველ ერს;  
სხვაგან ყველა წმინდანს თვალები აქვს დათხრილ-დაჯღაბნილი.

აქ თითქმის სამასი წელიწადი ცხვარი ჰყავდათ მეცხვარეებს  
შეხიზნული და ყველა სიწმინდე ილახებოდა.

თმოგვის ციხეში კი საშინელი ჭირი ჩავარდნილიყო და ერთია-  
ნად მუსრავდა ყველას, ღამით ჩუმ-ჩუმად თითო-თითო კაცად მი-  
დიოდა სამშვიდობოს ხალხი. ბოლოს რატიმ თავის ერთგულ ბე-  
ბერ ცხენს აუკრა ხილაპანდით თვალები და ზედმჯდომი თმოგვე-  
ლი მეფოლადე მაისურაძეების გაჭედილი ჯავარდანით ხელში,  
გადაეშვა ფრიალო კლდიდან...

ასე დარჩა მარადიულ მხედრად თმოგვის უკანასკნელი ცი-  
ხისთავი.

სამცხე-ჯავახეთი დაცა, მაგრამ არ მომკვდარა. მრავალი  
ტანჯვა გამოიარა მას შემდეგ. მერე არც ვარძიას, არც თმოგვს,  
არც ხერთვისს და არც ახალციხის ციხეს ქართველებისთვის სამ-  
სახური აღარ გაუწევია. მხოლოდ ერთხელ, გიორგი სააკაძემ აიღო  
ხერთვისი და თმოგვი, მეციხოვნენიც ჩააყენა, მაგრამ მხოლოდ  
ოთხი წელი სახლობდნენ აქ ქართველები.

დაშლილ-დაქუცმაცებულმა საქართველომ თვითონ უღალატა  
აქურ ციხეებს. საარაკო მესხი მეომარი, რომელიც ყველა დროის  
ქართველ მეომართა შორის ყველაზე ძლიერი, მოუხელთებელი და  
უშიშარი იყო, სასიკვდილოდ განირეს. სამასწლიანმა უღელმა მხო-  
ლოდ რჩეულნი დაიცვა გადარჯულებისგან, დანარჩენებს მოთმი-  
ნება ასწავლა, ვინ მუსლიმური ფარაჯით შეიმოსა და გენი ქარ-  
თული დღესაც ხარობს შავშეთში, მათი წყალობით იქაურობას  
ახლაც ქართული სურნელი ასდის ქართულ მიწას.

მერე აღაგურში მაპმადიანობიდან გადმოინათლება ერთ-ერთი  
ძმა თავადი ფალავანდიშვილების, ის წაუძღვება რუსებს და მისი  
დახმარებით ახალციხის ციხეს აიღებენ. მას შემდეგ ახლა რუსების  
სამსახურში ჩადგნენ და რუსეთის იმპერიას ემსახურებოდნენ  
ქართველთა ნაოფლარი ხერთვისი და ახალციხის ციხე. მერე ციხე


აღარც არაფერში გახდა საჭირო და ასე მოვიდა დღემდე. სუ  
დგანან უტყვი მოწმებად გარდასულ დღეთა. დგანან, რამაც ა  
ქარის და ცისკარას მოდგმას ეამაყა; ისევ მხოლოდ წარსულით  
ეამაყა და მეტი არაფერი...

ვერავინ მოიცალა ამ გმირობისთვის სახელი დაერქმია. არც იმ  
ოცდაათ პერის ხსენებაა არსად, არც ამ ციხეების გმირების  
საქმენი... ასე წაიშალა ქართველის გონებიდან მათი სახელები.  
დარჩა დამახინჯებული ლეგენდები.

2017 წელი 23 ნოემბერი, თბილისი.

## ნატო გაბარაშვილი

დაიბადა 2000 წლის 25 იანვარს ქალაქ თბილისში. 2002 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა დუშეთის რაიონის სოფელ იღტოზაში. 2006 წელს შევიდა მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვისის საჯარო სკოლაში, რომელიც 2018 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა, იმავე წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე 100%-იანი გრანტით. 2014 წელს გახდა მცხეთის რაიონის გამარჯვებული ჭადრაკის ოლიმპიადაში. 2015-2017 წლებში იყო საგანმანათლებლო ორგანიზაციის „ეინგჟი—საქართველო“ ქართულის ოლიმპიადის გამარჯვებული, 2016 წელს გაიმარჯვებულა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ესსების კონკურსში. 2019 წელს გაიმარჯვა სტუდენტთა 27-ე საერთაშორისო კონფერენციაში, ხოლო მოგვიანებით — „საქართველოს ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბის“ მიერ ორგანიზებულ რეგიონული კვლევისა და საგარეო პოლიტიკის I სტუდენტურ კონფერენციაში.



## გზა

დეკემბრის გაუკვალავ თოვლს ნელა ვატყობდი ნაბიჯებს. საინტერესოა, შევძლებ ნეტა ოდესმე, ცხოვრებასაც დავამჩნიო ასეთი კვალი, თუნდაც მხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრებას. საკუთარი, ორიგინალური, მოულოდნელი და ზუსტი, ოლონდისეთი, მეორე დღის თოვლმა რომ ვერ გადაფაროს.

მძიმედ გადავწიე ერთ ადგილას ჩახსნილი ღობე და ეზოში ჰირველი ნაბიჯი დავდგი. ზამთრის უდროოდ დაღამებულ დღეს და მოწოდილ ღრუბელს ერთიანად ჩაეშავებინა იქაურობა. ჯერ თვალის შეჩვევაც მიჭირდა, მხოლოდ სადღაც სიღრმეში პატარა, დაბალ შენობას ვარჩევდი და იმაზე შორს მეჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ინსტინქტურად გადავდგი ნაბიჯები, თითქოს რაღაცას ვეძებდი. უცებ მარჯვენა ფეხი დამპალი ფოთლების

რამდენიმე ფენით დაფარულ მარმარილოს ფილას მოხვდა. გამარტინი სენდა, ვიპოვე ბილიკი. თამამად მივყევი და ნახევარ წუთში შესასტარებულის წინ ვიდექი. ვუყურებდი ნელ-ნელა გამოკვეთილ ხის მართულთხედს და უაზროდ ველოდი, როდის გაიღებოდა შიგ-ნიდან. სულ ხუთი წუთი დამჭირდა გამოსარკვევად. დიდი ხნის შეჩვეული სიმძიმე კიდევ უფრო ღრმად დავწიე გულში და უა-გიანი გასაღები ქურდულად შევსვი ვიწრო ხვრელში. პირველ გადაწყვაზე არაფერი, მეორე ცდაზე - გაიღო. გაიღო და შემაზარებლად გაიჭრიალა მომაკვდავი ადამიანის გაშეშებულ სიტყვასავით. ჯიბეში ჩავიყავი ხელი, სიგარეტის კოლოფის გვერდით სანთებელა მოვნახე. მკრთალმა შუქმა წამის სისწრაფით გაანათა წინკარი და წლების წინანდელმა ლანდებმა ჩუმი ხმაურით ჩაირბინეს უცებ. სხვა დროს, ადრე, ბავშვური წმინდა თვალებით რომ დავრჩენილიყავი ასე სიბნელეში, შემეშინდებოდა ალბათ, მაგრამ ახლა საერთოდ არ ვგრძნობდი შიშს. სულ სხვა გრძნობები მერეოდა სადღაც სილრმეში. ხმელ იატაკზე ორი ნაბიჯი გადავდგი და ისევ ინსტინქტურად გავწიე ხელი მარცხენა კედლისკენ. თითები ზუსტად მოხვდა ჩამრთველს, მბჟუტავი წათურა თამამად განათდა, თითქოს უსირცხვილოდ მომახალა ოთხ ოთახში გამოკეტილა სიმართლე.

არ ვიცოდი, საიდან დამეწყო. მძიმედ მოვატარე მზერა იქაურობას და მაშინვე მივხვდი — აქ ყველაფერი ერთ დროში გაშეშებულიყო, წლების სვლას ბევრი ვერაფერი შეეცვალა, ჩემგზა განსხვავებით... საიდანღაც კედლებში მყარად ჩამჯდარი სუნი მოდიოდა და დაჟინებით დასტრიალებდა გონებას, ანჯლრევდა ახსენებდა რაღაცას.

ჩუმი ნაბიჯებით გავიარე ცოტა და მეორე ოთახის კართა გაუცნობიერებლად შევჩერდი. ჩემი ოთახი, ერთ დროს ჩემი კულაზე დიდი მესაიდუმლე. საინტერესოა, ისევ ოცი წლის წინანდელი ნამდვილი ემოციებია ამ კარის მიღმა თუ აქაც გაუფასურდა ყველაფერი. რას დავინახავ, კარი რომ გავაღო? პატარა, მეოცე წებე, თექვსმეტი წლის ბიჭს სუფთა ღიმილით თუ ყველასათვის საყვარელ, ყველგან მიღებულ, შარვალ-კოსტუმიან ორმოცი წლის კაცს. იქნება ორივეს ერთად? და რას ეტყვინ ისინი ერთმანეთი? აქვთ რამე საერთო?...

გაუბედავად გავნიე ხელი წინ (ახლადა შევამჩნიე, მიკანკა-  
ლებდა). სახელურმა დაუნდობლად მაგრძნობინა სიცივე, აშერთ  
იყო, მე აქ უკვე აღარ მელოდნენ. ქრისტით გაღებულ კარში წინა  
ოთახიდან სუსტმა სინათლემ შეაღწია. სუსტმა, მაგრამ იმისთვის  
სავმარისად ძლიერმა, რომ გონების სიღრმეში დაწყობილი კად-  
რები შეეხსენებინა ჩემთვის. აქაც ჩავრთე ჩამრთველი და ჩემდა  
გასაკვირად, აქაც აინთო სინათლე (ჯერ კიდევ „მაშინ“, ყველაზე  
სწარაფად ჩემი ოთახის ნათურები ფუჭდებოდა). მანამდე უნახავ  
მოვლენაზე, კუთხეში მიმჯდარი წრუნუნები აირივნენ და სასწრა-  
ფოდ დაიშალნენ. ვიდექი, უბრალოდ ვიდექი და ვუყურებდი გახუ-  
ნებულ ფარდებს, დაჭიანებულ თაროებს, ჯერ ისევ ლამაზად  
გასწორებულ საწოლს და აქამდე უცნობ რაღაცას ვგრძნობდი.  
უფრო სწორად, ასმაგად უფრო მწვავედ განვიცდიდი იმას, რაც  
აქამდე მხოლოდ ყრუდ მანუხებდა. ერთხელ შემოვუარე ოთახს,  
მტვრიან მაგიდას მკრთალად აჩნდა თაგვების ნაკვალევი.

სასაცილოა და საპრალოა ადამიანი... უფრო სწორად, ცხოვ-  
რებაა დამცინავი და მერე ჩვენ საპრალოებს გვხდის. გაზრდაზე  
მეოცნებენი ანთებული თვალებით თავანეულები მივდივართ გაუ-  
კვალავ გზეზე, ერთხელაც არ გვასენდება უკან მოხედვა, ან თუ  
მოვიხედავთ მარტო იმის სანახავად, რამდენი ადამიანი ადევნებს  
თვალს ჩვენს სიარულს, რამდენი ათვალიერებს ჩვენს ნაკვალევს  
და მერე თავანეულები ისევ ვაგრძელებთ სვლას, სანამ მარტივ  
უაზრობამდე არ მივალთ, სანამ არ მივხვდებით, რომ ხორცისთვის  
გაცემული სული ყველაზე დიდი მცხვერპლია, ყველაზე დიდი  
დანაკარგია, სანამ არ გავიაზრებთ, რომ რაც ოცნება გვეგონა,  
დაცემა ყოფილა თურმე და რაღაც განსაკუთრებულის ძებნაში  
ყველაზე უბრალო და მარტივი ბედნიერებები დაგვიკარგავს.  
შეიძლება უბრალოდ ასეთი კანონზომიერებაა, შეიძლება არც  
არაფერია ამაში პარადოქსული, შეიძლება ჩემნაირი სენტიმენტ-  
ტალისტების გამონაგონი სევდა. ვინ იცის...

საოცარია, საათი მუშაობდა ისევ. ჯერ გონების ილუზია მე-  
გნა, იმდენად ცხადად გადავინაცვლე წლების მიღმა, რომ  
ნარსულის ბუნებრიობის ყველა ელემენტი გამიცოცხლდა-მეტქი,  
მაგრამ მერე მივხვდი, წვიმის წყლისგან ჩაჟანებული ისრები

ნამდვილად მოძრაობდა, ისევ ითვლიდა დროს (ვისთვის საწნუქა-  
რესოა). ზაფხულში, როცა ღამით ხშირად მელვიძებოდა, საათებ  
ნიკნიკს რაღაც გაურკვეველ მელოდის ვამსგავსებდი და ვიწყებ-  
დი ხოლმე ფიქრს, სანამ ისევ არ ჩამეძინებოდა.

ბანალურად უდერს, მაგრამ ყველაფერი ისე იყო, როგორც დაჭ-  
ტოვე, უფრო სწორად და ამ ე ტოვა; მაშინ ხომ არ ვიცოდი, რომ  
რამეს ვტოვებდი, მაშინ ისიც გათვალისწინებული მქონდა, რომ  
ერთ კვირაში ჩამოვიდოდი სოფელში და სხვენიდან მესამე თაროს  
ჩამოვიტანდი ძველი ნიგნებისთვის. მერე ნელ-ნელა, შეუჩრ-  
ნევლად, უგრძნობლად, უმტკივნეულოდ, შემპარავად ერთი კვირ  
ჯერ ერთი თვე გახდა, შემდეგ ერთი ნელი, სულ ბოლოს — ოცნ.

თან ისე, რომ მასპინძელიც ალარ გხვდება ვინმე. დედას შემდევ  
ისედაც ვიცოდი, რომ ნლების შემდეგ აქ დაბრუნება ძალიან  
გამიტირდებოდა. საერთოდ რაღაცის გაგრძელებას თავიდან დაწ-  
ყება სჯობს ხოლმე, მაგრამ ახლა ვეღარც ვიწყებ რამეს, ვეღარც  
ვაგრძელებ.

## ნათელა მელიქიძე

### ხემ პამაზონი მაისეა

მაჰმადიანი მესხების გასახლებას მთიულთა, იმერელთა და აჭარელთა ჩამოსახლება მოჰყვა სამცხე-ჯავახეთში. შემოდგომა იყო, მოსავალი თითქმის დაბინავებული. გამოიზამთრეს და გაზაფხულიც მოვიდა. აყვავდა ირგვლივ ყველაფერი და თუთის ხეებს ნირი არ შეუცვლიათ. დგანან ეს ცადანვდილი გოლიათები, კაცი ხელს რომ ვერ შემოუწვდენს და ფიქრადაც არ მოსდით, კვირტი გამოილონ. უტრიალეს აქეთ-იქით მთიულებმა და დაერივნენ ცულით ხელში: გამხმარია, უნდა ავჩეხოთო. თუთას გვიან გამოაქვს ფოთოლი, აცალეთ და ნახავთ, რა ნაყოფი ექნებაო, - უთქვამთ ადგილობრივებს. მესხეთი განთქმულია თუთით, მაგრამ ხერთვისის ცერისიმსხო თუთასთან თუთა ვერ მოვა. ივნისის თვეშივე ყელდამტკბართ მიუწერიათ მთიულეთში, ჩამოდით, ხემ კამფეტები მაისხაო. ყველა თუთობას იხსენებენ ამ ამბავს და ოხუნჯობენ, მთიულთა ვითომ გასაჯავრებლად, სინამდვილეში კი თუთის საქებ-სადიდებლად.

თუთის ხეზე ასვლა ყველას როდი ძალუძს, სანთი უნდა და გამშედაობა. ამიტომ ბაშვობიდანვე აჩვევენ, როგორ მოექცნენ თუთას კენწეროში, როგორ დაარხიონ. ნოდო თერთმეტი-თორმეტი წლისა უკვე გვირხევდა საშუალო თუთას, იაკო ბიძა შეეხიდებოდა, მაღლა ანევდა ტანით, ტოტს რომ მისწვდომოდა, ფეხს დაუჭერდა, რომ მომაგრებულიყო და ასწავლიდა, რა თანმიმდევრობით გადაადგილებულიყო ტოტიდან ტოტზე. ეგ არის რომ, მალე იღლებოდა (რა გასაკვირია, დიდი კაცებიც ვერ უძლებდნენ ამ ხეებთან ჭიდილს), ბეზრდებოდა და იქიდან გვეძახდა, უნდა ჩამოვიდეო, ან მეფსია და რა ვენაო. ბიძას შეგულიანებული ზემოდან გადმოაჭინჭილებდა ხოლმე. ჩვენ დაბლა ვიგუდებოდით სიცილით. დედა იმ ჯეჯიმს სხვა საფეხნებისაგან გამოარჩევდა და ვერდზე მიდებდა გასარეცხად. პავლე პაპა ხუმრობდა, ხომ

ტკპილია ეს თუთა და უფრო გემრიელი იქნებოდა, ეთერას იქ  
ჯეჯიმიდან რომ არ გადაებერტყაო.

ტოლოშელებს თუთის არაყის დაგემოვნებაში ვინ შეედრებოდა  
და განთქმული იყო ჩემი სოფლის თუთის ნაური. გათენებას  
ერთად ხვდებოდნენ სატალაოს მთები და არაყთან ნაზიარები  
ტოლოშელები. ვინ დაასწრებდათ?!...

ერთხელაც, არცთუ დიდი ხნის ნინ, როცა სახელმწიფო გზების  
მოწესრიგებით იყვნენ დაკავებული, ტენდერში გამარჯვებული  
კომპანიის თანამშრომლებს ტოლოშის მისასვლელთან მოუწიათ  
პურისჭამა. ერთი ტოლოშელიც შემოესწროთ და ბევრ საინტე-  
რესო ამბავთან ერთად თუთის სიკეთეზეც ესაუბრა, ისე როგორ  
დავშორდეთ, თუთით არ გადღეგრძელოთო, სოფელში ავიდა და  
არაყი ჩამოიტანა. სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან ჩამომსხ-  
დრებს დაუსხა, ადლეგრძელა და სულმოუთქმელად გადაჰკრა  
სავსე ჭიქა. კამფეტ!- დააყოლა რიხით. ეს ალბათ იშვიათი რამაა,  
გაიფიქრა ერთ-ერთმა სტუმართაგანმა და მიბაძა არყის მაქებარს.  
დაილოცა და გადაუძახა. მაგრამ რაც ტოლოშელების გაწვრთნილი  
ყელისთვის შაქარ-შარბათი იყო, ამ მიუჩვეველ კაცს ბომბად  
მოეჩვენა. თუ ამან კამფეტის გემო იცოდეს, მე კაცი არ ვიყოო, -  
ძლივს ამოისუნთქა.

თუთაძეებს უცხოვრიათ სოფელში, ახლა ამ გვარის არცერთი  
ნარმომადგენელი არ შეგხვდებათ მესხეთის მინა-წყალზე (თოთა-  
ძეები კი არიან ჯავახეთში, რაც იმავე გვარის ფონეტიკური სახე-  
ცვლილებაა). გამაჰმადიანებულთა გასახლებისას გაურკვევიათ,  
რომ ერთი ნაწილი ამ გვარისა ყოფილა, მაგრამ ნინასწარი აღწე-  
რისას თავად არ გაუმხელიათ მემკვიდრეობითი სახელი და ვინ  
დაინდობდა...

ხარობს თუთა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, თუთაძეთ  
ნასახლარზეც, ბევრი კარგი ამბის მომსწრე, სიავის მომსწრეც და  
ატკბობს თავისი ნაყოფით დიდ-პატარას.

ვაი და ვაი! როგორია ქართველი მუსლიმი რომ იტყვის, ქართველი არა ვარო... 1937 წელს მოსახლეობის აღწერისას კომისიის წევრები გაუოგნებია გამაჰმადიანებულ ქართველთა პასუხებს ეროვნებისა და რელიგიის დასაზუსტებლად: მუსლიმანი, თურქი. ეს ადრე იყო, საუკუნის წინ! როცა მათ მომავალს ბურუსი ეხვია და გაორებულნი თურქეთიდან ელოდნენ ხსნას. მაგრამ ახლა ამას რომ განაცხადებ, ან სულელი ხარ, ან არაფერი გსმენია შენი ჯიშ-მოდგმის ისტორიიდან. ყველაფერი უცოდინრობიდან მოდის! ცოდნას მოაქვს სიყვარული, თავისუფლება, შეცნობა საკუთარი თვისა! ორმოცდაოთხში გადასახლებას სწორედ ის ოჯახები ვერ გადაურჩნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ თურქები იყვნენ, მოუხედავად იმისა, რომ ახსოვდათ, როგორ გაუმაჰმადიანეს მამაპაპა, რომლებიც მალულად ინათლებოდნენ და მარხვასაც ინასავდნენ. ხომ გსმენიათ იდეოლოგიის შესახებ? რასაც ჩაგჩიჩინებენ, მერე შენც იჯერებ, რომ ასეა. თათრები ხართო, სკოლაშიც თურქულად უნდა ისწავლოთო! ითხოვდნენ ქართულ სკოლას და ქართულ განათლებას, მაგრამ „ვაი ქართველების“ ხელშეწყობით შეც მიუწვდომელი აღმოჩნდა. ქართული ლაპარაკი ეკრძალებოდათ, ქართულ, ქრისტიანულ, შესისხლხორცებულ სახელებს უცვლიდნენ და ჰასანად, მაჰმედად, გულხანუმად იხსენიებდნენ, მოუშალეს გვარები, სარწმუნოება, ენა... თუმცა ბოლომდე ვერა, აქა-ი მაინც ღვიოდა ხსოვნა ქრისტიანობისა, ხსოვნა ქართველობისა!

ჩემი ბაბო-პაპა ჩვენთვის, შვილიშვილებისთვის, არასაჭირო ინფორმაციას საიდუმლო უნით, „თათრულად“ ამცნობდნენ ერთურთს და თავისი ასაკის მეზობელ-მოკეთეებს. ჩვენც, ცოტა უფრო დაინტერესებულები, ხანდახან გამოვტყუუებდით ფრაზების შინაარსს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ჩვენი „შესამკობელი“ იყო. მერე ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა ეს ჩვენთვის გაუგებარი მეტყველება და აღარც ჩვენ გვანაღვლებდა, რაზე ჩიფჩიფებდნენ მოხუცები.

ახლა წინაპართა თაობა გენდეშისა და მელაჯვარას სასაფლაოებზე სამუდამო ძილს მისცემია. ბევრ კითხვას გაეცემოდა

პასუხი, ბევრ ამბავს გავაცოცხლებდით, მაგრამ დრო ვის შეუჩერებია...

ეროვნული  
სისულური

აქაურებისა და ჩამოსახლებული აჭარლების ისტორია ბევრი რამით ჰეგავს ერთმანეთს, ტკივილი და დამცირება არცერთისოფის ყოფილა უცხო. სოფელ ივერიაში 75 წლის ქალბატონმა გვიმას-პინძლა, სათნოდ მზირალმა, ღიმილიანმა. საუბარს შევყევით. ეთერ კოჩალიძე-გელაძე რიყეთიდან დანისპარაულში გაუთხოვებიათ, დანისპარაულიდან გადმოსულან აქ. მამამთილისგან გაუგონია, რომ გელაძები, ოთხი ძმანი, გურიიდან წასულან აჭარაში. თურქების შემოსვლისას გავმუსლიმანდითო. ძალიან ცუდი დრო იყოო. ჩვენთან სოფელში რო შემოსულა განათლება, დედამთილი იტყოდა, აუცილებელი იყო თურქული ლაპარაკიო, ლოცვაო, დღეში შვიდი სიტყვა მაინც უნდა გეთქვა თურქულადო, გვაძლებდნენო...

სახლი დიდი ჰქონიათ, მათთან ყოფილა სკოლა. გურიიდან მოსული ოთხკლასდამთავრებული მასწავლებლებიც მათთან ჩჩებოდნენ. იმდენი რო, წერა-კითხვა სცოდნოდათო. ოჯახზე დიდი გავლენა მოუხდენია ამ სკოლას და გურიიდან ჩამოსულ მასწავლებლებს. დედამთილს „მისით“ უსწავლია, „უფრო ახალი მოსწონდა და და მეზობლები ცოტა ისე უყურებდნენ - გაქართველდათ“. მეუღლე გეოგრაფიის მასწავლებელი ყოფილა. პედაგოგობა ოჯახის ტრადიციად იქცა, რძლებიც მასწავლებლები ჰყავს, ერთი დანისპარაულში, მეორე - ივერიაში. სამი შვილისა და ექვსი შევლიშვილის ბებიაა ქალბატონი ეთერი. ღმერთმა უმრავლოს შთა მომავლობა!

კოჩალიძეთა გვარს გამუსლიმებამდე ჰქონია წიგნები, მთ შორის „ვეფხისტყაოსანი“, ჰყოლიათ ღორები, მდინარის პირას უცხოვრიათ და ყრუ ღელები დაუმალავთ პირუტყვიცა და წიგნებიც. ღორები დახოცილა, წიგნები „რაფერ ჰქონდათ დამალული“ რომ გადარჩა და ოჯახში დაუბრუნებიათ. „რო გამუსლუმ წებულან, დიერქვათ ჩახალოლლები“, ბაბუამისის მარა ყოფილ ქრელთვალებიანი და იმიტომ. ქალბატონ ეთერსაც ჩახალა თუ ლები აქვს, სანდომიანი პირისახე, რაღაცნაირი სიმშვიდე გვუზლება მასთან სიახლოვეს.

მამამისის, ხასანი, დედმამიშვილებში უმცროსი, მოლა ყოფილა, რო შემოსულა სწავლა-განათლება, დედისთვის უთქვამს: **ახლა** ახალი დრო შამოდის, თუ ნებას დამრთავ და არ დამწყევლი, წავალ და ვისნავლიო. ჯერ ბათუმის პედსასწავლებელში უსწავლია, „მერე იქიდან წევდა ქუთაისში“, დაშსახურებული მასწავლებელი ყოფილა. ეთერის ბებიას ეშინოდა, არ გაქრისტიანდესო. ახლაც ბევრი არიან ახალგაზრდები, რო ჩვენ ქართველები არა ვართო. ეროვნება და სარწმუნოება ერევათ, - თქვა დანანებით მასპინძელმა.

„დედაჩემი ობოლი ქალი იყო და აინტერესებდა, რო ლოცვა სცოდნოდა. მამაჩემის უჩუმად დაანერინა დეიდაშვილს სალოცავები, ჩუმად კითხულობდა და მამამ მუუსაწრო. აართვა: რას კითხულობო? - აფერსო, - შეეშინდა, რო არ მეჩეუბოსო. უთხრა მერე მამაჩემმა, აუხსნა, რო კიო, კაიაო, ინამეო, მაგრამ ეს არც-ერთი სწორი სიტყვა არ არისო და შენ ამით უფრო აშავებო. შენ თუ გინდაო კაი იყოო, ეცადე, მაგრამ ამას ნუ კითხულობ, უფრო ცოდვა არიო. არ არი ნათარგმნი (არაბულიდან) სწორად და აგებო. არ ნეიკითხოო და იმის შემდეგ დედაჩემსაც არ წაუკითხავს. მამა ბებიასთან არ ამბობდა, თორემ იცოდა ყველაფერი. მერე გევიზარდეთ ჩვენ. მაშინ ნესი იყო, მეშვიდე კლასში ვიყავ, რო დამნიშნეს. უნდა მესწავლა, მამამთილმა შეპირდა, განათლებას მივცემო, მაგრამ რომ დავამთავრე საშუალო, მამას ყელის სიმსივნე გაუჩინდა და ვიდა მასწავლიდა“.

„რო მოვედი გელაძეებში, არ შეიძლებოდა, სახე დახურული უნდა გქონოდა. მე არ მეხურა ლეჩაქს ვეძახდით, თავსაფარი, არც დამახურა ჩემმა დედამთილმა. რომ უთხრეს მეზობლებმა, რა ქენიო, გააქართველეო? ჯერ ერთი, ნასწავლი სახლიდან მეიყვანე და ასე რატომ ატარებო? - მისი ქმარი სწავლობსო (მაშინ სტუდენტი ყოფილა ეთერის ქმარი), ესეც იმ პირობით მყავს მოყვანილი, რო უნდა ვასწავლოო. თუ ვერ ვასწავლეო და არ იქნა, ამას ქველებურად მაინც არ ვატარებო. ვინმე რამეს ვეღარ ამბობდა, რო მიცავდა, მიტომ! მერე უკვე წამოვედით აეა“.

რიყეთში, მათ ეზოში, დიდი შავი სახლი მდგარა, ძველი, ბებიის მათქვამით, „ტაიანთი სახლი, დედის ძმის სახლი. არ ვიცი, ძველი ჰერიო რა პქონდენო და თათრული გვარი სადით-ოღლები. მერე

ნასვლა რო იქნაო, წევიდნენ, გადიპარნენ თურქეთში. ეს სახლი  
რო დეიშალა, ქვეშ ნახეს ჭურები იყო თანდათანობით, კომპლექს  
ტი. ბებიაჩემა რო დეინაზა, იტირა: ვინ იცისო, რამდენი წლის ნი  
იმათო, ეს გამუსლუმანება რო მოხდა, ხედაო, რა უქნიათო, აქ  
დაუმალიათო“.

რომ გათხოვდა, ნერგები მოუტანია მამამთილს ეზოში დასარ-  
გავად. ამოუთხრია მიწა, ამოვარდა თურმე ქვევრის ნატეხი. მოთ-  
ხარა, მოთხარა და დაშლილი ქვევრი არ უნახავს? დანისპარაულში  
არ ყოფილა ყურძენი, მაგრამ ქვევრი საიდან გაჩნდებოდაო?  
შემომლიმა.

P.S.

ეს ამბავი სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა ერთმა ფოტომ  
გამახსენა, საქართველო-აზერბაიჯანის სადაო მიწაზე უტყვი მოწ-  
მებად მოჩანს ჩამოშლილი ფერდობიდან მომზირალი ქვევრები...

## გურიაში

ტალღებთან ნებივრობის სურვილი ასობით კილომეტრს გაგა-  
ტარებს...

- ჩამოი? როის მიხვალ? - ამ კითხვას ვერ გაექცევი გურიაში,  
მაგრამ არა იმიტომ, რომ შენი სტუმრობა ეზედმეტებათ, ჩვეუ-  
ლებაა ასეთი. გურულ სითბოსა და ყურადღებას სხვაგვარი ეში?  
აქვს, გულს ეფონება. ვინ მოგაწყენს, ვინ დაგტოვებს მარტო? არა  
და არა! ერთის სტუმარი - ყველას სტუმარია. მერე იწყება ცხელი  
ხაჭაპურებიო, ცივ-ცივი მანონიო, მოხარშული სიმინდი და თხილი  
სულ გიმშვენებს სუფრას.

- აი, ახალი რძეა, მიირთვით;
- აი, ჭყინტი სიმინდი გესიამოვნებათ;
- აი, თხის ყველი და მჭადი გამომატანა დედაჩემმა;
- აი, ეს და აი, ის!...

შემოდგომაა და აქ მაინც თბილა. ყოველ შემთხვევაში გრძელ-  
მკლავიანი არაფერი ჩამიცვამს, გადაუღებელი წვიმების მიუხედა-  
ვად. წვიმა კი იცოცხელე! მესხეთში ასე რომ გაგძელდეს, მტკვარი

თბილისში ჩაგვიყვანს დედაბუდიანად! რას იწოვს ეს მიწაა... რომ  
გაივლი ჭყაპა-ჭყუპით, რიტმულ მუსიკად დაბორტებ, გეგონები  
გაუღენთილ ღრუბელს დააბიჯე. მარა მოდარება იცის ისე უცბად,  
ნამტირალევ ბავშვს კამფეტს რომ გაუწვდი და გაჩუმდება, მერე  
გაიღიმება და ავიწყდება, რისთვის მოალო პირი...

ღრმალელეში, სუფსის მახლობლად, სარიშვილების ოჯახში  
დავბინავდით, მზია ბებოსა და ნოდარი ბაბუას აშენებულ სახლში.  
სოფოს დაუინებული თხოვნით, ჩვენც ვიგემეთ გურული შემოდ-  
გომის შემობრძანება. ოდაში დაიძინეთ, ქვემოთ ნუ დაწვებითო.  
ეს ოდა კი გალაკულ ხეში დამშვენებული ზედა სართულია. ცხონ-  
და ამისი მომგონი!

წვიმიან დღეს ალბომის დათვალიერებაც მოვასწარი და წიგ-  
ნებში კირკიტიც. საოჯახო ბიბლიოთეკა მომენონა, გურამ შარაძის  
რედაქტორობით გამოცემულ ილია ჭავჭავაძის ტომეულებს ძლივს  
შეველიე...

ეზოში ყვავილები გვიცინოდნენ და სახლში - კედლები. მიუხე-  
დვად იმისა, რომ ნოდარი ბაბუას შთამომავლები თბილისში  
ცხოვრობენ, ეზო-კარს პატრონობა არ აკლია, ხშირად აკითხავენ  
მამაპაპეულ კერას, უვლიან, აწესრიგებენ.

ურეკს არ აკლდა დამსვენებელი, ზღვას და სანაპიროს მოსდე-  
ბოდა დიდ-პატარა. ფეხადგმულების ქვიშაზე ტანტალმა, აბარბა-  
ცებამ და ტაკოთი დასკუპებამ გამახალისა. ტირშიც მოვსინჯე  
ძალები და ზაზასა და მებატრონის გასაკვირად (მეც არანაკლებ  
გაოცებული დავრჩი), პრიზიც მოვიგე - ენაგადმოგდებული ცუგრია.

თავი შეგვაყვარეთ და ახლა მიდიხართო?

გურიაში არ ჩავსულვართ უსიყვარულოდ. რომც გაგვებედა,  
ქიდან უმისოდ მაინც არ გამოგვიშვებდნენ.

მომავალ შეხვედრამდე, გურულებო!



ცად აწვდილი მწვერვალები, „კლდის ვეფხვის“ ნატერაფალი მინა, მრავალი ამბის მომსწრე კოშკები და ძალიან, ძალიან მართალი ხალხი - ასეთია სვანეთი, თეთნულდისა და უშბას სიყვარულზე რომ გიაშპობს, ლამარიას სილამაზეს რომ გაზიარებს, ენგურის დაბადებას რომ გამცნობს, ხატნერის ორიგინალობით რომ გაოცებს.

აუცილებლად უნდა ახვიდე იქ!

და თუ გზას გურამ მარლიასნაირი კაცი გიკვალავს, ხომ იძირები და იძირები სვანთა სავანეში... დინჯად, აუჩქარებლად მართავს მიკროავტობუსს და არ გამოეპარება არც ერთი სოფელი თუ ნასოფლარი, ფერდსა და ხევში ჩაკარგული მოსახლეობა. ამ კაცმა ყველაზე და ყველაფერზე სხვანაირი მოყოლა იცის, სიყვარულით, გულიანი...

სვანეთსა და სამეგრელოში გაზრდილი, აფხაზეთში დასახლებული, მერე იქიდან ომსა და უბედურებას ძლივს გამოლწეული, საკუთარი სამი შვილისა და სხვისი ორი შვილის გამზრდელი, სამოც ნელს გადაბიჯებული ბიძია გურამი სიმღერით ხვდება ალიონს, უჭრის კალამი და ფლობს რამდენიმე ენას. მის გვერდით ცუდი ვერ იქნები, გადამდებია მისი კაცომოყვარეობა, უამრავი მეგობარი ჰყავს. ერთხელ შეხვდები და არასდროს დაგავიწყდება.

ომის ქარცეცხლში დანდობა მტერს არ სჩვევია და იმ პატარა ბიჭებსაც ლოგინში დაუხვრიტეს დედა, უპატრონოდ დარჩენილები „წითელმა ჯვარმა“ ბრძოლის ველს გამოაცილა და ბავშვთა სახლს მიაბარა. იქიდან გაპარულებს, მშივრებს, შემინებულებს, დაზფრთხებს თბილისში, სადგურის მოედანზე, გადააწყდა გურამი, სახლში წამოიყვანა და მეუღლეს: ჩვენთან გაიზრდებიან. მაგრამ ამბის შემტყობარნი (გაუსაძლისი დროის გათვალისწინებით) შებუდავდნენ შემფარებელს, სახლში რომ მიიყვანე, მეუღლემ რა გითხრაო? გურამიც ჩვეული ღიმილით: მეუღლეც მე მოვიყვანეთ გითხრაო?

ბიჭების თანატოლი გოგოები ჰყავდა გურამს და ლუკმას თუ ნაბრად უნანილებდა. ადვილი არ არის, უდედმამობა არ აგრძნობინო ექვსი და რვა წლის დაწიოკებულ ბავშვებს. მერე თვითონაც

შეეძინა ბიჭი. პატარა განსაკუთრებით შეეჩვია ძმებს, ღამითაც არ სცილდებოდა, მათი საწოლისკენ მიბობლავდა და შუაში ჩაუწევა ბოდა. მძინარეს თავისთან გადაიყვანდა მამა და დილით გაღვიძებული კივილით აპროტესტებდა ამ მოტაცებას.

დღე და ღამე არ ეძინა, ან რა დაააძინებდა ხუთი შვილის მამას. ახლა დავაძინავე ყველა და ცოტა ამოვისუნთქეო.

გათენებას ასწრებს ადგომას. სადაც არ უნდა იყოს, დილის ვარჯიშს არ გამოტოვებს, მერე სამსახურისკენ მიიჩქარის. სწამს, რომ სულის ამინდი განაპირობებს წვიმას, ქარს და თოვას. ჰოდა, თუ გინდა უამინდობა არ შემოგეჩვიოს, სიმღერას უნდა დაუმეგობრდე, პოეზიას უნდა დაეძმობილო!

შესანიშნავი ხმა აქვს ბიძია გურამს (ანსამბლ „ჩელაში“ მღეროდა), ცეკვაც უყვარს და ფერთა გამაც. ნიჭი შვილებსაც გაუნანილა: უფროსი ქალიშვილი მღერის და ცეკვავს, უმცროსი - ხატავს. ვაჟიშვილის პატარა პაპის დანახვაზე აღარავის ეკარება: პაპა მისია!

სულ ცოტა წუნუნი და შელაპარაკება შუბლს შეუჭმუხნის და მგზავრებს „მე შროშანი მეგონაო“ წაუმღერებს.

სვანთა ყოფა-ცხოვრებას, თავგადასავლებს გურამ მარლიას სახით უბადლო მთხოობელი ჰყავს. მე სამი დაუვინყარი დღე მაჩუქა სვანეთთან ერთად.

ახლა თქვენი ჯერია!

## 0103 სიყვარულისა ვთქვათ

ხომ არიან ადამიანები, არასდროს რომ არ გტოვებენ, იმქვეყნად წასვლის მერეც, ლამპრად რომ ანთიან ამ დალოცვილ წუთისფერები.

მოსე პაპა...

მოსე შარვანეული...

კიკაცობას, სტუმართმოყვარეობას, მამულიშვილობის სიმბოლო.

როგორ იცოდა ტკივილში თანადგომა, ყველას ჭირისუფალი იყო.

მისი კალამი სიყვარულს ემსახურებოდა.

ქორნილსაც სულ სხვა ეშვი ჰქონდა, როცა მოსე ბეჭედული  
სიტყვამზეობდა!

როცა მას ვსტუმრობდი, მინდოდა უფრო კარგი ვყოფილიყვი, უფრო გულისხმიერი, უფრო ყურადღებიანი. მასთან ურთიერთობით კარგი ქალბაც შემოგესწავლებოდა და კარგი კაცობაც.

ადვილი არ არის, თითქმის ოცდაათი წელი თავჯდომარეობდე სოფელს და არაფერი შეგეძალოს. მოსე პაპა ამამიც სამაგალითო იყო. „არ მახსოვს, განგებ ვიღაც დამეჩავროს. ბევრი დამიჯარი-მებია, საქმე რო გაუცდენია, გაუფუჭებია, გამიჯავრებია, ერთი რამ - ქალისთვის არ მიგინებია, - მეუბნებოდა მოსე პაპა და ისესენებდა ბიძის დანაბარებს: მეტყოდა, დიდი ძალა აქვს ხალხსაო, კოლექტივი ეგეთი ძლიერი არ არიო. შენაო ხელმძღვანელი ხარ, ვინცაო საქმეს აკეთებსო, ვინც შრომობსო, ჯერ იმ ხალხს მიხ-დეო, მშრომელებსაო, იმათი მფარველი იყავიო. ერთი კაპიკი რო დააკლოო, ის ერთი კაპიკი ათასი კაპიკის საქმეს წაგიხდენსო. კაცსაო თუ გული გაუფუჭდა საქმეზეო, ის საქმეს ვერ გააკე-თებსო, ამიტო ყველას უნდა უთხრაო, ვინც ხელმძღვანელიაო, ფერმის გამგეს, ბრიგადირსაო, არავის დააკლოთ არაფერიო. ეს არის ცხოვრებაო“.

მამის გარდაცვალების შემდეგ, დედის ავადმყოფობით შეწუხებულს, ძმასთან ერთად ხევსურეთში მოჯამაგირედ წატარა ბიჭს თავისი მზე ჰყოლია - მზექალა, ხაზეინის ძრიშვილი. „ერთმა-ნეთი გვიყვარდა, ბალლური სიყვარული რო არი, ისე. ტოლები ვიყავით. წამოვედისკე, აბა, მე ხო ცხვარში, ძროხებში დავდიოდი, როცა ოჩერედი მოდიოდა. ეს გოგო გამოეპარისკე თავიანთებს, წამაედისკე ან ხინკალს თუ მოხარშავდნენ, ან ხორცსა, გამამი-ტანისკე მინდოორში,“ - თბილი, ჟრუანტელის მომგვრელია ეს ბა-ვშვობის მოგონება.

„დანიშვნა ისე კი არ იყო, გზაში შეხვდებიან, ქალი რო ჩაუჭ-დება, გაპყვება და აი, მომიტაცესო! იქ იყო მოტაცება (მთაში!). ჩვენი მეზობლის ქალი, კაციას და მაიტაცეს ბექჩიოვლებმა, შეკ-ნეს მაგისი მამა. ბექჩიოვლების ქალი იყო ჩვენთან გათხოვილი, თურმე მაგ ქალმა ჩაუწყო საქმე. გაგვაგებინე, რო კაციაი სახლში

არ იქნებათ. მამისა, ხნიერი კაცი იყო, არ ეხათრებოდათ. შეატყობინობინა მაგანა, პირიმზეშია ცხვარშიო. ცხენებით მისულან ლამაზ კარებზე, დაუძახნიათ: კაციაო, გაგვიღე კარები, შეცვიდნენ, იცოდნენ სად ინვა მამამისი, ექანენ და თოკით დააკრეს საწოლზე. ეს გოგო, ელისო, თავის ლოგინიანად შეკონეს თოკით, გამაიყვანეს, დააკრეს ცხენზე, გადაკეტეს კარები და ნამოვიდნენ. გახმაურდა მაინც, ერთი ამბავი... ავიდნენ კაცასთან ლამე, შეატყობინეს. ამანაც ბიჭები შეკრიბა, გამოეკიდა. დახვედრია ტყეში. ხიდან უსროლნია და იმ ბიჭს მოხვედრია, დაუჭრია. შეშინებულებს დაუგდიათ ქალი და გაქცეულან. იქიდანვე სიძესაც შეატყობინეს, სადაც იყო დანიშნული ელისო და წაიყვანეს". ეხლაცაო მოტაცებულს მეტაბიან, მსაყვედურობენო, მაგრამაო მეუღლე კარგი მყავსო, კარგი შვილებიო, - უთქვამს წლების შემდეგ კაციას დას, გუდამაყრისკენ მიმავალ მოსე პაპასთან დამგზავრებულს.

- საძრახისი იყო მოტაცებული ქალი?
- საძრახისი იყო, აბა!

სიყვარულის გამოსარჩლება რომ იცოდა, ამის დასტურია მისი შუამავლობით შექმნილი ოჯახები. „აემის შატანკალი ვიყავ (გვერდით მჯდომზე მითითებს). ხერთვისიდან პავლე რო იყო დავლაშერიძე, იმის გოგო ჰყავ, ლიდა. სიმამრი გვიყვება, თათრები რო შემოვიდნენო, მოედვნენო ხიზაბავრას და ზეითო, ჩვენაო წავედით გალმა, ჩასაფრებული ვიყავით, ერთი ქვიდან რო მეორეზე გადავდიოდით, ერთი სალახანა ტყვია მომხვდაო. - ძია პავლე, რა არის სალახანა? - აი, ტყვია, რო არ იცის, სად მიდისო! ეგრე არ იყო? მერე ვიგონებდით. ახლა მე დავუხასიათე (სასიძო). იცნობდენ. ბევრი არ ვიკვლია, არა შაქრო? გამოვიდა ეგ საქმე. ზოგან ორ-სამჯერაც მივდიოდით, ზოგან უფრო ბევრჯერ. ამ სოფელში არ არი ოჯახი, რო მე არ მიმეღოს მონაწილეობა ან ჭირში, ან ლხინში.“

მერე უამინდობით შეყრილი ქალ-ვაჟის ტრფობისა თქვა მოსე ჰაპამ: „აქეთ გუდამაყარია, იქით - ფშავლის ხეობა. წაასხა მთიულ-მა ბიჭმა, გაშალა ცხვარი. მწყემსად არი. იქით კიდე ფშავლის გომა, ძროხები ყავს ამოყვანილი. რო ამოვიდნენ გორაზე, გოგომ

ბინა გაიკეთა საგრილობელში, გაშალა, გადაუშვა საქონელი ფერი და გაიკეთა. გაცემის შემთხვევაში, ნაბადით საჩრდილოებები გაიკეთა. გაცემის შემთხვევაში, ნაბადით საჩრდილოებები აქა! ერთმანეთს ეტრიფიან. ხო იცი, სიყვარული ღმერთის მოვონილია და მუდამ ხელს უწყობს. ეშმაკს უნდა ბოროტებაზე წაიყვანოს, ღმერთს კიდე - სიკეთეზე. ერთიც მაიღრუბლა ეს მოწმენდილი ცა, დაცხო სეტყვამ და ქარმა! ეს ცხვარი, საქონელი სულ ხეში ჩაყარა, ულრან ტყეში. ბიჭს ნაბადი აქ. დასველდა გოგო, სულ გაშიშვლებულსა გავს. წამოვიდნენ, ხო უნდა ნახონ, საქონელს უნდა მიხედონ. ბიჭს ნაბადი მკლავზე აქ გადაკიდებული გახდა:

- „- საიდან მოხველ, ქალაო, უცხო და უმეცარია?
- ვერ უყურებდი, ვაუაო, რო ჭექდა ავი დარია!
- ნაბადი მაქო, ქალაო, არ გავარდება ნამია.
- მენაც იმიტო მოვედი, მინდა გადავრჩე მშრალია.“

წესი იყო, თუ ბიჭი და გოგო ფიცს დადებდნენ, როგორც საკუთარი და-ძმა, ისე იქნებოდნენ, ჭირში, ლხინში ერთად, ან ეღალატებოდა მაგას.

- „- როგორ ენდობი მთიულსა, განა ფიც-ვერცხლი ვჭამია?
- ლამაზ ბიჭებთან წოლასა აღარც მენა ვარ ხამია.
- ეტყობა შენსა ძუძუებს, თოვლივით ჩამომდნარია“ და მოხვა ნაბადი...

ერთხელ ქორნილში (რო ამბობენ, ასეთი კაცია, ისეთი კაცია, აქებენ, ადიდებენ, ყველაფრით დადებითი და ერთი ნაკლი აქებენ, მარტოო - ქალები უყვარსაო!) მოსე პაპას უთქვამს: ის კაცი, ვისაც ქალები არ უყვარს, უნდა დააბრუნო იქ, საიდანაც მოვიდაო!

გადაბუირებულან მაყრები.

საკუთარ ლექსს ისე წაგიკითხავდა, თბილი ურუანტელ დაგივლიდა:

„შენ სიყვარულის მამგონევი, მადლი გწყალობდეს ღვთისაო; ძალა გაქვს ამირანისა, სიმაგრე სალის კლდისაო.

შენ ულამაზებ სიცოცხლეს ამქვეყნად კაციშვილსაო, უშენოდ ფასი არა აქვს წუთებსა სიცოცხლისაო.

უშენოდ ვერ გაუნათებს სხივი მნათობი ცისაო, უშენოდ გულს ვერ გაუთბობს ცეცხლი გამხმარის ხისაო.

ვინც სიყვარული არ იცის, ნადირი არის ტყისაო,  
 ტყისილად მოსულა ამქვეყნად, ჰაერს აფუჭებს სხვისაო.“ ეროვნული  
 „კაცს თუ ქალი არ უყვარს, ვინ ეშმაკი უნდა შეუყვარდეს, ის  
 რა კაცია! ქალი რო დაგიდგება გვერდში, ქალისად მიგდის გული,  
 ქალის გარეშე...“ - აუწყლიანდა თვალები მოხუცს, თანამეცხედრე  
 გაიხსენა, სათნოებითა და პურმარილით განთქმული ეთერი ბებო.  
 მერე მოგვიტრიალდა და დაგვლოცა: სიყვარულს გაუმარჯოს,  
 თქვენს გულებში რა სიყვარულიც არსებობს, იმ სიყვარულს დაგი-  
 ლოცავთ, იმ სიყვარულით ჩემი ხნისა და კიდე მეტი მოიყარენით!“

უფლისა და ამგვარი დალოცვის მადლით დავდივართ მის  
 შვილებთან, შვილიშვილებთან, შვილთაშვილებთან, მეგობრებთან,  
 მეზობლებთან, მოკეთეებთან ერთად ამ მადლიან დედამიწაზე.

## აკსელ ბაკუნცი

აკსელ ბაკუნცი დაიბადა გორისში 1899 წელს. გორისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1910 წელს ჩააბარა ექიმიაძინის გევორქიანის სემინარიაში. მიიღო კარგი განათლება, გაიღრმავა ცოდნა სომხურ ლიტერატურაში. მან პედა-გოგიური მუშაობა გააგრძელა ზანგეზურის რაიონის სოფელ ლორში. შემდევ სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ხარკოვში. 1923 წელს მან დაამთავრა ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და დაბრუნდა თავის სამშობლოში – ზანგეზურში. დაიწყო მუშაობა აგრონომად.

1924 წელს გამოქვეყნდა „პროენციული წერილები“, „ჩვენი სოფელი“, „წერილები სოფლიდან“, რომელმაც საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. შემდგომ წლებში დაიბეჭდა „ხოხობი“, „ალპური იები“ და სხვა.

აკსელ ბაკუნცი გარდაიცვალა 1937 წელს.

## ხოხობი

შემოდგომა იყო. ბრწყინვალე შემოდგომა.

შორიდან მოჩანდა ლურჯი მთები, ლამაზი ხევები და წითელი ასკილის ბუჩქები. მცხუნვარე მზისაგან გაშიშვლებულ ხის ფოთლებს ქარი მიაქანებდა ღრმა ხევებში. ძლიერი ქარისაგან ირხეოდა მსხვილი მუხის ხე. მოწითალო-მოყვითალო ტყეებზე და მოხნულ ყანებზე სიჩუმე ჩამოწოლილიყო. სუფთა ჰერში იგრძნობოდა პირველი თოვლის სუნი. სიცივისაგან გაყინულიყვნენ ახალგაზრდა ალუბლის ხეები. მზის ქვეშ იღიმოდა ბოლო ყვავილი და არტევდა ყვითელ თავს.

დილანდაი იჯდა კედელთან გადაჭრილი კაკლის ხის კოტორზე. მას ჩვეულებად ჰქონდა, რომ ყოველი შემოდგომის ბოლოს შესულიყო თავის ბაღში, მოენესრიგებინა ყველაფერი, მაგრად გადაეკეტა ბაღში ჩადგმული ქოხის კარი, რომ ზამთრის ცივ ღა მეში სიცივისაგან გაყინულ მგელს ან სხვა მხეცს არ დაედო ბინა. იგი ჩაფიქრებული გაჰყურებდა მთის ფერდობებს, სულგანაბული უსმენდა ყანებში გაყვითლებული, გახმარი სიმინდის ფოთოლთა შრიალს. ქარი აჭრიალებდა საბძლის კარს. მზის ჩასვლამდე და ლანდაი გაუნძრევლად იჯდა ხის კოტორზე, მას არ პეზრდებოდა.

კირიქით, ტკბებოდა ლამაზი შემოდგომის სურათით. დილანდა  
გულში ფიქრობდა, გაზაფხულზე ჩაკეტილი ქოხის კარს თვითონ  
გააღებდა, თუ სხვა ხელი?

ასე იყო ერთხელაც მრავალი წლის წინ, კვლავ დაიჭრიალა ქო-  
ხის კარმა. დილანდა მუხლებს ქვემოთ შიშველი ფეხებით სრესდა  
შავ ყურძენს, თავისთვის ღილინებდა რაღაც სიმღერას. სისხლი-  
ვით წითელი ფერის წვენი ჩამოედინებოდა ქვეშ შედგმულ ჭურ-  
ჭელში. ახალგაზრდა იყო იმ დროს, ძარღვებში სისხლი უფეთ-  
ქვადა, როგორც მაჭარი.

კარის ხმაურზე დილანამ თავი გარეთ გამოყო, მაგრამ ბაღში  
არავინ არ იყო. უცბად სიმინდის ყანაში შეამჩნია ლურჯი ფერის  
თავსაფარი. იგი კარს უკან დაიმალა. მან კისერი წაიგრძელა, რო-  
გორც კაკაბი გადაყვითლებულ მინდვრებში სულგანაბული უსმენს  
ხმაურს. ყანიდან გამოვიდა ახალგაზრდა ქალი, როგორც ირემი  
ტანის ნაზი რხევით ნელი ნაბიჯებით გაემართა საბძლისაკენ. ეს  
სონა იყო.

თავასაფრიანი პატარძალი, თეთრკბილებიანი ის გოგონა, რო-  
მელიც ხმამაღლა იცინოდა, ჰქონდა ზარივით წკრიალა ხმა. იგი  
რუში ჩაყოფდა თეთრ ფეხებს, დილანი კი წყალს ასხამდა მის  
მზინეარე ხვეულ თმებს.

პატარძალი ნელი ნაბიჯებით გაემართა საწნახელისაკენ და გუ-  
ლუბრყვილო ფრინველის მსგავსად შევიდა ლია კარებში. უცბად  
დაინახა ის, შეკრთა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მაგრამ  
მხურვალე ხელმა სწრაფად დაკეტა საწნახლის კარი. ვინმე მოვა -  
დილან, გთხოვ, კარი გააღეე. მან ქალის თხოვნა არ შეისმინა და  
მეღავებში ჩაიკრა. მოწყურებული დაეწაფა მის წითელ ტუჩებს.  
სონა ყველანაირად ცდილობდა მისი მკლავებიდან დახსნას, მაგ-  
რამ ამაოდ.

ისინი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. მათი სიყვარული დაბა-  
დებულიყო შეუშმევლად, როგორც ერთ ღამეში იშლება ლურჯი  
ია. რუშის ნაპირზე, ბაღებში, მინდვრებიდან ძნების ზიდვისას,  
ზაფხულის მთვარიან ღამეში მუშაობისას, ყველგან მერცხლის  
მსგავსად ჭიკჭიკებდა ეს სიყვარული, სანამ მომწიფდნენ ისინი.

ერთხელაც მეზობლის ზღურბლზე ფეხი შემოდგა პირბადეჩაშო  
ფარებულმა პატარძალმა, მას თვალები ჩაწითლებული ჰქონდა  
ეს სონა იყო.

ქორწილიდან ოთხი თვის გასვლის შემდეგ, ისინი შემთხვევით  
შეხვედროდნენ ერთმანეთს ბალების გზაზე. დილანას შეეჩერებია  
იგი და გამოეკითხა მდგომარეობა. სონას უხმოდ აუჩეჩია მხრები  
და სწრაფად გამობრუნებულა.

შეხვედრას აეღელვებინა იგი, მაგრამ ადრინდელი სიახლოვე,  
სიყვარული შორეულ ქვეყანაში არსებულ ფრინველს ჰგავდა, რო-  
მელიც არასოდეს ჩამოფრინდებოდა მისი სახლის ზღურბლზე.

უცბად ეს ფრინველი ჩამოჯდა მის მხარზე.

რატომ მოვიდა სონა ბალებში, მონატრებოდა ბაშვობაში გატა-  
რებული ადგილები, რუები, ბუჩქები, საწნახელი თუ რა? ბოლომდე  
ვერ გაერკვა დილანდაი.

რამდენჯერმე მიუახლოვდა სონას, სცადა დალაპარაკება,  
მაგრამ ქალი უარზე იყო.

წადი დილან! თავი დამანებე, აღარ შემხვდე.

მათ ერთმანეთი აღარ უნახავთ.

\*\*\*

დილანდაი გვიან ღამით დაბრუნდა სახლში. მთელი დღის  
განმავლობაში დაეხეტებოდა ბალებში, წყლის ნაპირზე, ჩაფიქრე-  
ბული გაჰყურებდა მთებს, მაგრამ ვერსად ვერ დაინახა სონა.  
მთვარიანი ღამე იყო, უღრუბლო ცა. უბერევდა ღამის ნელი სიო.  
დილანდაი წამოწვა ზვინთან, მაგრამ არ დაეძინა.

ჩაცელილ ბალახში ათასნაირი ყვავილი ერია, რომელთა სურ-  
ნელი ათრობდა მას, თითქოს სონა წოლილიყო ამ ბალახებში და  
თავისი თავსაფრის სუნი დაეტოვებინა.

გამთენისას გაიფანტა ღრუბლები და ვარსკვლავები, გაიღვი-  
ძეს ყვავილებმაც. მზის პირველ სხივებთან ერთად გადაყვითლუ-  
ბულ ყანებში გაიღვიძა კაკაბმაც. იგი გამუდმებით კაკანებდა-  
უფრო შორიდან კი გაისმოდა ხოხბის ძახილი.

დილანდაი ფეხზე წამოდგა, მხარზე თოფი წამოიკიდა და გაი-  
ხდა ტყისკენ, საიდანაც მოისმოდა ხოხბის ხმა. გული არ უშვრუ-  
ბოდა, რომ ჩასულიყო ბალში, დაენახა საწნახელი.

დილანდაი ბოლთას სცემდა დანამულ ბალახზე და ტკეპნიდა  
ახალ ჩაცელილ თვეს. ჩაფიქრებული და თავდალუნული ხანდახან  
თავს გაასწორებდა, კისერს წაიგრძელებდა ღობეებსა და ალუბ-  
ლის ხეებს შუა და იყურებოდა შორეული მთებისკენ.

აგერ ის ასკილის ბუჩქი და ბრტყელი ქვა, რომელზედაც მეცხვა-  
რეები მარილს ახლაც ყრიან ცხვრებისათვის.... ძნებს ეზიდებოდ-  
ნენ ის და სონა. მზეს დაეწვა გოგონას სახე და ოქროსფერი ნაწნა-  
ვების ბოლოები. თმებზე ეყარა გაყვითლებული ნამჯის ნამტვრე-  
ვები.

ყანებიდან დაბრუნებული ცხენები ისვენებდნენ ამ ქვასთან. ის  
ჯერ სონას სვამდა ცხენზე, მერე კი თვითონ ჯდებოდა თავის  
ცხენზე და მიდიოდნენ ყანებში.

ერთხელაც სონამ სთხოვა, რომ ერთად დამსხდარიყვნენ. მეორე  
ცხენი კი მათ უკან მისდევდა. წინ სონა იჯდა, უკან კი ის. მას  
ერთი ხელით აღვირი ეკავა, მეორე ხელი კი შემოხვეული ჰქონდა  
სონას სუსტ სხეულზე. მისი ნაწნავები ედებოდა დილანდაის სახეს.

მეორე დღეს, როცა ქვასთან მივიდნენ, მან სთხოვა ისევ ერთ  
ცხენზე დამსხდარიყვნენ. სონა არ დაეთანხმა და აუხსნა, რომ  
დედამ უასაყვედურა და უბრძანა ცხენზე ცალკე ჯდომა.

რატომ?

სირცხვილია – უპასუხა გოგონამ და გაიღიმა.

დილანდაი ნაცნობ ყანას, რომ მიუხალოვდა, შეჩერდა, თოფის  
კაუს დაეყრდნო და გაიხსენა. ერთ დროს სონა ბალახებისაგან  
ასუფთავებდა ამ ყანას, ხელებში ეკლები ესობოდა, შუბლიდან  
ოფლის წვეთები ჩამოსდიოდა. მას საჭმელი მოჰქონდა მთიბავი-  
სათვის.

ყოფილიყო, ნეტავ ასე ყოფილიყო, თვითონ ყოფილიყო მთიბავი,  
მათი ყანა მოეცელა, სონას კი საჭმელი მოეტანა და დამჯდარიყო  
მის გვერდით.

დილანდაიმ უკან მიიხედა გზისკენ, მაგრამ არავინ არ ჩანდა.

ჩანდნენ მხოლოდ შემოდგომისაგან გაშიშვლებული ხეები და  
ყანები, აქა-იქ კი მოჩანდა წითელი ასკილის ბუჩქები. უცებ ერთ-  
ერთი ბუჩქიდან გაისმა კაკბის ძახილი.

კა... კა...

ყოფილიყო, ნეტავ ასე ყოფილიყო, თვითონ ყოფილიყო მთიბავი.  
ჩაცელილ ყანაში ფრინველები ჩაცვენილ პურის მარცვლებს ჟენერალური კავდნენ. ორი ფრინველი ჩხუბობდა ერთი პურის თავთავზე.

დილანდამ მიწაზე დაიჩოქა და დაუმიზნა ერთ კაკაბს, მან თეთრი კისერი გვერდზე გადააგდო და ოთხივე მხარეს გაიხედა, დანარჩენებმა კი ხმა გაკმინდეს.

ქარმა ააშრილა ბუჩქები ისე, როგორც სონა აშრიალებდა სიმინდის გრძელ ღეროებს. ხმაური მოესმათ თუ არა ფრინველებს, ერთი-ორი დატრიალება მოასწრეს ჰაერში და დაეშვნენ დაბნელებულ ყანებში. მან გზა განაგრძო, რაც უფრო წინ მიდიოდა ბუჩქები უფრო-უფრო მატულობდა, აქა-იქ თითო-ოროლა ყვავილილა იყო შემორჩენილი. ყანების ბოლოში გავიდა, ტყიდან ცივმა ნიავმა დაუბერა.

ტყე ნაცნობი იყო, თუ სად დაედო საყვარელი ბინა ხოხობს, ბნელი ტყის ოქროსფერ ფრინველს.

ტყეში ხავსიანი ქვები და ქარისაგან წაქცეული საუკუნოვანი ხეები იყო, რომლებზეც სოკოები ამოსულიყო. კლდეებთან არ ვაყავი მისული, რომ უცბად გაისმა თოფის ხმა, რომელმაც შეაზანზარა მთელი ტყე. სიბნელეში გაიფრთხიალა ღამის ფრინველმა.

ნეტავ ვინ ნადირობს? – გაიფიქრა მან.

ფოთლები აშრიალდნენ. დილანდაი კედლის უკან დაიმალა. ხოხობი იყო, ის აფართხალებდა სისიხლიან ფეხებს და ნისკარტს ურტყამდა ცაცხვის რბილ ფოთლებს.

დილანდამ წინ წამოიწია, თოფი მიზანში ამოილო, მაგრამ კლდის ნაპრალებიდან უცბად ამოფრინდა ხოხობი, არა ერთი, არამედ ორი, სამი, ოთხი.....

ფრთხილია ხოხობი, ძნელია მისი მოკვლა, თითქოს ისე ახლოს გერჩენება, მაგრამ უცბად გაშლის ფრთებს და შორს გაფრინდება. ფრთხილია, წაიგრძელებს კისერს, მარცხნივ და მარჯვნივ გასხვდება, კიდევ უფრო დაიგრძელებს კისერს და ოთხივე მხარეს გაიხდება.

დილანდაი სამალავიდან გამოვიდა და გზა განაგრძო. იგი ჩაიქრებული ტკეპნიდა გამხმარ ფოთლებს და ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა გზას.

მივიღდა წყაროსთან, ხარბად დაეწაფა წყალს და ჩავიდა **ცაცხა**  
კავშირის ხევში. იქ ძალიან ბევრი ხოხობი იყო. მზეს გაეხურებინა  
ხავსიანი ქვები. ფრინველებს თქროსფერი ფრთები გაეშალათ მზე-  
ზე და თბებოდნენ, გახარებულები უძახდნენ დანარჩენებსაც.

მან თოფი დაუმიზნა ფრინველებს, იქაურობა თოფის კვამლში  
გაეხვია, აღარაფერი არ ჩანდა. ტყე შეზანზარდა, ხმაურზე დამ-  
ფრთხალი ფრინველები, სწრაფად გაფრინდნენ.

მხოლოდ ერთი ფრთებჩამოყრილი ჩავარდა ხავსიანი ქვების  
უკან. დილანდაი გაიქცა, დაინახა, რომ ერთი თეთრი ძალი  
გაუჩინარდა ბუჩქებში.

დილანდაიმ წაიგრძელა ხელები ფრინველისაკენ, მაგრამ დაჭ-  
რილმა ხოხობმა მკლავზე ჩაუნისკარტა და ზემოთ ამოფრინდა,  
ერთხელ კიდევ შემოჰკრა ფრთები და შემოდგომის ფოთლების  
მსგავსად დაეშვა ძირს.

დილანდაი სინანულით უყურებდა მომაკვდავ ფრინველს, მის  
დასისხლიანებულ ფრთებს. უცბად უკნიდან გაისმა ფეხის ხმა.  
უკან მოიხედა, გაოცდა, თვალები გაუფართოვდა, თოფი ხეებს  
უკან გადააგდო.

ტყის მცველი იყო, თვალებჩანითლებული.

მიუახლოვდა, დაილრიალა, სანამ გონს მოვიდოდა, მათრახი  
ჰაერში დაატრიალა და გადაჰკრა ბეჭქებზე. მას სიმწრისაგან მთე-  
ლი სხეული ეწოდა.

ტყისმცველი ხმამაღლა და გაბრაზებული უყვიროდა, თუ რატომ  
მოსტაცა ხოხობი.

ტყისმცველის მონადირე ძალი გაოგნებული ხან პატრონს  
უყურებდა, ხან დილანდაის, ხან კიდევ კუდს აქიცინებდა, ხმამღლა  
ყმუდა, გადი-გამოდიოდა სისხლიან ბუჩქებში, სადაც ცოტა ხნის  
ნინ დავარდა ფრინველი.

ისინი წასულიყვნენ, როცა დილანდაი გონს მოეგო.

დილანდაი ჩამოჯდა ქვაზე. მას ყველაფერი სტკიოდა. თითქოს  
წელზე გახურებული შამფურები დაედოთ. ის თვალმოუწყვეტლივ  
მისჩერებოდა ფრინველის სისხლიან ბუმბულებს და ნანობდა.

მზე ღრუბლებს ეთემაშობოდა. ტყეში სიჩუმე იყო. ხოხობი  
გაფრენილიყო შორს. ხავსიან ქვაზე ორი სიხლიანი ბუმბული  
დავარდნილიყო, ხოლო ბუჩქებზე – სისხლის წვეთები.

დილანდა ცხენით დაეშვა ხევში.  
მას სიზმრად გადაექცა ხოხობი. ძალიან სტკიოდა. მათთანები  
ადგილები, ფეხები უკანკალებდა. ფრინველის ნაზი და თბილი  
ბუმბული, სონას სხეულს აგონებდა.

იგი სახლში არ წავიდა. ყანების გვერდიდან ვიწრო ქვიანი  
გასასვლელით მივიდა საწნახელში. ჭრიალით გაიღო კარი, იგი  
წამოწვა ქვიან იატაკზე.

დილით, როდესაც მზის სხივმა შეაღწია საწნახელში, მაშინ  
გაიღვიძა დილანდამ. მან თვალები მოიფშვნიტა, ეტკინა, დასი-  
ვებული თვალები ჯერ არ დაცხრომოდა.

იმ დღეს იგი გაცოფებული მთელი ძალით სრესდა ყურძნის.  
შებლიდან სიმწრის ოფლი იღვრებოდა და ეწვეთებოდა ყურძნის  
წვენში.

შემოდგომა იყო, ბრწყინვალე შემოდგომა.

საწნახელის კართან დამჯდარიყო დილანდაი და თავჩაღუნული  
იხსენებდა წარსულ, გავლილ წლებს.

გასულ წელს ზაფხულში გარდაიცვალა სონა, მშობიარობას გა-  
დაჰყვა. იგი დიდი სინანულით დაიტირეს ოჯახის წევრებმა და  
ნათესავებმა. მეუღლემ სხვა ცოლი მოიყვანა, დილანდაიც დაქორ-  
ნინდა, მაგრამ გონებაში სამუდამოდ წარუშლელი კვალი დატოვა  
სონას სიყვარულმა, საწნახელმა, ლაუვარდისისფერმა პერანგმა.

მოპირდაპირე მთაზეა მისი სასაფლაო. საფლავის ქვა ხავსითაა  
დაფარული, წარწერები დიდი ხანია ავსებულა მიწით, თან გვერდ-  
ზეა გადაწოლილი და ნახევრად დამალული მიწაში.

იგი ლურჯი ფერის პერანგით დამარხეს. უკვე დიდი ხანია  
დალპა ის პერანგი და მისი ოქროს ხავსის მსგავსი სხეული.

რამდენმა შემოდგომამ გაიარა მას შემდეგ, უთვალავია, თვლა  
არ აქვს. მოხუცი ძლივს დააბიჯებს, ჯოხზე დაყრდნობილი, თვალ-  
ში სინათლე დააკლდა, ყურძნი სმენა. საწნახელის გვერდზე რუ-  
ხმაურიანად მირაკრაკებს, გადადის ხავსიან ქვებზე და ჩაედინება  
ხევში.

დილანდამ გაიხედა რუსკენ და ჩაიცინა. მან წარმოიდგინა ას-  
დლე, როგორც განცალკევებული ვარსკვლავი სიბნელეში ღამით  
ცაზე, გაიხსენა ის დღე, როცა სონა ფეხებს ჩაყოფდა წყალში და  
იცინოდა.

ოცნება გაუცრუვდა. წავიდა ტყისკენ.

ტყეში ხოხობი იყო. გაფრინდა იგი, ორი ბუმბული დატოვა-  
რბილ ხავსზე. ხოხბის მსგავსი იყო სონა, ყურძენივით შავი თვა-  
ლები ჰქონდა. ეს ყველაფერი ნლების წინ იყო, როცა საწნახელში  
ნურავდა ლვინოს და იხსენებდა წარსულ დღეებს.

ხოხბის მსგავსად გაფრინდა სონა, დატოვა სიმწარე და დარდი.

დილანდაი ფეხზე წამოდგა მიხურა საწნახელის კარი და რკინის  
საკეტით მაგრად დაკეტა, მომავალ გაზაფხულამდე. მოიხარა  
ძლივს წამოიკიდა ხმელი ტოტებისა და ფიჩების კონა და ბალიდან  
გამოვიდა.

ბაღში აღარავინ იყო.

მხოლოდ საღამოს ნიავისაგან შრიალებდნენ ხმელი სიმინდის  
ღეროები. გამხმარი ფოთლები გროვდებოდა ხან ერთ, ხან მეორე  
კუთხეში, ხანაც უიმედოდ და უხმოდ ცვიოდნენ შავ ორმოში.

1926-1932

## პირველი ქართული სკოლები ნიმუშინდის რაიონში

საქართველოს ყველა კუთხეს თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში, მაგრამ არ გადავაჭარბებთ უ ვიტყვი, რომ ქართულ ცნობიერებასა და სულიერებაში განსაკუთრებული ავტოგრაფი სამცხე-ჯავახეთმა დატოვა, რომლის როლი მართლაც განუსაზღვრელია, როგორც პოლიტიკური ასევე სულიერი და კულტურული თვალსაზრისით. მეოთხე საუკუნის დასაწყისში ჯავახეთიდან - კერძოდ ფოკიდან საქართველოში შემოვიდა კაბადოკიელი ქალწული ნინო და სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს ახალი ისტორია, მაგრამ იყო დრო, როდესაც სამცხე-ჯავახეთში იცვლებოდა პოლიტიკური, სოციალური და სულიერი მდგომარეობა და ეს კუთხე ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს ის საქართველოს განუყოფელ ნაწილად დარჩა. საუკუნეების მანძილზე მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ თავისი დაღი დაასვა ამ კუთხეს, განსაკუთრებით ჯავახეთს. დარჩა მხოლოდ საუკუნეების წინ აშენებული ეკლესიებისა თუ ციხე-სიმაგრეების ნანგრევები და ის დიდი მოუგვარებელი პრობლემები, რომლის წინაშეც დადგა საქართველო მეოცე საუკუნის ბოლოს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. აღმოჩნდა, რომ ჯავახეთში-განსაკუთრებით ნინონმინდის რაიონში (ყოფილი ბოგდანოვკის რაიონი) მოსახლეობის ოთხმოცდათხუთეტმა პროცენტმა ქართული ენა არ იცოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ამ რაიონის მოსახლეობასთან ურთიერთობა გაუჭირდებოდა.

კვლევამ აჩვენა, რომ რაც ბოგდანოვკის რაიონი არსებობდა, იქ ქართულ ოჯახებს არ უცხოვრიათ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შერეულ ოჯახს. ამ ოჯახების ბავშვებმა ქართული ენა არ იცოდნენ და ისინი სახლში ძირითადად რუსულ ან სომხურ ენაზე საუბრობდნენ. რა თქმა უნდა, შესაბამისად არც ქართული სკოლები არ არსებობდა. გასაკვირი არ უნდა იყოს ასეთ ვითარებაში მოსახლეობის არა კეთილ განწყობა ქართველებისა და ქართული ენისადმი.

მეოცე საუკუნის ოხმოციან წლებში დუხაბურების სათვის-  
ტომოდან წამოიქმნა ასეთი საკითხი (მათი სათვისტომ კანადაში  
იყო) რომ დუხაბურები მათი დაფინანსებითა და დახმარებით  
დაუბრუნდებოდნენ იმ საცხოვრებელ ადგილებს, საიდანაც ისინი  
იქნენ გადმოსახლებულები საქართველოში - კერძოდ ჯავახეთში.  
ბევრი ოჯახი აღმოჩნდა მსურველი უკან დაპრუნებისა. მათ მი-  
მართეს საქართველოს იმდროინდელ მთავრობას დასახმარებლად,  
რათა მშვიდობიანად, უსაფრთხოდ წასულიყვნენ საქართველოდან,  
დახმარებოდნენ სახლების გაყიდვაში.

მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდმა ბოგდა-ნოვკის რაიონში - კერძოდ, თვითონ რაიონულ ცენტრში, გორე-ლოვკაში, სპასოვკაში, ეფრემოვკაში, ორლოვკაში, სამებაში (ადრე ამ სოფელს კალინინო ერქვა) დაიწყო სახლების შესყიდვა, სადაც პარალელურად აჭარიდან სტიქით დაზარალებულ მოსახლეობას ასახლებდნენ. რა თქმა უნდა, ეს რთული პროცესი იყო და ბევრი შეცდომაც იქნა დაშვებული, რომელიც დღესაც გვახსენებს თავს.

ქართველების ჩასახლებით ნინოწმინდის რაიონში შესაბამისი ცვლილებები მოხდა. გაჩნდა შერეული სოფლები, სადაც ერთად მოუნია ცხოვრება ქართველებს, სომხებს და რუსებს. ცხადია, ამ სალხმა წლების მანძილზე გაიარა ადაპტაცია, შეისწავლეს ერთმანეთის ტრადიციები, დაიწყო მეზობლური ცხოვრება. ბავშვები კი ეზომ და ბურთმა გააერთიანა,

საჭირო გახდა ქართული სკოლების გახსნა, მაგრამ ეს ყველა-  
ფერი სირთულეებთან იყო დაკავშირებული, როგორც განათლების  
სამინისტროსთან, აგრეთვე ადგილობრივ ხელისუფლებასთან და  
მოსახლეობასთან. ჭირდა სკოლებისათვის შენობის მოძებნა. მაშინ  
მთავარი იყო გვერბობდა ოთხი კედელი და ამ კედლებისათვის ქარ-  
თული სკოლა დაგვერქმია.

1989 წელს ნინოზმინდის რაიონულ ცენტრში უდედმამო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში ნახევრად სარდაფში, ერთ ოთახში გაიხსნა პირველი მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც ორი მოსწავლე ჩაირიცხა - დავით მსხვილიძე და კობა ბალიაშვილი. დავით მსხვილიძემ ქართული სალაპარაკო ენა არ იცოდა. მათი პირველი მასწავლებელი იყო ზოია გელაშვილი. გახსნამდე საკლასო თახსს კაპიტალური

შეკეთება სჭირდებოდა, რომელიც ბავშვების მშობლებმა თავიანთი სახსრებით შეაკეთეს და თან ყურადღებას აქცევდნენ, რომ არავის დაეწერია.

1990 წელს ამავე შენობაში გაიხსნა პირველი ქართული საშუალო სკოლა. პირველ კლასში ხუთი მოსწავლე ჩაირიცხა. ესენი იყვნენ; გონიერი კეკიშვილი, თეონა გელაშვილი, ნინო ტაბატაძე და ჩვენთვის უკვე ნაცნობი ორი ბავშვი კობა ბალიაშვილი და დავით მსხვილიძე. სკოლის დირექტორად დაინიშნა გივი შემაბერიძე. სკოლაში ოცდაერთმა მოსწავლემ დაიწყო სწავლა. პედაგოგებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ და სკოლის პედკოლექტივიც შედგა. სკოლას ჩვენი თანამემამულის ღირსეული ქართველის იაკობ გოგებაშვილის სახელი მიენიჭა.

ამავე წელს გაიხსნა ქართული საშუალო სკოლები სპასოვკაში, გოროლოვკაში, ეფრემოვკაში და სამებაში. სპასოვკის სკოლის დირექტორად დაინიშნა იური ვანაძე, გოროლოვკის საშვალო სკოლის დირექტორად – ზურაბ ხუციშვილი, ეფრემოვკის სკოლის დირექტორად – თენგიზ ნაზლაიძე, სამების სკოლის დირექტორად – ქეთევან მარგიანი.

1991 წელს ნინოწმინდის განათლების განყოფილებაში დიდი წვალებითა და ვაგლახით დაიშვა ახალი შტატი ქართული სკოლებისა და არა ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების ინსპექტორისა და ქართული ენის სწავლების მეთოდისტის თანამდებობა. ინსპექტორის თანამდებობაზე დაინიშნა კლარა ფოცხვრაშვილი, ხოლო მეთოდისტის თანამდებობაზე ადგილობრივი კადრი, რომელმაც ქართული ენა კარგად არ იცოდა. ინსპექტორს ევალებოდა ქართული სკოლებისა და არა ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების კურირება.

სპასოვკის საშვალო სკოლა გაიხსნა რამდენიმე კერძო სახლში. ეროვნული მთავრობის მოსვლის შემდეგ სკოლას გადაეცა სპასოვკის მშენებარე კლუბის ნახევრად აშენებული კედლები, რომელსაც რამდენიმე წელიწადი მთელი საქართველო აშენებდა. ტელევიზია კი ყოველდღე აცხადებდა ამის შესახებ - ნახეთ რა ძლიერება ვართ ქართველები, სპასოვკაში სკოლას ვაშენებთო. ალბათ იფრებთ, დიდი სკოლა შენდებოდა თავისი დახურული თუ ლია სპორტული მოედნებით - არა სულ რამდენიმე საკლასო ოთახზე იყო

საუბარი. ერთმა ადგილობრივმა ქკვიანმა კაცმა მითხვა ნახევრად დაცინვის კილოთი - რა იყო რა მოხდა მთელი საქართველოში? ნებს სპასოვები ქართულ სკოლას, სად აშენებთ ამ სკოლას საქართველოში თუ ..... აი, ასეთი მკვეხარა ხალხი ვართ ქართველები, საქმეზე მეტად ტრაბახი გვიყვარს, ნეტავი ვის ვატყუებთ?

გოროლოვკის, ეფრემოვკის და სამების ქართული სკოლები გაიხსნა ამავე სოფლებში მდებარე რუსული სკოლების მეორე ცვლაში.

ეროვნული მთავრობის ჩამოგდებამ, სამოქალქო ომმა, შემდეგ კი მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ჯავახეთში ჩასახლებული ქართველების უმრავლესობის უკან დაბრუნებას. დარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი. იმდენად გაჭირდა იქ ცხოვრება რომ უმეტესობამ უკან დაბრუნებისა თავისი ნივთები ვერ წაიღო. სკოლები დარჩა პედაგოგების გარეშე, რა თქმა უნდა, მოსწავლეებიც შეცოტავდა. განათლების განყოფილების გამგე ყოველდღე თითს გვიქნევდა, სკოლები უნდა დავხუროო, ამ მოსაზრებას ბევრი ჩინოსანი ქართველიც უჭერდა მხარს, ისინი თვლიდნენ, რომ ქართველების ჩასახლება ნინოწმინდის რაიონში შეცდომა იყო. მე როგორც კურატორს, იძულებული ვიყაყი, მერბინა სკოლებსა და განათლების სამინისტროს შორის, რათა მომეგვარებინა პრობლემები და გადამერჩინა სკოლები დახურვისაგან (მაშინ ტელეფონები არ იყო და არც ტრანსპორტი მოძრაობდა ხშირად) მომეყვანა ახალი პედაგოგები, მომეძებნა მათთვის საცხოვრებელი ადგილი, ამის გასაკეთებლად დიდი დრო, უინანსები და ენერგია იყო საჭირო.

გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის უფროსი ბატონი ვალერი ჩხეიძე, რომელმაც სამების საშუალო სკოლა გადაარჩინა დახურვას. მან გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და როგორც სასაზღვრო სოფელი რამდენიმე ჯარისკაცი გამოაგზავნა სკოლაში სამუშაოდ, რა თქმა უნდა, შესაბამისი განათლებით.

ასევე მკითხველს მინდა გავაცნო სხალთის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი, რომელმაც ნინოწმინდის საშუალო სკოლა გადაარჩინა დახურვას. მეუფე სპირიდონმა მართლაც საშვილიშვილო საქმე გააკეთა.

2004 წლის ზაებულში მეუფე სპირიდონმა ზესტაფონიდან ჩამოიყვანა ნინოწმინდაში მზრუნველობა მოკლებული ბავშვთა სახლის ბავშვები დასასვენებლად. ზესტაფონში ამ ბავშვთა სახლის დამარცხებული და მენეჯერი გახლდათ მეუფე სპირიდონი. მან თხოვნით მიმართა იძროვინდელ ქართული სკოლის დირექტორს შესაბამისი ქირის სანაცვლოდ არდადაგებზე სკოლის შენობა დაეთმო საბავშვი სახლის ბავშვებისათვის. მოლაპარაკება შედგა. ბავშვები ჩამოვიდნენ ნინოწმინდაში. მაშინ ქართულ სკოლაში ხუთი ბავშვი იყო რეგისტრირებული, აქედან ორი დადიოდა სკოლაში. ბავშვების სიმცირის გამო ახალი სასწავლი წლიდან ქართული საშუალო სკოლა იხურებოდა და რუსულ სკოლაში იხსნებოდა ქართული სექტორი, ხოლო სკოლის შენობა უნდა გაეყიდათ. აი, ამ დროს ჩამოვიდა მეუფე სპირიდონი ნინოწმინდაში, შეიტყო რა არსებული სიტუაცია, გადაწყვიტა ჩამოყვანილი ბავშვები დაეტოვებინა ნინოწმინდაში და აღნიშნული ბავშვთა სახლის ფილიალი გაეკეთებინა ნინოწმინდაში, ბავშვები კი ქართულ სკოლაში მიეყვანა. რა თქმა უნდა ამ საქმეს დიდი აურზაური მოჰყვა, როგორც სკოლის დირექტორის მხრიდან ასევე ადგილობრივი ხელისუფლებიდან, იმიტომ რომ მათ სხვა გეგმები ჰქონდათ. დიდი დავისა და დაპირისპირების შემდეგ ზესტაფონის ბავშვთა სახლის ფილიალი ოფიციალურად გაიხსნა ნინოწმინდაში. 2007 წელს შეიცვალა ქართული სკოლის დირექტორიც. დაინიშნა ახალი სკოლის დირექტორი ლელა ხითარიშვილი, მან შეძლო ის, რომ ნელ-ნელა ფეხზე დაეყენებინა ქართული სკოლა. დაინახეს რა რადიკალური ცვლილებები ადგილობრივმა მოსახლეობამ, რამდენიმე მშობელმა, გადაწყვიტა თავისი შვილი ქართულ სკოლაში მიეყვანა.

2010 წლის სექტემბერს ნინოწმინდის ქართულ სკოლაში 90 ბავშვი მივიდა, ბავშვების სიმრავლის გამო სკოლა გადაიყვანეს ბავშვთა სახლის სასწავლო კორპუსში. შემდეგ წლებში კიდევ გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა და დღესათვია ეს სკოლა თავისი პედაგოგებითა და მოსწავლეებით ერთ-ერთი კარგი სკოლა ნინოწმინდის რაიონში.

დღესათვის შენარჩუნებულია ყველა ის სკოლა, რომელიც გაიხსნა მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში და ჩვეულებრივ რიტმში აგრძელებენ მუშაობას.

მილოზგიძი

59

ინტერტის

72

ლია ზაზაშვილი

ავთანდილ პერიპე და გაზეთი „ლიტერატურული  
გესხეთი“

პოზის

მერაბ დადეშარი

78

პოზის

ლერი ნოზაძე

89

პოზის

ზელიძეან მალრაძე  
დედის განაჩენი

99

პოზის

ნატო გაბარაშვილი  
მზა

131

პოზის

ნათელა მელიქიძე  
ხემ კამცეტები მაისეა  
კვევრები, უფყვი მოცვენი  
მურიბაბი  
სვანეთის გზაზე  
ისევ სიყვარულისა ვთქვათ

135

იბრიზგიძი

ახელ ბაჟუნცი  
ხოხობი

148

ପ୍ରଦାରା ଫୋଟୋଗ୍ରାଫ୍‌ରାଷ୍ଟ୍ରିଲୋ  
ଅଳ୍ପବେଳୀ ଏକମତୀଯିତ ସଂଗ୍ରହାଳୀ ବିଜ୍ଞାନରେ କାହାରେ

ପ୍ରଦାରା ଫୋଟୋଗ୍ରାଫ୍‌ରାଷ୍ଟ୍ରିଲୋ, ରୁସତାଙ୍ଗେଲୀରେ ନଂ 113,  
ଫୋନ୍: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88  
ଇମ୍‌ପର୍ସଟିକ୍: jurnaliaravi@gmail.com



ISSN 2346-836X

9 772346 836001

A standard one-dimensional barcode is positioned within a white rectangular area. Below the barcode, the numbers "9 772346 836001" are printed in a small, black, sans-serif font.